

K 1455  
2



ქუთაისის სასწავლებლის ბაგრატიონის  
№ 22

# საქართველოს

ისტორია

თავადან ს. ხროთაძისგან

თარ. მანა

სადოვან ხუნდაძის

ტ. III.

უწყის ისტორი

9  
504

ქუთაისი

ომს. ხელის სტამბა

1913

ქუთაისის ამხანაგობის  
№ 22.

კამერკმა.

9 (45) 92  
საქართველოს სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ისტორია

თავადის ს. ბარათაშვილისა

ნათარგმნი

სილოვან ხუნდაძის მიერ.



რ ვ ე უ ლ ი III.

საშუალო საუკუნეთა ისტორია

(არაბთა შემოსევიდან სელჩუკთა მფლობელობისაგან გათავისუფლებამდე).

ქუთაისი

ი. ხელაძის სტამბა  
1913



1455

504

520

## არაბთა მფლოგელოგის დრო საქართველოში

### I

შერიადი ძურგანას შემოსევიდან ბაგრატიონთა  
დინასტიის აღდგინებამდე.

(732 წლიდან 787-მდე.)

მირის სიკვდილის დრო.—პრჩილის მეფობა.—  
ჯუმაჯუმ-აზიმის შემოსევა.—პრჩილის მოკვლა.—სა-  
ქართველოს უბედური მდგომარეობა.—მისი განაწილე-  
ბა იოანესა და ჯუანშერს შორის.—ხაზართა შემოსევა.—  
თფილისის აღება არაბებისაგან და აფხაზეთის საემი-  
როს დაწესება.—ძართველ სასანიანთა დინასტიის და-  
სასრული.

აღგილობრივ მართიანეთა სიტყვით, ცოტა ხანმა  
გაიარა მურვან-ყრუს შემოსევას შემდეგ — და მოკვდა  
მირი იმ ქრილობით, რომელიც ანაკოფიის გარ-  
შემორტყმის დროს ბრძოლაში მიიღო, და ძმა მისი  
პრჩილი შეიქნა მთელი საქართველოს მბძანებელი.  
თუმცა არავითარი საფუძველი არა გვაქვს უარვყოთ  
ეს გარემოება, მაგრამ მაინც არ შეიძლება დავთანხმ-  
დეთ იმაზე, რომ მირის სიკვდილი 732 წლის უფრო  
ადრე მომხთარეოს<sup>1)</sup>; ეს იმიტომ, რომ, როგორც

<sup>1)</sup> ძართველთა დინასტიის შესახებ ბროსეს სტატის-  
ტიკურ წერილებში მირის სიკვდილი 668 წელშია ნაჩვენები.

ზევით დავინახეთ, მურვანის შემოსევა შესაძლებელია მომხთარიყო ამ წლის მახლობლათ.

არჩილის პირველი საქმე ის იყო, რომ ეზრუნა თავისი ძმის ასულთა ბედობაზე. არჩილის ანდერძისამებრ ისინი მიათხოვეს საქართველოს სხვადასხვა ერისთავს და მასთანვე სამეფოდან თვალსაჩინო ნაწილები გამოუყვეს. მრთი მათგანი მისცეს აფხაზეთის მთავარს; რომლის შემწეობითაც არჩილი თავდაპირველათ დასავლეთის მაზრებში დაემკვიდრა, შემდეგ კი თავისი უფლება იქიდან ცოტ-ცოტათი გაავრცელა სამცხეს, შართლსა და ქახეთზე და აგრეთვე მთის საზოგადოებებზე, რომელნიც ამ უკანასკნელ მაზრას საზღვრავენ, სახელდობთ თუშეთისა და ხუნზახის საზოგადოებებზე. არჩილი ყველგან აშენებდა და აახლებდა ციხეებსა და საყდრებს და გამამადიანებულებს კვლავ აქრისტიანებდა. ამგვარი იყო არჩილის მეფობა, რომელიც, როგორც, „შართლის—ცხოვრება“ გვარწმუნებს, 50 წელს გაგძელდა, მურვან-ყრუს შემოსევას შემდეგ დაწყებული ჯუმაჯუმ ასიმის მოსევამდი. მაგრამ ვინაიდან არჩილი სტეფანოზ II-ის შვილი იყო, რომელიც, საქართველოს მატთანეთა ჩვენებითვე, 663 წელში მოკვდა, და ჩვენის აზრით კი 686-ში, — ამიტომ ძალიან საეჭვოა, რომ 732 წელს შემდეგ ასე ხანგრძლივად ემეფებია; ამ მიზეზის გამო ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ დავუჯეროთ არა ქართველ მემატთანეთა ნაჩვენებს, არამედ სომხურ ქრო.

ნიკას<sup>1)</sup>, რომლის ჩვენებითაც ამ ორ შემოსევას შორის მხოლოდ 12 წელს გაუვლია.

ამგვართ, 714 წლის მახლობლათ არაბები კვალად შემოესიენ საქართველოს ჯუმაჯუმ-ასიმის წინამძღოლობით. მეფეს, ერისთავებსა და მთელ ხალხს თავზარი დაეცათ და ვერ შესძლეს მტრის წინააღმდეგობა, რადგან წინამომდევარი შემოსევით ერთობ დაუძლიურებული იყვენ, არჩილმა გადასწყვიტა — მისულიყო მტრის ბანაკში და გამოეცხადებია სრული მორჩილება, ოღონდ კი გაეთავისუფლებია სამშობლო ამ საშიშარი უბედურებისაგან და ხალხის სარწმუნოება ხელუხლებლათ შეენახა. ასიმმა პატივისცემით მიიღო ის და აღუთქვა საქართველოს მშვიდობიანობა, — მაგრამ სწორეთ ის მოსთხოვა, რის გამოც ყველაზედ უფრო დაირღვა მშვიდობიანობა, სახელდობ სარწმუნოების გამოცვლა. და როცა, მრავალს ამო მეცადინეობას შემდეგ, დარწმუნდა, რომ არჩილი არ თანხმდებოდა, გადასწყვიტა — მიემართა უკიდურესი ზომისათვის, ე. ი. ძალდატანებით და შეშინებით გაემამადიანებია იგი. ამიტომაც ბძანა მისი ჩამწყვდევა საკანში; მაგრამ, რაკი ამითაც ვერ დაითანხმა, ბძანა მოეკლათ — და შემდეგ მთელი საქართველო სრულიად ააოხრა. მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი საერთოდ შეშფოთებული და შეძრწუნებული იყო, ქართვე-

<sup>1)</sup> Brosset, Additions et éclair. p. 50.

ლებმა მოსძებნეს თავისი მეფის გვამი და გადმოიტანეს ქახეთს, სადაც დედოფალმა, ამ მოწამის ცოლმა, დაასაფლავა იგი სოფელ ნოტყორის ეკლესიაში.

მატიანეები არც მიზეზს ასახელებს ამ შემოსევისას და არც მიზანს, ჩვენ კი, რადგან ამ ეპოქაში საქართველოს მდგომარეობის შესახებ იმათ ვარდა არავითარი ცნობები არა გვაქვს, სრულიად უღონო ვართ გამოვარკვიოთ ეს კითხვები და ვუჩვენოთ, თუ რა კავშირი ქონდა ასიმის შემოსევას წინამომდევარსა და შემდგომს გარემოებებთან. მაგრამ ამ საუბედურო გარემოებას თავისთავათ უნდა ქონოდა საყურადღებო მნიშვნელობა; ეს იყო ბოლოს მომღები უბედურება იმ სამეფოსათვის, რომელიც როდისღაც ნაქები იყო მეომრობით, ამ თავისი მეფეებისა და ხალხის სიმდიდრით, მაგრამ რომელიც გარემოებებმა ძლიერათ შეარყია.

როცა „ქართლის — ცხოვრება“ პრჩილის მეფობის აწერას იწყებს, იმ დროის საქართველოს მდგომარეობას ამ სიტყვებით გვიხატავს: „ქართლის, სომხეთისა და არანის ქვეყნები აოხრებული იყო; მათში არ მოიპოვებოდა არა თუ ადამიანისათვის, არამედ პირუტყვისათვისაც შენობები და საკვებავიო.“ ამ ადგილს რომ ვკითხულობთ, ჩვენ ამგვარ დასკვნამდი მივდივართ: თუ რომ მართლაც პრჩილის მეფობის დასაწყისში საქართველო ასეთ შემადრწუნებელ მდგომარეობაში იყო, ყველაფერი, რის გა-

კეთებაც მოასწრო ამ ჰეფემ თვისი მართველობის დროს, ალბათ ნაცარტუტათ უნდა ქცეულიყო არაბთა უკანასკნელი შემოსევით. მაგრამ ჩვენ გვაქვს მიზეზები ექვის თვალით შევხედოთ „ჭართლის—ცხოვრების“ ჩვენების სინამდვილეს: ჩვენს დრომდი მოუწევია მრავალ საეკლესიო შენობას, რომელიც ამ ორის უკანასკნელი შემოსევის ბევრათ უწინარეს ყოფილა აშენებული, — და ეს ამტკიცებს, რომ, თუ ამგვარი შენობები კი გადარჩა მუსულმანთა ფანატიკოსებისაგან ხელუხლებელი, მით უფრო შეიძლებოდა გადარჩენილიყო კერძო შენობები. ხოლო ის კი არ არის საეჭვო, რომ საქართველო ამ დროს უკიდურეს მდგომარეობაში ყოფილა და ის წარმოდგენდა განკერძოებული სამეფოს არსებობის მხოლოდ აჩრდილს.

პრჩილის სიკვდილს შემდეგ ეს სამეფო კვალად გაიყო ორ მის შვილს — იოანესა და ჯუანშერს შორის. პირველი მათგანი დაეპატრონა მღიშსა და იმერეთს, ხოლო ჯუანშერი — ჭართლსა და ქახეთს. მიუხედავად იმისა, რომ დარბეულ-გაცარცული მათი სამეფოები საცოდავ მდგომარეობაში იყვნენ, კიდევ ახალი უბედურება მოადგა მათ კარს ხაზარების მხრით. ამ უბედურების მიზეზი ის იყო, რომ ეს მეფეები არ დათანხმდნენ მიეცათ ცოლათ ხაკანისათვის თვისი და შუშანა, რომელსაც ეს ქორწინება არ სურდა. შარისყოფით უკმაყოფილო ხაკანმა, როცა ამას შემდეგ სამმა წელიწადმა გაი-

არა, გაგზავნა თვისი სარდალი ზღუჩანი მრავალ-რიცხოვანი ჯარით და უბძანა ძალმომრეობით წამოეყვანა მეფის ასული, ხაზარები ღალისტნით გამოემართენ, ჩამოვიდენ ტახეთს <sup>1)</sup> და გარშემოერთყენ ციხეს, რომელშიც ჯუანშერი და მისი და ჩაეკეტენ. შარშემორტყმა დიდხანს არ გაგძელებულა: ხაზარებმა დაატყვევეს ჯუანშერი და მეფის ასული, შემდეგ ააოხრეს თფილისი და მთელი ქართლი, მოიტაცეს მრავალი ტყვე და ღარიალის ხეობით უკანვე დაბრუნდენ. მაგრამ ხაკანის სასძლომ, საერთო მწუხარების შემხედველმა და სასოწარკვეთილებაში ჩაყარდნილმა, გზაზე თავი მოიწამლა (საწამლავი შენახული ქონდა ბეჭდის ძვირფას თვალში).

შმეფობისა და არეულობის დროს, რომელიც ხაზართა შემოსევას მოყვა, არაბებმა დაიჭირეს თფილისი და იქ დააწესეს თვისი სამთავრო ანუ საემირო, რომელიც, ალბათ 686 წლის ხელშეკრულობის ძალით, მხოლოდ სურამის ქედამდი ვრცელდებოდა. პირველ მთავრათ საქართველოში ხოსრო იყო. მან განაახლა ხაზარებისაგან აოხრე-

---

<sup>1)</sup> ლეონტი (.ხალიფების ისტორია,“ გვ. 93) მოწმობს, რომ ხაზარებმა ააოხრეს ქამბეჩოვანი და საქართველოს საფეოსო შვიდი პროვინცია: შუჩქი, ძველ-გაპორი, ჩელთი, წუქეთი, ველის ციხე, თიანეთი და მარწოვა, იშოვნეს მრავალი ალაფი და ტყვე და თავის სამყოფ ადგილებში დაბრუნდნენ.



ბული ქალაქი და მთელ სამთავროს, ხალიფის მართებლობის სასარგებლოთ, დაადვა რიგზე დაწესებული ხარკი.

ჯუანშერი ტყვეთ იყო შვიდ წელს, და თუმცა შემდეგ ხაკანმა მდიდრულათ დასაჩუქრებული გამოუშვა, მაგრამ საქართველოში მის ხელმწიფებას ძლიერათ ქონდა ფრთა შეკვეცილი არაბების მუდამ იქ ყოფნის გამო, მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელთ არ მოუსპიათ ადგილობრივი დინასტიური ხარისხი. იმ დროს, როცა საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილში არაბთა მუდმივი მფლობელობა დამყარდა, დასავლეთის ნაწილი დამორჩილდა აფხაზეთის მეფეს, ლეონ II-ს. აფხაზეთი წარმოადგენს ხმელეთის ვიწრო ზოლს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით შემოწეულია ტავკასიის უმთავრესი ქედით და სამხრეთ-დასავლეთის მხრით კი — შავი ზღვით, მნგურსა და შევაძას მდინარეებს შორის<sup>1)</sup>. ეს მხარე მოახლებულია ხალხით, რომელსაც ქართველები აფხაზებს უწოდებენ, ჩერქეზები — ხარაბჩეს, არიანი — აბზილს, ბიზანტიის მწერალთა უმეტესი ნაწილი კი — აბაზეს. თავისთავს კი ეს ხალხი აბსუას ან აბსნეს უწოდებს. ეს მხარე თითქმის იმავე დროს გაიცნეს, როცა მდღის ნაპირებს გაეცნენ.

როცა ლაპარაკი შაზისზე ჩამოვარდება, არ

1) Статист. описание Кутаисскаго Генералъ-Губернаторства, ст. 242.

შეიძლება არ გავიხსენოთ აფხაზეთის შესანიშნავი ქალაქები, პიტიუსი და ღიოსკური. ეს ქალაქები ააშენეს მილეტელებმა და ისინი იყვენ შესანიშნავი სავაჭრო ადგილები, რომლის საშვალებითაც ბერძნებს მიმოსვლა ქონდათ ქავკასიის ხალხებთან და ძველათ მეოტისა და ძასპიის ზღვებს შუა მცხოვრებ სკვით-სარმატთა ურდოებთან. ამ ქალაქებში თავმოყრილი ყოფილა სხვადასხვა ტომის ურიცხვი ვაჭარი, და ეს მტკიცდება შემდეგით: ღიოსკურიაში, როგორც გვარწმუნებს ერთი ძველი მწერალი, ისე მრავალი და სხვადასხვა ტომის მცხოვრებნი ყოფილან, რომ იქ რომაელებს 300 თარჯიმანი ყოლიათ <sup>1)</sup>. საფიქრებელია, რომ პიტიუსისა და ღიოსკურის აყვავებული მდგომარეობა ბევრათ დამოკიდებული უნდა ყოფილიყო იმ კომერციული გზის სიახლოვეზე, რომელიც რიონითა და მტკვრით მიიმართებოდა: ეს გზა რომ მოისპო, ამ ქალაქების კეთილმდგომარეობამაც იწყო თანდათან კლება. ამგვარივე გავლენა ქონდა მათზე რომაელებისაგან საბერძნეთის დაპყრობას. დასასრულ, 100 წლით ძრისტეს დაბადების წინათ, ეს ქალაქები და მთელი აფხაზეთი მიტრიდატმა დაიფლო; მაგრამ მას შემდეგ ეს მხარე ყოველთვის რომის იმპერიას ემორჩილებოდა. აღრიანმა გაგზავნა არიანი ამ მხრის ასაწერათ; ღიოკლეთიანეს დროს კი აფხაზეთი დანიშნული იყო დამნაშავეთა სამყოფ ადგილათ, გან-

<sup>1)</sup> Plin., lib VI cap. V.

საკუთრებით მისგან დევნილი ქრისტიანებისათვის. ლეონ დიდმა ეს მხარე მახტანგ ზორგასლანს მისცა მზითვათ, როცა მან ამ ხელმწიფის ასული მლენე შეერთო ცოლათ. იმ დროიდან ამ დედოფლის შთამომავლობა და მათ შორის ძლარჯეთის ბაგრატიონები ამ მხარეს თავის სამფლობელოთა შორის რაცხავდენ. მაგრამ მ ხანებში, როცა იმპერატორები იუსტინე და იუსტინიანე ძობადისა და ნუშირვანის წინააღმდეგ ომობდენ, მათ დაკარგეს ფაქტიური უფლება ამ ქვეყნის მიმართ. აფხაზებმა ამ ომების დროს ისარგებლეს გარემოებით, თავის თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადეს და მართველები თავის შორის ამოირჩიეს. ომების დროს რომ თავი დაეცვათ, მათ ააშენეს ანაკოფიის ციხე (ნიკოფსია); ხოლო როცა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ზავი მოხდა, აფხაზეთი ხელახლა იუსტინიანეს დაემორჩილა. ლამყარდა აქ ბერძნების მფლობელობა თუ არა, მასთანვე ვავრცელდა ქრისტიანობაც. ნამდვილათ არ არის ცნობილი, გააუქმა თუ არა იუსტინიანემ ადგილობრივ მართველთა დინასტია; მაგრამ დღემდი დარჩენილი იმ პირთა სია, რომელნიც აფხაზეთს ლეონ I-მდი მართავდენ, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს დინასტია განუწყვეტლათ გაგრძობილა. პიტეუსის ან ბიჭვინთის ტაძარი არის იმ დროის სახსოვარი. იმპერატორმა ირაკლი II-მ აფხაზეთის მართველობის ფარმანი უბოძა ერთს თავადთაგანს, ლეონ I-ს,

რომელიც, ჩვენი აზრით, ძლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო, და მიანიჭა მას კურატპალატის წოდება. ამ ლეონიდან დაწყებული ლეონ II-მდი, რომელმაც მეფის ხარისხი მიიღო, აფხაზეთი ბიზანტიის იმპერატორთა ხელქვეითი სამთავრო იყო, მაგრამ მათი გავლენა ამ სამთავროზე თანდათან სუსტდებოდა — იმისდაგვარათ, როგორც თვით იმპერიის შინაგანი ძაღლონე უძღურდებოდა. ეს კუთხე დაშორებული იყო არაბთა შემოსევას და ბარბაროსთა შესევისაგან მაღალი მთებით იყო დაცული; ამიტომ იმ დროს ეს იყო ქავკასიის ერთადერთი ნაწილი, რომლის უშიშრობაც და მასთან ნიადაგის ნაყოფიერობაც ხელს უწყობდა მის მცხოვრებლებს ფიზიკურსა და ზნეობრივ გაძლიერებაში და მის მართველს უღვივებდა გულში პატივის მოყვარების განზრახვებს. ლეონ II-მ ცოლათ შეირთო ხაკანის ასული, ისარგებლა იმპერიისა და საქართველოს სისუსტით და ხაზართა შემწეობით გარევა ბერძნები თავისი საზღვრებიდან და დაიჭირა მთელი ოლქი და იმერეთი სურანის ქედამდი.

როცა ლეონმა საქართველოს ეს ნაწილი დაიპყრო, მას მეტროპოლიის სახელი — აფხაზეთი უწოდა და მთელი თავისი სამეფო რვა საერისთაოთ გაყო. პირველი საერისთაო იყო თვით აფხაზეთი; მეორე ცხომი, მდინარე მნგურიდან აღანეთამდი; მესამე ბეღია, მნგურიდან ცხენისწყლამდი; მეოთხე

ზურია, მებუთე რაქა-ლეჩხუმი, მეექვსე სვანეთი, მეშვიდე ცხენის-წყლიდან სურამის ქედამდი, ჩრდილოეთისკენ, რიონისა და მისი შტოების გაყოლებით, და მერვე—ზურიიდან სურამის ქედამდი, სამხრეთისკენ რიონის გაყოლებით; ამ უკანასკნელში შედიოდა ძუთაისი, სადაც ლეონმა თავისი ტახტი გადაიტანა.

იოანე მოკვდა იმედგადაწყვეტილი, რომ სამეფოს ველარ დაიბრუნებდა. მას შემდეგ მალე მოკვდა აგრეთვე მისი ძმაც, ჯუანშერი; საქართველოს მეფის ხარისხი კი გადავიდა უკანასკნელის ცოლის ძმაზე, აშოტ ბაგრატიონზე. ასე დასრულდა სასანიანთა დინასტია.

## II

გარემოებანა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენე-  
ბადან ბაგრატ I-ის გამეფებამდე.

აშოტის მეფობა.—ღამოუკიდებელი მართველები  
ქახეთში.—საქართველოს ტერიტორია და მისი დაქსაქსვის  
ახსნა.—აშოტის შესვლა ქართლს,—თფილისის ემი-  
რის დამარცხება.—აშოტის გაძევება ქართლიდან.—  
მეორეთ შესვლა.—არაბთა მოულოდნელი თავდასხმა  
და აშოტის სიკვდილი.—არაბები ქართლში.—ხალი-  
ლის უიღბლო ომი ქახეთში.—ხალილის შვილი მუ-  
ჰამედი ხელს უწყობს ბაგრატს ქართლის დამორჩილე-  
ბაში.—ბერძენთა განზრახვები აფხაზეთის შესახებ.

აშოტი იყო სტეფანოზ I-ის უფროსი შვილის,  
ზურამის, შვილიშვილის შვილი <sup>1)</sup>, იმ ზურამისა,  
რომელიც 626 წელს, იმპერატორის ირაკლისა და  
მის მოკავშირეთაგან დევნილი, თავშესაფარათ ძლარ-  
ჯეთის მთებში გაიქცა. ქართველ ბაგრატიონთა  
გვარეულობა იმპერატორის ლეონ დიდის შვილი-  
შვილის, ვახტანგ ზორგასლანის, ასულისაგან შთა-  
მომავალი, სტეფანოზ I-ის უბედურ ხვედრს შემ-  
დეგაც კი ახერხებდა — დაეცვა თავისი ღირსება სა-  
ქართველოს მკვიდრთა შორის და თავისი მფლო-

<sup>1)</sup> Brosset, Additions et éclair. p. 155.

ბელობითი უფლება ძლარჯეთსა და სამცხეზე.  
ჯუანშერს აშოტის და ყავდა ცოლათ—და ექვი არ არის, რომ ცოლის ძმა მის მემკვიდრეთ გამხთარა დედოფლის შემწეობით. „ძართლის-ცხოვრების“ ჩვენებით, აშოტს იმ წელსვე დაუწყია სამეფოს მართვა, როცა ჯუანშერი მოკვდა, ე. ი. 787 წ.; თუმცა მისი ნამდვილი მეფობა 810 წელს ზედ უფრო ადრე არ დაწყებულა, რადგან ამ დრომდღე მას არ შესძლებია-ეხმარა რამე ღონე არც თავისი გავლენის აღსადგენათ საქართველოში, არც არაბთა საწინააღმდეგოთ და არც აფხაზთა წინააღმდეგ: მხოლოდ მეფის ხარისხი ქონდა და ფლობდა მარტო თავის მამაპაპისეულ ადგილებს ძველი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში. ღიდი ხანი არ იყო გასული მას აქით, რაც საქართველოს სამეფო განაწილებული იყო ზემოხსენებულს ორ ხალხს შორის, და მისი ფაქტიური ავტონომიის აღდგენისათვის აშოტს აუცილებლათ ექივრებოდა გარეგანი უზრუნველობა, რომ მიეყუჩებია თავისი მტრები და დროზე ესარგებლა თითოეული სასარგებლო გარემოებით. ასე გავიდა ბარე 23 წელიწადი ჯუანშერის სიკვდილს შემდეგ.

ამასობაში, 790 წელს, ერთმა თავადთაგანმა, ზრიგოლმა, რომლის გვარიც არ არის ცნობილი, რომელსაც ალბათ წინდაწინვე ქონდა ემირის გული მოგებული, — ისარგებლა აშოტის სხვაგან ყოფ-

ნით და თავისთავი ქახეთის მთავრათ აღიარა, ისე რომ დაბრკოლებაც არ შეხვედრია.

საქართველოს სამეფოს დაწილადება ჩვენ ვალათ გვდებს შემდეგს: პირველი, გავახსენოთ მკითხველებს საქართველოს ტერიტორიის საზღვრები; მეორე, უფრო გარკვევით დავხატოთ ამ ტერიტორიის დანაწილება განსაკუთრებულ სამთავროებათ, რომელნიც მე-VIII საუკუნის დასასრულს დაარსდენ, და მესამე— დავასურათოთ ამ სამთავროთა ურთერთ-შორისი დამოკიდებულება.

საქართველოს ტერიტორიის საზღვრები იყო: ქავკასიის უმთავრესი ქედი, მდინარე მნგური, შავი ზღვის ნაპირი, ამ მდინარის შესართავიდან დღევანდელ ბათომამდი, იქიდან მთები, საიდანაც გამოდის მდინარე შოროხის ქვედა ნაწილის ჩასართავები, ბაგას-ხევი, შალაკაციოს ტბამდი; შემდეგ მთაგრეხილი, რომელიც მდ. ღებედას მარჯვენა ნაპირს მიყვება მტკვრამდი, შემდეგ მტკვრის გაყოლება ალაზნის შესართავამდი, და ბოლოს ალაზანი იმ შტოების სათავეებამდი, რომელიც მას აღმოსავლეთის მხრით უერთდება.

საქართველოს ტერიტორიის აღნიშნული საზღვრები არ ყოფილა ქართველთა სამეფოს მუდმივი საზღვრები: ეს სამეფო ხან შემცირდებოდა ხოლმე ყოველი მხრით, ხანაც გავრცელდებოდა ხსენებული საზღვრების ბევრათ უფრო შორს; ხშირათაც, როცა ამ ტერიტორიას ერთი მხრით მოცილდებოდა მი-





წები, მეორე მხრით გაფართოვდებოდა ხალხური წერილების კითხვის დროს შეგეძლოთ შეგენიშნათ ეს ცვლილებანი, რაიცა ყველა სახელმწიფოს ხვედრს შეადგენს.

მე-VIII საუკუნის დასასრულს საქართველოს სამეფოს მოშორდნენ იმერეთი, ოდიში, ოცხრე, ბურია და სვანეთი, აფხაზეთს შეუერთდნენ და შეადგინეს აფხაზეთის სამეფო; საქართველოს სამეფოს მოშორდა აგრეთვე მთელი ქახეთი, მაგრამ იქ ორი სამთავრო დაარსდა: ჰერეთისა და ქახეთის, რომელნიც მდინარე ალაზნით იყვენ გაყოფილნი, და დასასრულ - ბაგრატიონთა საგვარეულო მამულები, მათარავნის ტბიდან და მდინარე მტკვრის სათავიდან მოკიდებული ბათომამდი. მთილისი, თავის უახლოეს არემარეებიანათ, ემირისა და მისი ჯარების სამყოფ ადგილათ გადაიქცა. საქართველოს სამეფო კი დარჩა მხოლოდ ქართლში მათარავნის ტბიდან და სურამის ქედიდან დაწყებული მდინარეების მტკვრისა და ღებედას შეერთებამდი, და ღებედას სამხრეთით მდებარე მთებიდან მოკიდებული ქავკასიის ქედამდი, მთილისისა და მის არემარეთა გამოორიცხვით, და ამ სამეფოს სახელათ ეწოდა ქართლის სამეფო.

1455

ეს დრო ყველაზედ უფრო საკეთილდღეო იყო აფხაზეთის სამეფოსათვის. საბერძნეთის იმპერიას ძალა არ შესწევდა-ხელი შეეშალა მისი არსებობისათვის, და 686 წლის ხელშეკრულობის ძალით კი

არაბებს ნება არ ქონდათ — სურამის ქედს გასცი-  
ლებოდნენ. ქახეთი არ ყოფილა ისე უზრუნველყო-  
ფილი, როგორც აფხაზეთის სამეფო, და ერთი  
მხრით ჭერეთის მთავრებს ედავებოდა, მეორე მხრით  
კი მუდმივი მტრობა ქონდა ქართლის მეფეებთან  
ზარდაბანის მახრის გამო, რომელიც ძღინარე  
მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობდა; ამის მიუხე-  
დავით, ის მე XII საუკუნის დასაწყისამდე არსებობ-  
და, როგორც განკერძოებული სამთავრო. საქართ-  
ველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს  
კი, სახელდობ ძლასჯეთს, ტაოსა და სამცხეს ან ახ-  
ლანდელ ახალციხის მაზრას და არდაჰანის საფაშოს,  
მართავდა ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის  
ურიცხვი წევრი, რომელნიც ქართლის მეფეთა ვასა-  
ლებათ ირიცხებოდნენ. მაგრამ ამ ვასალებს ნათესა-  
ობით იმგვარივე დამოკიდებულება ქონდათ სომ-  
ხეთის ბაგრატიონთა დინასტიისა და აფხაზეთის მე-  
ფეებთან, როგორიც ქართლის მეფეებთან.

მატიანეებში ჩვენ ვპოულობთ გენეალოგიურათა  
და სტატისტიკურათ შედგენილს თითქმის ყველა ამ  
წევრის სიებს, მაგრამ ამათი სინამდვილე იმდენათ-  
ვე საეჭვოა, რამდენათაც ებრაელთა მეფეების — ლა-  
ვითისა და სოლომონისაგან მათ წინაპართა მომდი-  
ნარეობა ზურამ I-მდი; ამიტომაც არ შემოგვაქვს  
ისინი ჩვენს ისტორიაში, რომ ამით მკითხველებს  
თავი არ მოვაბეზროთ.

ამგვარი იყო ქართველთა ტერიტორიის მდგო-

მარეობა მე-VIII საუკუნის დასასრულს; შემდგომს ცვლილებებს ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ ისტორიული თანდათანობით.

აღმოსავლეთში არაბთა ბატონობა, ხალიფის ჰარუნალრაშიდის მართველობით, ამ დროს უმაღლეს წერტილამდი მიწვენილი იყო; მაგრამ ამ ხალიფის სიკვდილს შემდეგ გაიარა ცოტა ხანა—და 809 წელს მის შვილებს, ამინსა და მამუნს შორის ასტყდა სისხლის მღვრელი დავა, რომელმაც სწრაფათ შესცვალა გარემოებანი. სახალიფოს ყოველი კუთხიდან იწვევდენ ჯარებს ბრძოლის ველზე. არაბებს უნებლიეთ თფილისშიც უნდა შეემცირებიათ თავისი მეციხოვნე ჯარი. მაშინ აშოტმა მიათხოვა თავისი ასული აფხაზეთის მეფეს თეოდოსი I-ს, 806 წელს გარდაცვალებულის ლეონ II-ის შვილსა და მემკვიდრეს, და იმის შემწეობით ქართლისკენ გაიწია. ქახეთის მთავარი, ბრიგოლი, შეშინდა და აუცილებელ საჭიროთ დაინახა მიმხრობოდა თფილისის მეორე ემირს, აღის (შუაბის შვილს). მან მოიწვია კახელები და მეზობელი მთიელები და შეუერთდა არაბებს, მაგრამ ისინი ყველანი დაამარცხა აშოტმა მდინარე ძნის ნაპირზე მომხთარ ბრძოლაში და იძულებულყო—დაეთმოთ ქართლი მისთვის, როგორც გამარჯვებულისათვის.

ბიზანტიის მართებლობას, საქართველოს უკიდურეს მდგომარეობაში ყოფნის დროს, არ გამოუჩენია არავითარი მონაწილეობა და თანაგრძნობა

შევიწროებული ხალხისადმი; ამას შემდეგ კი უც-  
რათ იმისთანა სახე მიიღო, თითქო აშოტის დიდი  
მფარველი და თანამგრძობელი ყოფილიყოს, და  
უბოძა კურატპალატის ხარისხი. მაგრამ, როცა  
აშოტმა მიმართა მას და სთხოვა შემწეობა ამოეჩი-  
ნა უკანვე დაბრუნებული ემირის აღის ჯარების  
წინააღმდეგ, — მან იმპერიის შინაგანი შფოთი მოა-  
მიზეზა და უარი შემოუთვალა. აშოტს მეტი გზა  
არ ქონდა, თავისი მეტათ მცირე ძალით უნდა და-  
ეცვა თავისი უფლებანი. შეერთებული ძალებით  
აღიმ და სომხეთის ემირმა ხალილმა გააძევეს ის  
ჭართლიდან და თაფარავნის ტბამდი კვალდაკვალ  
მისდიეს; მაგრამ აქ აშოტმა დაამარცხა ისინი და  
ამის გამო აღი და ხალილი იმიტ უნდა დაკმაყო-  
ფილებულიყვენ, რომ ჭართლი დაიკავეს.

ამას შემდეგ აშოტი ისევ დროის შერჩევის  
გზას დაადგა, — და ამ დროის მოლოდინში ის აშე-  
ნებდა აოხრებულ ქალაქებს, ციხეებსა და ტაძრებს  
სამცხე — ქლარჯეთში. მალე მიეცა მას შემთხვევა და  
ისევ დაიბრუნა არა თუ ჭართლი, არამედ მტკვრის  
შთელი მარჯვენა ნაპირიც თფილისს ქვემოთ, არა-  
ნის ქალაქ ბარდამდი. მაგრამ არაბები მაინც არ  
ასვენებდნენ მას; მათ რამდენჯერმე მოახთინეს შე-  
სევა: ხან იმარჯვებდნენ და ხან მარცხდებოდნენ — და,  
დასასრულ, 826 წელს ანაზდათ თავს დაეცნენ აშოტს  
ნიგალის ხეობაში, შეანგრის ტაძარი, შეიპყრეს  
აშოტი და თვით საკურთხეველში დაკლეს იგი. აშო-

ტის გვამი ასაფლავია **არტანუჯის წმ. მოციქულთა**  
**პეტრესა და პავლეს ტაძარში.**

**ალი ხელახლა დაემკვიდრა ქართლში** **თფი-**  
**ლისის** ემირის ხარისხით და თავისი ბატონობა **სა-**  
**მცხე-ქლარჯეთზე** გაავრცელა. **აშოტის** შვილები  
არაბთა ქვეშევრდომებათ გახდენ და აღუთქვეს მათ  
ხარკის ძლევა. **ამასობაში**, 827 წელს, მოკვდა **ქა-**  
**ხეთის** მთავარი **ზრიგოლი**, რომელიც კვირიკოზის  
ან ქორეპისკოპოზის ტიტულს ატარებდა, და ამის  
მაგიერათ კახელებმა აირჩიეს **ვაჩი** ან **ღაჩი**, **იოანე**  
**ჭობულიძის** შვილი. **ზრიგოლს** მიაწერენ ქალაქის  
**თელავის** დაარსებას, რომლის მდებარეობაც იმგვა-  
რია, რომ იმით იკეტება **ზომბორზე** გადასავალი და  
**მრწონზე** მიმავალი გზები. **როგორც** ჩანს, ეს ქალა-  
ქი იმისთვის აუშენებიათ, რომ თავიდან აეცილებიათ  
საშიშროება, რომელიც მოსალოდნელი იყო **ქახე-**  
**თისათვის** ქართლის მხრით. **ვაჩი** ქახეთს 12 წელს  
მართავდა — და მის სიკვდილს შემდეგ, 839 წელს,  
ამ მხრის მფლობელი შეიქნა **სამუელ ღონაური.**  
**სომხეთის** ემირმა **ხალილმა**, — ცნობილი კი არ არის,  
თუ რა მიზეზით, — მისი მართველობის დასაწყისს გა-  
ილაშქრა ქახეთზე, მაგრამ სოფელ **ზავაზის** მახლობ-  
ლათ იძლია კახელებისაგან და დიდათ დაზიანებუ-  
ლი უკლიქცა; შემდეგ, ალბათ თავისი სამხედრო სა-  
ხელის აღსადგენათ, **თფილისის** მესამე ემირის — **სა-**  
**აკის**, **იზმაილის** შვილის, მართველობის დროს, ის  
შეესია **ჯავახეთს** და იქ მოიკლა. ამ შემთხვევამ

მის შვილს მუხამედს მიზეზი მისცა-გაემეორებია  
ქართლზე გალაშქრება. აშოტის მეორე შვილი,  
ბაგრატ, წინ შეეგება მას და შეუერთდა მის ჯა-  
რებს, და მუხამედმა, ამ თავადის ქცევით სრულიად  
დაკმაყოფილებულმა, მისცა მას ქართლი.

ამგვარათ, თუ ყველა ამ გარემოებას მივიღებთ  
მხედველობაში, ბაგრატ I-ის მეფობა 826 წლიდან  
კი არ უნდა ვიანგარიშოთ, არამედ სამუელ ღონა-  
ურის გაქორეპისკოპოზებას შემდეგ, ე. ი. 839  
წლის არა უფრო ადრე.

არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ აფხაზეთის  
მეფეს თეოდოსის, რომ აშოტის შვილების დასა-  
ცავათ მხურვალე მონაწილეობა ვერ ამოუჩენია,  
იმიტომ რომ ბერძნები თვით მას განუწყვეტლათ  
ემუქრებოდნენ და 831 წელს ბიზანტიელები აფხაზე-  
თის დასასჯელათ ხმელეთზე გამოვიდნენ. თუმცა ამ  
ექსპედიციას არ ქონია იმგვარი წარმატება, როგო-  
რიც ქონდა მეორეს, 843 წელს მოხთენილს, <sup>1)</sup> მაგრამ  
ადგილობრივი მცხოვრებნი კი დაარწმუნა, რომ  
ბერძნები ფიქრში არ იშორებდნენ განზრახვას — ისევ  
დაებრუნებიათ თავისი მოცილებული სავასალო  
მხარე. თეოდოსის მიაწერენ ხონის ქალაქის აშე-  
ნებას — და იქაური ტაძარი მის ღვთივ-მოსაობის  
ძეგლს წარმოადგენს.

<sup>1)</sup> Hist. du Bas—empire, tom. XIII, p. 168.



III

გარემოებანი აშოტის სიკვდილიდან აფხაზების  
მაკრ ქართლის დაჭერამდე.

მუხამედი, სომხეთის ემირი, შემწეობას აძლევს ბაგ-  
რატს ქართლში დამკვიდრებისათვის. — ხაკი, თფილი-  
სის ემირი, ეწინააღმდეგება. — ბრძოლა რეზის მახლობ-  
ლათ. — ბოლას შემოსევა. — აფხაზეთის მეფეები ბიორგი  
და იოანე. — ორბელიანი.

დრო, აშოტის სიკვდილიდან დაწყებული ბაგ-  
რატ I-ის ტახტზე ასვლამდე, მამუნისა და მისი ძმის  
მოტასეჰის ხალიფობის დროს უდრის. პირველი მათ-  
განი იმ მღელვარებათა დროს, რომელნიც ასტყ-  
დენ სახალიფოში საღვთისმეტყველო კითხვების გა-  
მო, ერთობ ერწმუნებოდა თავის სარდლებსა და  
ვეზირებს და ამიტომაც გააღვიძა მათ შორის მეტო-  
ქობა და თვით შინაბრძოლა, განსაკუთრებით იმ  
მაზრებში, რომელნიც ხალიფის რეზიდენციაზე მო-  
შორებული იყვნენ; მეორე კი სარდლების მეტოქობამ  
იქამდე მიიყვანა, რომ იწყო ზრუნვა თვისი პირადი  
უშიშროებისათვის და გარს შემოირტყა გათავისუფ-  
ლებულ მონათაგან შემდგარი კორპუსი მცველები-  
სა, უმეტეს ნაწილათ თურქთა შთამომავლობისა,  
და მათ მიანდო თავისთავი. ამ კორპუსის უფრო-  
სებმა მალე ფრიად დიდი მეუფება იგდეს ხელთ და  
ხალიფის სახელით სახელმწიფოს მართვა იწყეს გა-

ნუსაზღვრელათ როგორც მოტასემის დროს, ისე მის შემკვიდრეების დროსაც. ამ გარემოებებით აიხსნება როგორც ხალილისაგან საქართველოზე გალაშქრების მიზეზი, სადაც ხალიფის სახელით დამშვიდებულათ მართველობდა ემირი სააკი, აგრეთვე მასზე მოყოლილის იმ ომების მიზეზი, რომელიც არაბთა სარდლებმა ამ ქვეყანაში მოახთინეს.

წინააღმდეგარ თავში ჩვენ კიდევაც ვსთქვით, რომ მუხამედმა, ხალილის შვილმა, ბაგრატს მიანიჭა დინასტიური უფლება ქართლზე. მაგრამ როცა ამ მაზრის შუაგულისაკენ გაემართა იმ მიზნით, რომ ის ბაგრატისათვის ჩაებარებია, შფლის-ციხე აიღო და გზა განაგრძო. — მძირი სააკი ძლიერი ჯარით შეხვდა მას სოფელ რეხის მახლობლათ. სასტიკი ბრძოლა, რომელიც აქ არაბთა ორ სარდალს შორის მოხდა, მით გათავდა, რომ მუხამედმა ქართლიდან პირი იქცია და არანისკენ გაემართა, „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩვენებიდან ვხედავთ, რომ სააკი ოფილისში დარჩენილა და ბაგრატის გამეფების საქმეს ამ ხანათ წარმატება არ ქონია. მუხამედის გალაშქრება სააკის წინააღმდეგ ალბათ ისე ახსნეს ხალიფის კარზე, როგორც აჯანყებული ემირის წინააღმდეგ ჩადენილი მოქმედება<sup>1)</sup>, და სააკი იძულებული იყო — ოფილისი და მისი არემარეები ახალი თავდასხმის შესახვედრათ მოემზადებია. ჩამდენიმე წელს შემდეგ თურქების კორპუსის ერთმა უფროს-

<sup>1)</sup> Hist. de la Géorg., p. 266.



თავანმა, ბოლამ, რომელიც ცნობლია თავისი სისხლ-  
გაუმადლოებით მოქმედებით აღარბადაგანსა და  
სომხეთში, სადაც მან 80,000 კაცამდი დახოცა, - მი-  
მართა საქართველოს და გარს შემოერთყა **თფი-**  
**ლისს.** ბაგრატი მორჩილებით გამოცხადდა მასთან  
და მის ჯარებთან დარჩა. აილო **თფილისი** თუ არა,  
ბოლამ იმ საათშივე ბძანა სააკის ჩამოხჩობა<sup>1)</sup> და  
შემდეგ ქალაქი დასწვა და მისი არემარეები ნაცარ-  
ტუტათ აქცია. ხაზართა უკანასკნელ შემოსევას შემ-  
დეგ საქართველოს ამგვარი საშინელი უბედურება  
არ გამოუცთია; ხოლო, თუმცა პირდაპირ უცხო  
ტომის მფლობელობაში იყო, მაგრამ ხანგრძლივ  
მშვიდობიანობას ხელი უნდა შეეწყო მის მცხოვრებთა  
ოჯახობრჩვი ყოფაცხოვრების აღდგენისათვის.

**თეოდოსის,** აფხაზეთის მეფეს, უნდოდა შეე-  
ჩერებია ბოლას შემდგომი მოძრაობა, რომელიც,  
შესაძლებელი იყო, მის საბძანებლისათვისაც საშიშა-  
რი შექნილიყო, და ამიტომაც ქართლელთა მხარე  
დაიჭირა, სურამის ქედი გადაიარა და ჯარიანათ  
ქვერცხობის მახლობლათ დაბანაკდა. ბოლამ გა-  
გზავნა მის წინააღმდეგ რაზმი თავისი თანაშემწის **ზა-**  
**ქარიასა** და ბაგრატის წინამძლოლობით. **თეოდო-**  
**სი** დამარცხდა და ღვალეთით უკან დაიწია.

ბოლამ მოახდინა რამდენიმე მოძრაობა ქართლ-  
ში და განზრახვა ქონდა — **მსეთს** გადასულიყო;  
მივიდა კიდევაც ჩართლეთსა და **ცხოტამდი,** სა

<sup>1)</sup> Asolic; l. II ch. 2.



დაც სამასი კაცი ამანათად აიყვანა; მაგრამ ამ დროს სომხეთის მართველმა აბულაბასმა და ბაგრატიის ძმამ ზურამმა, რომელიც სომეხთ ბაგრატიონთა მომხრე შეიქნა, შეკრეს ერთმანეთში კავშირი და ოსებს შეუთვალეს — შეეკრათ გზა ბოლასათვის. ამათგან გამხმევებულმა ოსებმა გადასწყვიტეს — შეეწირათ ამანათები თვისი საერთო თავისუფლებისათვის: ყველანი აღიჭურვენ მტრის წინააღმდეგ და ერთს ვიწრო ხეობაში თავს დაესხენ მას. დიდმა თოვლმა, რომელიც ამ დროს მოვიდა, კიდევ უფრო გაუძნელა მოძრაობა ბოლას ჯარებს. დასასრულ, დიდათ დაზიანებული ბოლა იძულებული შეიქნა ძართლიდან უკუქცეულიყო და წასულიყო არანს, საიდანაც, ბაბრიელ ღონაურის მართველობის დროს, ქახეთზე გაილაშქრა. ბაზაფხულზე ბოლას განზრახვა ქონდა — გაემეორებია ოსეთზე გალაშქრება, მაგრამ ამ დროს ხალიფამ მოტავაკელმა შეიტყო ხაზარების სალაშქროთ მზადება და უბძანა მას — თფილისში ემირათ ხალილის შვილი მუხამედი დაეყენებია და თვითონ კი სამარალს დაბრუნებულიყო.

თუ მივიღებთ მხედველობაში, პირველი — იმას, რომ ძვერცხოვთან ბრძოლაში ბოლას რაზმის წინააღმდეგ მოქმედებდა აფხაზეთის მეფე თეოდოსი, რომელიც 845 წელს მოკვდა, და, მეორე — რომ ქახეთზე მის გამოლაშქრების დროს ამ კუთხეს მართავდა ბაბრიელ ღონაური, რომელიც 861 წელს თავისი ძმის სამუელის ტახტის მემკვიდრე შეიქნა, —

მაშინ დავინახავთ, რომ ბოლას საქართველოში უბძანებოებია არა ნაკლებ თექვსმეტი წლისა, და უნდა ვიფიქროთ, მთელის ამ ხნის განმავლობაში ბაგრატის შესაბრალისი მეფობა ალბათ მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ბოროტმომქმედის უწყალო მინდობილობებს ასრულებდა. როცა ბოლა სახალიფოს სატახტო ქალაქში დაბრუნდა, თვით ხალიფა მოტავაკელი მისი ინტრიგებისა და მის ამხანაგთა ხანჯლის სხვერპლი შეიქნა.

რაკი საქართველო ბოლასაგან გათავისუფლდა, ოფილისის ემირობა ისევ ძველებურ კალაპოტში ჩაღდა. ხალიფის მოადგილეები ხალხისთვის არ ყოფილან იმდენათ სამძიმო, რამდენათაც მეფის თავმოყვარეობისათვის. მუხამედი, ისა და იბრაიმი, რომელთაც მოკლე ხანში გამოსცვალეს ერთმანეთი, უფრო იმ ინტრიგებს აქცევდენ ყურადღებას, რომელიც ხალიფებს სასახლეში ხთებოდა და რომელზედაც დამოკიდებული იყო მათი ამალგება თუ დაცემა, - ვიდრე საქართველოს.

876 წელს ბიორგი I-მა, აფხაზეთის მეფემ, ბაგრატ I-ის სიკვდილი რომ გაიგო, დაიჭირა ძართლი და იქ ერისთავათ დაყენა ერთი თავისი ძმის ღიმიტრის შვილთაგანი, ტინენი. ხოლო 877 წელს ბიორგიც მოკვდა, და თუმცა მისი ადგილი მაშინვე მისმა შვილმა იოანემ დაიჭირა, მაგრამ დედოფალს, იოანეს დედას, სურდა მოესპო ღიმიტრის შვილების ყოველგვარი გავლენა აფხაზეთის სამეფოს საქ-

მეებზე, და ამიტომ ბძანა **ტინენის** დაქერა და საპყრო-  
ბილეში მოკვლა, ხოლო მის მცირეწლოვანი ძმის  
**ბაგრატის** — თავისი საბძანებლიდან გაყვანა და  
ზღვაში ჩაგდება. **მს** უკანასკნელი გადაარჩინეს ვი-  
ლაცა უცნობმა კაცებმა და გემით **ქოსტანტინებოლს**  
მიიყვანეს.

**ხალხის** სიმდიდრემ მშვიდობიანობის დროს  
ემირების მართველობაში ხელახლა იწყო აყვავება.  
**ამ** გარემოებამ და აგრეთვე **ქართლში** მეფის გავლენის  
შესუსტებამ გააძლიერა ზოგიერთი არისტოკრა-  
ტული გვარი, რომელნიც დღემდე არსებობენ **სა-**  
**ქართველოში**. მათ შორის ცნობილი შეიქნენ **მრ-**  
**ბელიანები**, **ლიპარიტის** მეოხებით, რომელიც იყო  
**თრიალეთის** მთავარი და **ქლდეკარის** ციხის დამა-  
არსებელი <sup>1)</sup>. **ამ** თავადის გვარეულობის შთამომავ-  
ლობა უუძველეს დროს ეკუთნის. როგორც გად-  
მოცემა ამბობს, **მრბელიანების** მამამთავარი **ჩინე-**  
**თის** ქვეყნიდან გამოსულა <sup>2)</sup> და **საქართველოში** და-  
სახლებულა; ამავე გადმოცემით, მათ **ჯამბაკურიან-**  
**ნებს** უწოდებენ, ვითომდა **ჯანეთის** ანუ **ჩინეთის**  
მცხოვრების **ბაკურის** სახელის მიზეზით. **თუ** ეს  
გადმოცემა მართალია, მაშინ **ჯამბაკურიანთა** მამა-  
მთავრის გამოსვლა **ჩინეთითან** იმ ხანებში უნდა  
მომხთარიყო, როცა იქიდან სახელოვანი **მამგო**

<sup>1)</sup> ქლდეკარი მდ. ალგეთის სათავესთან ძვეს.

<sup>2)</sup> St. Martin: Mém. sur l'Armén., tom. 11 p. 15.

გამოიქცა, <sup>1)</sup> ჩვენი წელთაღრიცხვის მე-III საუკუნის ნახევარში, რადგან ისტორიაში არ არის ცნობილი სხვა არავითარი შესანიშნავი ემიგრაცია ჩინეთიდან. მაგრამ, თუ მოვიგონებთ, პირველი, ქართველთა ერთს უფრო საერთო ხალხურ გადმოცემას, რომელიც ამბობს, რომ ადგილობრივი აზნაურები იმ მაკედონელთაგან შთამომავლობენ, რომელნიც შარნაოზის მიერ აზონის დამარცხებას შემდეგ ამ ქვეყანაში დარჩენო, და მეორე, მაკედონიის ერთს მთაგორას რომ ძველათ სახელათ ორბელუსი ეწოდებოდა <sup>2)</sup>, — უნებლიეთ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გვარი ამ მთაგორის მცხოვრებთაგან წარმომდგარა. ხოლო ჩვენ არ ვიკისრებთ — გამოვარკვიოთ უტხუარი ქეშმარიტება ორბელიანთა გვარის დასაწყისის შესახებ, მით უფრო, რომ ჩვენი ისტორიისათვის მხოლოდ იმის ცოდნაა საჭირო, თუ რა მონაწილეობას იღებდა შემდგომ ეს გვარეულობა საქართველოს ბედილბალში, და ამას კი ჩვენ ამ დროიდან თანდათანობით აღვნიშნავთ.

---

<sup>1)</sup> Ibid. p. 21—28.

<sup>2)</sup> Dict. univer. d'hist. et de géogr. éd. Bouillet, p. 1309.

## IV

### საქართველო ღავით I-ის და აღარნასე II-ის დროს.

(876-დან 923 წლამდე.)

ღავითის ომი ნასირთან. - ღავითის მემკვიდრეთ ხთე-  
ბა აღარნასე. — ნასირის დამარცხება და ქოსტანტინე-  
პოლს გაქცევა. — აშოტი, სომეხთა მეფე, მფარველობას  
უწევს აღარნასეს. — აფხაზეთის მეფის წულის ბაგრატი-  
სა და ნასირის შვერთებული მოქმედება. — ბაგრატის  
წარმატებანი. — ასპინძის ომი და ნასირის სიკვდილი. —  
მომი კახელებსა და აფხაზებთან. — სომეხთა მეფე სუმ-  
ბატი ხელს უწყობს აღარნასეს. — სომხეთის საქმეები. —  
აფშანის შემოსევა. — აღარნასეს გვირგვინის კურთხევა.  
— საქართველოს მდგომარეობა. — აფხაზეთის მეფე ქო-  
სტანტინე ომობს სუმბატისა და აღარნასეს წინააღმდეგ.  
— მისი ტყვეთ წაყვანა. — ზავი და მისი გათავისუფლების  
შედეგები. — სუმბატის დაღუპვა და სომხეთის აოხ-  
რება. — აშოტ რკინის - კაცი. — სომეხთა კათალიკოზის  
იოანეს მოსვლა აღარნასეს სასახლეში. — აღარნასეს მო-  
გზაურობა ქოსტანტინეპოლს.

876 წელს ბაგრატის მემკვიდრეთ გახთა მისი  
შვილი ღავით I. ბაგრატის სიკოცხლის უკანასმნელ  
დღეებში მისმა ძმამ ზურამმა უარი გააცხადა თავის  
მამაპაპეულ სამკვიდროზე, გაუყო ის თავის შვილს,  
ძმებსა და ცოლის ძმას, სომხეთის მართველს

აშოტს (რომელსაც მისცა აბოცი), და შედგა ბერათ. თუმცა ის თავისი ნათესაეების ძლიერ მოყვარული იყო, მაგრამ მისმა შვილმა ნასირმა არ ისურვა — აღეარებია ღვთის უფლება ქართლზე, და არ ვიცით, ნასირი რისთვის უწყობდა ხელს აფხაზებს: იმისთვის, რომ იმათი შემწეობით ეს მაზრა თვითონ და ესაკუთრებია, თუ უნდოდა-დაემტკიცებია ის აფხაზეთის მეფის იოანესათვის. „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს აგრეთვე, ვინ დაიჭირა ამ დროს ქართლი, იოანემ თუ ღვთიშობა. თუმცა ამ მატინანის ერთ ადგილას ნათქვამია, რომ იოანეს ბიძაშვილი ტინენი მართავდა ამ მხარეს შვიდი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს ან ანაქრონიზმია, ან ღვითი, რომელიც თავისი მამის სიკვდილს შემდეგ მხოლოდ ხუთ წელს ცოცხლობდა, არაოდეს არ ყოფილა თავისი პატარა სამეფოს მფლობელათ, არამედ მხოლოდ ცარიელი ტიტული უტარებია.

ღვითის უფლებათა დაცვას კისრულობდენ მისი სარდალი ლიპარიტ მრბელიანი და სომხეთის მართველი აშოტი, რომელიც დიდ აშოტათ არის წოდებული.

აშოტმა იწყო სომხეთის მართვა მან წელს, თავისი მამის სუმბატის მოწამებრივ სიკვდილს შემდეგ. როცა ბოლა გაიწვიეს ამ ქვეყნიდან, მან მალე დაამშვიდა თავისი სამშობლო და ადგილობრივი თავადები არაბებს დაუმეგობრა. შოველწლიური ხარკის დაწესებით და ხაჯის სასახლეში თავთავის

დროზე მისი წარდგენით და საზოგადოთ თავისი ყოფაქცევით იმდენათ მოიგო **აშოტმა** ხალიფის გული, რომ ამ უკანასკნელმა ნება მისცა მას — ემართა **სომხეთი** ემირების სრულიად დაუკითხავათ და მხოლოდ ქალაქ **ღვინში** დარჩა სამხედრო მართველობა ახლომახლო მაზრების თვალყურის სადევნათ. **აშოტის** სამთავრო მდებარეობდა ძველი **სომხეთის** შუაგულში, **არეხის** ნაპირზე, და ის ხან **შარსში** ცხოვრობდა, ხან **მრასავორში** და ხან **ანისში**. მას უნდოდა — განე მტკიცებია თავისი მშვიდობიანი კავშირი მეზობელ მთავრებთან და ამიტომ დაუნათესავდა **საქართველოს**, **აფხაზეთის**, **ვასპურაკანისა** და სხვა მხარეთა მეფეებს. ამგვარი დამოკიდებულობისა და კავშირის მეოხებით ის ხსენებულ მფლობელთა ყველა პოლიტიკურ საქმეში ერეოდა <sup>1)</sup>.

**აშოტი** გულმხურვალეთ მიემხრო **ღავითს** **ნასირის** წინააღმდეგ, რადგან სიმართლე **ღავითის** მხარეზე იყო. 879 წელს მოკვდა **აფხაზეთის** მეფე **იოანე** — და ამ ვერაგმა თავადმა მოატყუა **ღავითი** თვალთმაქცური შერიგებით, 881 წელს იხელთა დრო და მოკლა იგი. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ძლიერათ ააღელვა **ღავითის** მეგობრები: მთელი **შართლი**, **სომხები** და **ღვინისა** და **თფილისის** არაბები შეერთდენ, **ღავითის** მემკვიდრეთ მისი შვილი **ადარნასე II** გამოაცხადეს და თავს დაესხნენ **ნასირს**; თუმცა ეს უკა-

<sup>1)</sup> St.-Martin., Mèm. sur l' Arm., tom. 1, p. 349.



ნასკნელი ამ შემთხვევისთვის წინდაწინვე იყო მო-  
მზადებული, მაგრამ მაინც დამარცხდა, გამაგრება ვე-  
ლარსად მოახერხა და პოსტანტინეპოლს გაიქცა.  
აშოტი, როგორც ნათესავი, აღდარნასეს მფარველი  
და ქართლში მშვიდობიანობის დამყარებელი შე-  
იქნა.

ნასირი პოსტანტინეპოლშიც არ დაწყნარე-  
ბულა, ის დაუახლოვდა აფხაზებისაგან განდევნილ  
ბაგრატს და მიიმხრო ის აფხაზთა მეფის წინააღმდეგ  
თვისი განდევნისათვის შურის საძიებლათ. ნასირმა  
შეადგინა ურთერთის დახმარების პლანი და 887  
წელს დაითანხმა ბიზანტიის კარი-მიეცა ბაგრატი-  
სათვის ჯარი და ფლოტი გასანაპირებლათ. იმ დროს  
აფხაზეთში იოანეს შვილი აღდარნასე მეფობდა.  
ბაგრატმა ჩამოაგდო ის ტახტიდან და მოკლა, ტახ-  
ტი დაიჭირა და აღდარნასეს ქვრივი ცოლათ შეი-  
როთო, შემდეგ მოიწვია საბერძნეთიდან თვით ნასირი,  
მისცა ჯარი და ქართლზე გააღაშქრა.

თავდაპირველათ ის გაემართა სამცხეს და  
აიღო სიმაგრეები: ოძრხე, ჯვარის-ციხე და ლომ-  
სიანი; შემდეგ აფხაზეთიდან მოყვანილ ჯარებს შე-  
უერთა სამცხის მცხოვრებლები და წინ გაწევას აპი-  
რებდა, მაგრამ აღდარნასემ დაასწრო და ქართლელ-  
თა და სომეხთა ჯარებით შეხვდა მას სოფელ ასპინ-  
ძასთან, სადაც ნასირი სასტიკ ბრძოლაში მოიკლა  
და მისი მოკავშირეები გაიქცვნ.

ასე გათავდა ეს ომი, მაგრამ სისხლისღვრა

საქართველოში არ დასრულებულა. მალე ქართლი ყოველი მხრივ შემოერთებული შეიქნა. ჭორეპისკოპოზის ბაბრიელ ღინაურის მონაცვალემ ვადლამ და აფხაზეთის მეფემ ბაგრატმა ისარგებლეს სომეხთა მეფის აშოტის სიკვდილით, რომელიც იმ დროს საქართველოს მშვიდობიანობის ერთადერთი მეთვალყურე იყო, და პირველმა დაიჭირა ბარდაბანის მაზრის ნაწილი, რომელიც ქართლს ეკუთვნოდა <sup>1)</sup>, ხოლო მეორემ თვით ქართლი დაიპყრო. ვადლა მოკვდა 893 წელს, ბაგრატი კი 896-ს, მაგრამ მათი მონაცვალეები, ქორეპისკოპოზი ავირიკე I და ქოსტანტინე — აფხაზი მტკიცეთ იცავდნენ თავის წინამოადგილეთა დაპყრობის უფლებებს. სომხეთის მეფე სუმბატი, როგორც თავისი მამის აშოტის პოლიტიკის ერდგული მიმდევარი, ქართლს მიემხრო, მაგრამ აბუსადის შვილის, ადარბადაგანის ემირის აფშანის, სასაშიშრო განზრახვებმა შეიჩერია იგი <sup>2)</sup>.

სუმბატის ძლიერებამ დააეჭვიანა აფშანი, რომელსაც ხალიფამ სომხეთის თვალყურის დევნება მიანდო. შევლაზედ უფრო მას აწუხებდა სუმბატის კავშირი ქოსტანტინეპოლის კართან. 895 წელს აფშანმა აცნობა ხალიფას მოტადს სომხეთის მე-

<sup>1)</sup> ბარდაბანის მაზრა მდინარე ჭუნის ორივე ნაპირზე მდებარეობს, და ვადლამ ალბათ ის ნაწილი დაიჭირა, რომელიც მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

<sup>2)</sup> Mémoires sur L' Armén., t. I. p. 354.

ფის მფლობელობის განუწყვეტელი გავრცელება, — ამ მეფეს უკვე დაეპყრო ყველა დამოუკიდებელი ტომი, თეოდოსიოპოლიდან მოკიდებული ქასპიის ზღვამდი, — და სთხოვდა სომხეთზე გალაშქრების ნებას. როცა სუმბატმა ეს შეიტყო, თავისი სამშობლო მტრის დასახვედრათ მოამზადა და აფშანთან პატრიარქი ზიორგი გაგზავნა, რომ ერჩია — უარეყო თავისი განზრახვა; მაგრამ ემირმა მისი წინადადება არ მიიღო, შეესია სომხეთს და ტოგასთან ბრძოლაში, არარატის პროვინციაში, სუმბატისაგან დამარცხდა.

896 წელს ამავე მეფემ, ალბათ იმ მიზნით, რომ დაენახებია ხალიფასთვის თავისი გულმოდგინება, გაილაშქრა მესოპოტამიას აჯანყებული ემირის ახმედის წინააღმდეგ, მაგრამ ძლიერ დამარცხდა და არევედარევით უკუიქცა. სუმბატის ამ უბედურმა შემთხვევამ აფშანს, როგორც იყო, შეასრულებია მისი დიდი ხნის წადილი: ის ხელმეორეთ დაეცა აღმოსავლეთის სომხეთს, ააოხრა იგი, გაიარა ალბანია და საქართველოს შეესია <sup>1)</sup>).

ამ შემოსევის აწერის დროს „მართლის-ცხოვრება“ აფშანს აბუღლ-ყასიმათ, აბუსაჯის შვილათ იხსენიებს. აფშანი პირველათ თფილისს ზოვიდა, რომელსაც ემირი ჯათფარი მართავდა; აქიდან მტკვრის მარცხენა ნაპირს გადავიდა და უჯარმოს გარშემო

1) St. Martin, Mém. sur l' Armén., t. I p. 353.

ერტყა. **წმ. ნინოს** მოღვაწეობათა და **ვახტანგ ზორ-**  
**გასლანის** დროთა მოგონებით გაბრწყინებული—  
 ეს კუთხე ამ დროს პაწია გამაგრებულ სოფელს  
 წარმოადგენდა; სამასი კაცი იცავდა მას ისეთი გმი-  
 რობით, რომ მრავალრიცხოვანი მტერი მის აღებას  
 დიდ ღვაწლათ სთვლიდა; ამიტომაც ამ სოფლის  
 დამარცხებამ **ზოქორმის** გარნიზონს მტრის მოსვლა-  
 მდი მიატოვებია მაგარი ციხე და გაფანტა იგი. ძვირი-  
 კე I-ს იმედი აღარ ქონდა, რომ **აფშანს** წარმატე-  
 ბით გაუძკლავდებოდა, და ამიტომ გამოცხადდა  
 მასთან და სრულიად დაემორჩილა. ძახეთი რომ  
 დაიპყრო, **აფშანმა** გაიარა **ქართლი** მტკვრის მარც-  
 ხენა ნაპირით და სამცხეს შევიდა, აქიდან გადა-  
 ვიდა **ჯავახეთს** და **თმოგვის** ციხეს გარშემოერტყა,  
 მაგრამ ვერ აიღო; **თმოგვის** გარშემორტყმას თავი  
 დაანება და **შველს** შემოარტყა ალყა. ამ სიმაგ-  
 რის თავგამეტებულმა დაცვამ, მის აღებას შემდეგ,  
 გამოიწვია გმირის **ზობრონის** მოწამებრივი სიკვდილი.

**აფშანმა** აქ გაიგო, რომ **სუმბატის** ოჯახობა  
**ქარსში** იმალებოდა, და გაეშურა იქით, გარშემო-  
 ერტყა ამ ქალაქს, დაატყვევა **სუმბატის** ცოლი და  
 ყველა მისი ნათესავი ქალი და ტყვეებიანათ და  
 აუარებელ განძიანათ ღვინს დაბრუნდა. ამ უბე-  
 დური გარემოების მიზეზით **სუმბატმა** ზავი ითხოვა  
 და ტყვე-ქალების გასათავისუფლებლათ **აფშანს** ამა-  
 ნათად თავისი უფროსი შვილი და ძმისწული მი-  
 აწოდა. **აფშანმა** ამას გარდა მოსთხოვა მას—მიეცა

ცოლათ თავისი ძმისწული, რის უარაც სუმბატს ამისთანა მდგომარეობაში არ შეეძლო <sup>1)</sup>).

ამ გულსატკენი ზავის შთაბეჭდილების რამდენათმე შესამცირებლათ სუმბატმა მიიწვია თავის სატახტო ქალაქში თვისი ნათესავი, ქართველთა მეფე აღარნასე, და დიდი ზეიმით დაადგა მას გვირგვინი. ამ დაგვირგვინებას სრულიადაც არ გაუუმჯობესებია აღარნასეს მდგომარეობა. მტკვრის მთელი მარცხენა ნაპირი, სურამიდან მოკიდებული ოფილისამდი, აფხაზების მფლობელობაში რჩებოდა; ოფილის ემირი ჯაფარი მართავდა, ძახეთს — ჰვირიკე I, აღარნასეს კი რჩებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირი, სომხეთის საზღვრებამდი <sup>2)</sup>), სამცხე და ძლარჯეთი; მაგრამ ამ ორი მაზრის უმეტეს ნაწილს მართავდენ ქართველთა ბაგრატიონთა მეორე შტოს მოშულარი წევრები, რომელნიც ნემკვიდრეობით მფლობელ ბაგრატიონთა მზგავსათ კურატ-პალატებათ იწოდებოდენ.

სუმბატისაგან აღარნასესადმი ამ თანაგრძნობის გამოცხადებამ სომხეთს ახალი შფოთი მიაყენა. მს თანაგრძნობა ადგილობრივ თავადთა უმეტეს ნაწილს არ მოეწონა და ასტყდენ სუმბატის წინააღმდეგ. მათ აუხსნეს აფშანს ეს საქციელი, როგორც სუმბატის ახალი წამოდავება ხალიფის უფლებათა შესახებ, რომელსაც ერთადერთს შეეძლო

<sup>1)</sup> Ibid.

<sup>2)</sup> Ibid. p. 355.

სამეფო გვირგვინების ბოძება. სუმბატი იძულებული შეიქნა — ხელახლა მომზადებულიყო აფშანის თავდასხმის უკუსაქცევათ; მაგრამ აფშანი მალე მოკვდა და მის მაგიერათ 901 წელს ადარბადაგანის მართველის წოდება მიიღო მისმა ძმამ იუსუფმა, აბუ-საადის შვილმა.

ღრმა სიჩუმე, რომელიც ამას შემდეგ საქართველოსა და სომხეთში დამყარდა, 904 წელში დაირღვა სუმბატის საბძანებელში, ალბათ აბოცს, აფხაზეთის მეფის ქოსტანტინეს შესევით. ადარნასემ სუმბატის მხარე დაიჭირა და შეერთებული ჯარებით ისინი მიუხებენ ქოსტანტინეს, დაამარცხეს იგი და ტყვეთ წაიყვანეს. მაგრამ მალე სუმბატმა დიდსულოვნობით გაათავისუფლა ქოსტანტინე და ამით საუკუნოთ წრფელათ მოინადირა მისი გული. ადარნასეს არ მოეწონა ეს გარემოება: ის მოწმე იყო იმ უპირატესობისა, რომელსაც ამ პატიმარს სომხეთის კარზე მის წინაშე ანიჭებდენ, და შეურაცხყოფილი დაბრუნდა ქართლს. ასე მოგვითხრობენ სომეხთა მეისტორიენი. ჩვენი ფიქრით ადარნასე თავისთავს შეურაცხყოფილათ იმით კი არ იგრძნობდა, რომ სასახლეში დატყვევებულ მეფეს პატივისცემით მოეპყრენ, არამედ მით, რომ უფლება ქონდა, როგორც გამარჯვების მონაწილეს, ქოსტანტინეს გათავილსუფლებების პირობათა შედგენაში მიეღო მონაწილეობა; ამ პირობებში ის ალბათ შეიტანდა, რომ ქოსტანტინესთვის ქართლის ის ნაწილი დაებრუნებიათ, რომე-

ლიც აფხაზებმა დაიჭირეს; მაგრამ ამ უფლებებზე ხელი ააღებინეს — და შეეურაცხყოფაც, უეჭველია, ამაში მდგომარეობდა. მან მიიმხრო სომხეთის თავადნი, რომელნიც სუმბატს ესაყვედურებოდნენ, და მათი შემწეობით 907 წელს საკმაოდ დიდი ჯარი შეკრიბა და სუმბატს თავდასხმას უქადიდა: მაგრამ უკანასკნელმა დაასწრო აღარნასეს, დაამარცხა ის და აიძულა — ზავი ეთხოვა იმ პირობით, რომ გაეცა სომხეთის ყველა თავადი, რომელნიც მას ებრძოდნენ <sup>1)</sup>).

ამ წარმატებით გატაცებულმა სუმბატმა გამოუცხადა ომი აღარბადაგანის ემირს იუსუფს, რომელიც ხალიფის მოკტათას ბატონობას გადაუდგა. ის ომი გაგძელდა 914 წლამდე ისე, რომ ხან ერთი მხარე იმარჯვებდა და ხან მეორე. ბოლოს იუსუფმა დასძლია სუმბატი და აიძულა იგი ჩაკეტილიყო მრანდშალის ციხეში. მალე ეს ციხე აიღეს არაბებმა და სუმბატი ტყვეთ ჩაუვარდა იუსუფს, რომელმაც მიიყვანა ის ტოვანს და მისი ცოლშვილისა და მთელი ქალაქის თვალწინ ჩამოახჩო.

სუმბატის სიკვდილს შემდეგ სომხეთი საშინლათ ააოხრეს ცეცხლითა და მახვილით, ადგილობრივი ყველა თავადი შებორკეს ჯაჭვებით და სამუდამო მონობა მიუსაჯეს; ურიცხვი ქრისტიანი თავისი რჯულის მტკიცეთ დაცვისათვის გასწყვიტეს, ქალაქები და სოფლები დაანგრაეს, და რაც არაბებს გადაჩაათ

<sup>1)</sup> Ibid. p. 357.

ნანგრევებში, ქურთებმა, აფხაზებმა, მთიელებმა და ბერძნებმა დაიტაცეს. შინც ხმაღს გადარჩა, ის შიმშილით იღუპებოდა<sup>1)</sup>).

სომხეთი რომ ამგვარ მდგომარეობაში იყო, 915 წ. სუმბატის შვილმა აშოტმა, რკინის კაცათ წოდებულმა, შეკრიბა ექვსასი თავზე ხელაღებული კაცი, გამოაცხადდა ადარნასესთან და სთხოვა მას სომხეთის მეფეთ აღეარებია იგი. ადარნასემ და აფხაზეთის მეფემ დააღვეს მას გვირგვინი და მისცეს შემწეობა იმ უშიშარსა და უღმობელ ომში, რომელიც მან არაბებს გამოუცხადდა. აშოტმა იწყო მათი ცემა — ჟღერა ყოველგან, სადაც კი ხელავდა მათ: მფილისთან, პაკრევანში, შირაქში, ზუქარში, ტაშირის მაზრაში, აღასდევისა და არჯარუნში; მაგრამ, ყველა ამის მიუხედავად, მან ვერ შესძლო სომხეთში მეფობა და უფრო პარტიზანს გავდა, ვიდრე მეფეს. 920 წელს სომეხთა კათალიკოზმა იოანე V I-მ, თავისი სამშობლოს საშიშარი სანახაობით იძულებულმა, დასტოვა თავისი სამყოფი ადგილი და გამოცხადდა ადარნასეს სასახლეში სომხეთისათვის შემწეობის სათხოვნელათ; მაგრამ ადარნასე თვითონაც შევიწროებულ მდგომარეობაში იყო და ფიქრობდა ძოსტანტინეპოლს გამგზავრებას იმავე მიზნით თავისი სამეფოსათვის, როგორითაც მასთან სომეხთა კათალიკოზი მოვიდა.

<sup>1)</sup> Ibid. p. 360.



ლებო, აღმოსავლეთის იმპერიის ისტორიაში, აღარნასეს მოგზაურობის შესახებ ამბობს; საქართველოს მეფეები უფრო იმპერიის მოკავშირე იყვნენ, და ეს მფლობელნი, რომელნიც თავის წინაპრებზე ნაკლებათ ამაყი იყვენ, გადააქციეს ვასალებათ და თანვე მემკვიდრეობით უბოძეს კურატ-პალატის ხარისხიო. მრთი მათგანი, რომელიც 922 წელს მეფობდა, ძოსტანტინეპოლს მივიდა, და იმპერატორი რომანი ეცადა—პატივისცემით მიელოის და იმპერიის მთელი დიდება მის წინ გამოეჩინა. მშვენიერათ მორთეს დიდი მოედანი, რომელზედაც უნდა გაეარა მის ეტლს; აქიდან წაიყვანეს წმ. სოფიოს საკრებულო ტაძარში, რომლის შიგნითა ნაწილიც დიდებულათ იყო შეჩითული, დაშვენებული საუკეთესო სურათებით და ამ მდიდარი ტაძრის ყველა საუნჯით, რომელიც ოქროთი და პატიოსანი თვლებით იყო მოკაზმულიო. მეფე-ბარბაროსი დააბრმავა ამ საუცხოო შეხედულებამ, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა ამ შენობის სიმშვენიერე და საკვირველი სიდიადე, ასე რომ წამოიძახა: „მს არის უმაღლესი არსების სახლიო!“ მან შეადარა ეს ბრწყინვალე სიმდიდრე თავისი ქვეყნის სიღარიბეს და ამით შეადგინა იმპერიის სიძლიერეზე თავისი აზრი და ფიქრშიც არ მოსვლია მისი სისუსტეო <sup>1)</sup>.

სამწუხაროთ, ლებო არც ამ მოგზაურობის

<sup>1)</sup> Histoire du Bas—Empir., tom XCV., p. 428.

მიზანს გვიხსნის და არც იმას, თუ რა სარგებლობა მოუტანა მოგზაურობამ ადარნასეს და მის სამშობლოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოგზაურობას სრულიად უსარგებლოთ ჩაუვლია, იმიტომ რომ ქართველთა მატრიანეები იმას სულაც არ იხსენიებს. აკადემიკოსი ბროსე ამ ფაქტს ქართველთა მეფეს კი არა, სომეხთ მეფეს მიაწერს; მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ბერძენთა თანამედროვე მემატრიანეებს არ სცოდნოდესთ განსხვავება სომეხთსა და საქართველოს შორის—და ისიც, თუ ვის მიეგებენ მართლმადიდებელ საკრებულო ტაძარში.

ადარნასე მოკვდა 923 წელს.

V.

**პერიოდი ადარნასე II-ის სიკვდილიდან ქართლისა და აფხაზეთის სამეფოების შეერთებამდე.**

ქართლში სუმბატ I-ისა და აფხაზეთში ბიორგი II-ის მეფობა.—ბიორგი იფლობს ჩრდილოეთ ქართლს.—ბატონიშვილის ქოსტანტინეს აჯანყება ბიორგის წინააღმდეგ.—შელის-ციხის გარშემორტყმა.—ქოსტანტინეს დაღუპვა.—ბიორგის მოქმედებანი ქანეთის მფლობელის ძვირიკე II-ის წინააღმდეგ.—ლეონ III ბიორგის მონაცვალებთ ხტება.—აფხაზეთის სამეფოს საქმეები.—თორნიკეს ვაჟკაცობანი.—ძვირიკეს განაჩხულებანი.—იოანე მარუშიძე, ღვით კურატპალატი;—ზურგენი და ბაგრატ III.—ქართლისა და აფხაზეთის სამეფოების შეერთება.

ადარნასეს სიკვდილს შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა მისი შვილი სუმბატ I. ამის მართველო-

ბის დასაწყისში აფხაზეთის მეფე ზიორგი II, ქოსტანტინე I-ის შვილი და მონაცვალე (ქოსტანტინე I გადაიკვალა 921 წელში), შევარდა ქართლს და იმის მეფეთ დააყენა თავისი შვილი ქოსტანტინე; მაგრამ სუმბატი ტახტზე დარჩა—და როგორც მამა-მისს, ისე მასაც ეკირა შემდეგი მაზრები: სამცხე, ტაო, ჯავახეთი, ორიალეთი, სამშვილდე, ხუნანის საერისთაო, გარდაბანის ნაწილი, ძლარჯეთი, სომხეთი და შიდა—ქართლი<sup>1)</sup>. აქიდან ჩანს, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირი, რომელიც აფხაზებს ეკირათ აფხაზეთის მეფის ქოსტანტინე I-ის სიკვდილიდან მოკიდებული თითქმის ადარნასეს სიკვდილამდე (921<sup>1</sup> დან 923 წლამდე), ამ უკანასკნელს წაურთმევია აფხაზებისათვის, და რომ ზიორგი II ქართლს მისთვის შეესია, რომ აფხაზეთის სამეფო აღედგინა იმ საზღვრებში, რომელშიც იყო მისი მამის დროს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ქოსტანტინეს სიკვდილს შემდეგ აფხაზეთი შეშფოთდა ზიორგისა და მისი ძმის ბაგრატის ურთერთშორისი ომით ტახტის დაფლობისათვის, და ამ სამეფოს დარღვევაც მოელოდა, ბაგრატი რომ მალე არ მომკვდარიყო.

ბატონიშვილმა ქოსტანტინემ თავისი წილ-

1) ქართლი არის საქართველოს ნაწილი; შიდა-ქართლი არის ქართლის შიგნითა ნაწილი, რომელიც იმერეთსა და ქახეთს შუა მდებარეობს და რომელსაც უფრო ხშირათ მარტო ქართლს უწოდებენ.

ხოლომლის მართვის დროს სამი წლის განმავლობაში ქართლებების მხრით წრფელი სიყვარული და იმსახურა და ზოგიერთმა სამხედრო წარმატებამ ტაოსა და მასპურაკანის მფლობელთა წინააღმდეგ<sup>1)</sup> იმდენათ გაიტაცა, რომ 926 წელს განიზრახა — მოეშორებია ქართლი აფხაზეთის სამეფოსათვის. ზიორგის პირველათ არ სჯეროდა ეს, მაგრამ დარწმუნდა თუ არა, მაშინვე შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარები აფხაზებისა, კახელებისა და ზოგიერთი სხვა მეზობელი ხალხებისაგან და ქართლზე გაილაშქრა. ბატონიშვილი უფლისციხეში შევიდა და აფხაზთა მრავალრიცხოვანობას წინ დაუყენა ადგილობრივი სიმაგრეები. ზარშემორტყმა დიდხანს გაგძელდა ისე, რომ არავითარი წარმატება არ ქონია და სისხლი ყოველ ღღეს იღვრებოდა. ბოლოს ზიორგიმ ხერხი იხმარა: შეადგინა დეპუტაცია და მიუგზავნა ქოსტანტინეს, ვითომდა ჯარი უთვლიდა მას: „მოუთმენელათ მოველით შენს მოსვლას ჩვენს ბანაკში. რომ მამა-შენი ჩამოვადლოთ ტახტიდან და შენ აღვიაროთ მეფეთო“. წინდაუხედავმა ქოსტანტინემ დაიჯერა დეპუტაციის სიტყვები და, ქართლის თავად-აზნაურობის ყველა წინააღმდეგის რჩევის მიუხედავათ, ის და მასთან რამდენიმე ჯარის-კაცი დასხდენ ტივზე და მტრის ბანაკისაკენ გასცურეს. მაგრამ ცივი თავ-

<sup>1)</sup> მგონებ ლეხო ამ წარმატებას იხსენიებს XIII ტომში, 447 გვ.

თხელზე გაჩერდა და დილას, ორივე მხრის თვალწინ, აფხაზები ჩაცვინდენ წყალში ძოსტანტინეს დასაქვრათ. რაკი დარწმუნდა, რომ მოგტყუვდიო, ძოსტანტინე თავისი ამხანაგებიანათ გადავარდა წყალში და ნაპირზე დაიმალა. მალე ის იპოვეს ერთ გამოქვაბულში და მიიყვანეს მამა-მისთან; ზიორგიმ მიუსაჯა მას წამება და სიკვდილი.

იმის მაგიერათ ზიორგიმ დანიშნა ქართლში თავისი მეორე შვილი ლეონი, მაგრამ მეფის ხარისხით კი არა, არამედ ერისთავის სახელწოდებით; რა იყო ხარისხის დამცირების ზიზეზი—არ არის ცნობილი.

929 წელს ქახეთში, ძვირაკე II-ის მართველობის დასაწყისში (ეს იყო 918 წელს გადაცვლილის ძვირიკე I-ის შვილიშვილი და 929 წელს გადაცვლილის შადლას შვილი) აჯანყდენ გარდაბანლები და ზიორგი მოიწვიეს კახელების წინააღმდეგ. პატვის მოყვარებამ გამოაცხადებია მას თანხმობა; ის მივიდა კახეთს და მისი ნაწილი ნაცარტუტათ აქცია. მაგრამ როგორც არ გადაუწყვეტია ქორეპისკოპოზთა დამოკიდებულებისაგან გარდაბანელთა გათავისუფლების საქმე, ისე დაბრუნდა საზამთროთ ბტენს და აქ იწყო მზადება ახალი ლაშქრობისათვის. მშიშარასა და ულონისძიებო ძვირიკეს იმედი არ ქონდა წარმატებით მასთან შებრძოლებისათვის და ამიტომაც მორჩილებით გამოცხადდა მის წინაშე; მაგრამ რამდენიმე ხანს შემდეგ

გაქცევა განიზრახა.

როცა ეს ზიორგიმ შეიტყო, დაატუსაღა იგი და თვითონ ქახეთს გაემართა. ჭვირიკეს ძმა წინ მიეგება მას და დაანება შჯარმა და რამდენიმე სხვა ციხე-სიმაგრე; დაუმორჩილებელი რჩებოდა მხოლოდ ოთხი ციხე: ბოჭორმის, ნახჭევანის, ლოწობანისა და მარანის.

შკანასკნელი ორი ციხე ეკუთნოდათ ძმებს იოანესა და ხახო პრეიძეებს; პირველი ამათგანი ისე დამორჩილდა, რომ მაინცადამაინც არაფერი წინააღმდეგობა ვაუწყებია, ხოლო მარანი დიდხანს გამაგრდა და ზიორკი მოთმინებიდან გამოიყვანა; ბოლოს ისიც აიღეს და ხახო ჯიქეთს გადაასახლეს. ამგვარივე ხვედრის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი ციხეების მფლობელებიც, და ზიორგიმ მიყო ხელი ნახჭევანის გარშემორტყმას თუ არა, ჭვირიკემ აცნობა მას, რომ ხელს ვიღებ ქახეთზე შენს სასარგებლოთ — იმ პირობით, რომ არ დამპატიწრო და ზამთრის გასატარებლათ მომცე ბოჭორმის ციხეო; ამასთანავე პირდებოდა, რომ გაზაფხულზე გადავესახლები ქახეთიდანო. ბატონიშვილი ლეონი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, ყველა მისი რჩევის მიუხედავათ, ზიორკი დათანხმდა ჭვირიკეს თხოვნაზე და აფხაზეთს დაბრუნდა — ამას შემდეგ გავიდა დიდი ხანი, მაგრამ ჭვირიკე ქახეთს არ შორდებოდა. ქართლის ძლევამოსილი თავად-ახუნაურობისაგან მხარგამაგრებულმა — უარი გააცხადა

მან ტახტის უარყოფაზე, რომელიც მისი უკიდურესი მდგომარეობით იყო გამოწვეული, და განდევნა აფხაზები ყველა ციხიდან, რომელიც მათ ეჭირათ.

ამ ამბის შეჯახობამ ისე შეაწუხა ზიორგი, რომ ის ავით გახტა, — და ძვირიკეს დასასჯელათ ლეონის წინამძღოლობით გაგზავნა ჯარები. მივიდა ლეონი ძახეთს თუ არა, ცნობა მიიღო, რომ ზიორგი გადაცვლილიყო. ბატონიშვილი აფხაზეთს დაბრუნდა, ავიდა ტახტზე ლეონ III-ის სახელით და ძვირიკესთან ზავი შეკრა იმ პირობით, რომ ძახეთს მის განკარგულებაში სტოვებდა.

მს იყო 955 წელს.

ამ გარემოებათა აწერის დროს ჩვენ ქართულ მატრიანეთა გარდა სხვა წყაროები არა გვქონია. სომეხთა ისტორია მოგვითხრობს რამდენიმე ომის შესახებ, რომელიც სომეხებს გადაუხტიათ აფხაზეთის მეფის წინააღმდეგ და რომელშიც გამარჯვება თითქო ყოველთვის მათ დარჩენიათ, მაგრამ რამდენათ სამართლიანია ეს ცნობა, ჩვენ არ შეგვიძლია ამის შესახებ არაფრის თქმა. „ქართლის — ცხოვრება“ ზიორგის გვიხატავს მშვენიერი სულისა და გარეგანი შეხედულობის მექონ კაცათ, რომ ის ყოფილა ჭკვიანი, საქმის მოყვარე, სიმართლის სასტიკი დამცველი, ქვრივთა და ობოლთ მოწყალე. მატრიანე ამბობს, რომ ზიორგიმ მრავალი ეკლესია ააშენაო, მაგრამ სახელდობ რომელი ეკლესიები, ამას არ

იხსენიებს.

აგრეთვე ვერაფერი ვიპოვეთ ჩვენ ვერც ადგილობრივსა და ვერც უცხო მატრიანეებში სუმბატისა და სამხრეთი ქართლის სვებედის შესახებ; მხოლოდ ეს ვიცით, რომ სუმბატი მოკვდა 958 წელს და მის მემკვიდრეთ დაჯდა შვილი მისი ბაგრატ II—რეგვენი.

ლეონ III-მ იმეფა სულ ორ წელს, ეომა ქორეპისკოპოზს ძვირიკეს და მოკვდა 957 წელს უშვილოთ. მის სიკვდილს შემდეგ აფხაზეთის ტახტზე ავიდა მისი ძმა ღიმიტრი. ბიორგი II-ეს, ლეონსა და ღიმიტრის გარდა, ყავდა კიდევ შვილი, სახელათ თევდოსი, რომელიც გაგზავნილი იყო კონსტანტინეპოლს-- ვითომდა აღსაზღველათ, ნამდვილათ კი ქიშობის მოსასპობათ, რომელიც მის სიკვდილს შემდეგ მოსალოდნელი იყო ძმებს შორის. ბიორგის აღბათ ქონდა ამ შიშის მიზეზები. მისი შიში მაშინვე დამტკიცდა, რაკი თევდოსიმ გაიგო ღიმიტრის ასვლა ტახტზე. ის მივიდა სამცხეს და იწყო ძმის თავდასხმისათვის მზადება, მაგრამ ღიმიტრის ჯარებმა დაამარცხეს იგი და აიძულეს— გაქცეულიყო ქართლს და მიემართა ერთის ძლიერი ფეოდალის, ადარნასე ძელელის, მფარველობისათვის. ბამარჯვებულნი დაედევნენ მას უკან, თევდოსი ჩაეკეტა ძამის ციხეში, რომელიც სამი თვის გარშემორტყმას შემდეგ დამორჩილდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბატონიშვილი უფნებლათ გაეშვათ.





ამ ეპოქას ეკუთნის ქართველთა სახელოვანი ღვაწლი, რომელიც მათ თავის სამშობლოს გარეთ ჩაიდინეს. 976 წელში იმპერიის აღმოსავლეთის მახრების მართველმა, ბარდა სკლეროსმა, მოინდომა უმაღლესი ხელმწიფების ხელში ჩაგდება, წინააღუდგა ჰასილ II-ს და სწრაფი წარმატებით ქოსტანტინეპოლის კარს უკიდურესი საშიშროება მიაცენა. როცა ჰასილის საუკეთესო სარდლები დაამარცხეს, ჯარები დახოცეს და მრავალი ქალაქი ააოხრეს. — იმპერატორმა შემწევობისათვის საქართველოს მიმართა. მის მიერ მინაწერი წერილები ქოსტანტინეპოლიდან გაატანეს ათონის მონასტრის ერთ ბერს, ქართველთ აზნაურთა შთამომავლობისას, თორნიკეს. თორნიკე გამოცხადდა ტაო-აღლარჯეთის მთავართან, ლავიტ-კურატპალატთან, რომელიც ბაგრატიონთა უმცროსი შტოს ერთი წევრთაგანი იყო, და გამოუცხადა, თუ რა დიდათ სასარგებლო იქნებოდა მისთვის ის გარემოება, რომ იმპერატორი აძლევდა მას სამუდამოთ ბერძენთა მიწების ნაწილს, და დაარწმუნა, რომ აუცილებლათ საჭირო იყო გაეგზავნა იმპერიისთვის დასახმარებლათ თორმეტი ათასი კაცი. თვითონ თორნიკემ იკისრა ქართველთა ლაშქრის უფროსობა, შეუერთა იგი იმპერატორის ჯარის გადანარჩენთ და მცირე აზიაში მტრის საძებრათ გაემართა; ის გაჩერდა ვაკეზე, რომელსაც რწყავს მდინარე ლალისი და რომელიც გამოსადეგი იყო ცხენოსანთა ჯარის სამოქმედოთ. სკლე-

როსმა თავისი მხრით აღიბის ემირს საჩუქრები გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა. მაგრამ ემირის ჯარებმა დააგვიანეს და სკლეროსი ისე დამარცხდა, რომ მან და მასთან სამასმა მხედარმა გაქცევით ძლივს უშველეს თავს. ზამარჯვებულებმა დიდძალი ალაფი გაიყვეს. ჭართველთა ამ გამარჯვების წყალობით დამშვიდდა საბერძნეთის იმპერია, ხოლო მათი კეთილმოღობების მეოხებით გამშვენებულა ათონის მთაზე ივერიის მონასტერი და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში აშენდა მრავალი ეკლესია, რომელიც შესანიშნავია ხუროთმოძღვრებით და სამკაულთა სიმდიდრით<sup>1)</sup>.

თევდოსი ძამთან დამარცხებას შემდეგაც არ ანებებდა თავს აფხაზეთის ტახტის ძიებას. მან ჯერ საქართველოს სამხრეთ დასავლეთის ნაწილის მახრების სხვადასხვა მთავარს მიმართა, მაგრამ, რადგან მათ შორის სრული თანაგრძობა ვერ დაინახა, ძახეთს გაემართა და იქ მოიპოვა უფრო საიმედო დახმარება. ლიმიტრი ერიდებოდა ომს, რომლის წარმატებაც საეჭვო იყო; მას იმედი ჰქონდა, რომ თევდოსის სხვა გზითაც გაუსწორებდა ანგარიშს, და ამიტომ ძვირიკე II-ს კაცი გაუგზავნა და სთხოვა ჩამდგარიყო შუაში და მოერიგებია ისინი. ძვირიკემ ორივე ძმას მოსთხოვა — დავერწყებიათ უწინ-

1) „ქართლის ცხოვრებას“, ლებოსა და ჩამჩიანს გარდა ამ გარემოებას მოწმობენ აგრეთვე საფარის ტაძრის წარწერანი და ათონის მთის ივერიის მონასტრის მატრიანეები.

დელი მტრობა და ერთად ესარგებლებიან თავისი მამის ზიორგის სამკვიდრო მამულებით.

ორივე მხარემ მტკიცეთ შეფიცა ერთმანეთს მცხეთის ტაძარში, სადაც შეკრებილი იყვნენ ღიმიტრი, <sup>მ</sup>თევდოსი, ჰვირიკე და იმ დროის ყველა ადგილობრივი დიდებული. შერიგდნენ თუ არა, ორივე ძმა აფხაზეთს წავიდა. მაგრამ ღიმიტრიმ მალე დაარღვია ფიცი: მან დააჭერია თევდოსი, თვალები დაწვევია მისთვის და საკანში ჩააგდებია. ამ უღვთომა და უღმობელმა მოქმედებამ ყველა ააღელვა და ყველა მოაშორა ღიმიტრის. 979 წელს აფხაზებმა ჩამოაგდეს იგი ტახტიდან, და რადგან მისი შვილი, როგორც სუსტი ნიქის პატრონი, ტახტის ღირსი არ იყო, ბრმა თევდოსი საპყრობილიდან გამოიყვანეს და თავის მეფეთ აღიარეს.

ამასობაში ჰვირიკემ, რომელსაც გულში თავისი განზრახვები ქონდა, ქართლზე გაილაშქრა და შთლისციხეს ალყა შემოარტყა. მაშინ ქართლის ერთმა თავადთაგანმა, იოანე მარუშიძემ, რომელსაც არ უნდოდა, რომ ეს მხარე მუდამ სხვის ნებაყოფლობის საგნათ გამხთარიყო, წინადადება მისცა ღავით-კურატპალატს, მაშინდელი დროის ცნობილ გმირს, მოსულიყო ჯარებიანათ და დაეჭირა იგი ან მიეცა ზურგენ-კურატპალატის შვილისათვის, სუსტი ქკუს მეთის ბაგრატ-რეგვენის შვილიშვილის ბაგრატისათვის. ღავითმა მიიღო იოანე მარუშიძის წინადადება და, რადგან უშვილო იყო, 980 წელს

იშვილა ბაგრატი, შემდეგ ქართლს შევიდა, გაამეფა ძვირიკე და ტახტზე თავისი შვილობილი აიყვანა, მაგრამ ამასთანავე არ ჩამოუერთმევია მეფის ხარისხი ბაგრატი-რეგენისათვის, რომელიც ამას შემდეგ, როგორც წინათაც, სრულიად უსაქმოთ იჯდა.

ქართლის ახალმა მართველმა თავი იჩინა ბაგრატი III-ის სახელით. ეს არჩევანი ფრიად საკეთილდღეო შეიქნა საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის. როგორც აფხაზეთის მეფის, უშვილო ტედლოსის, დისწული, ის ითვლებოდა მისი ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეთ. მისი ჭკუა და მოქმედება, რაიცა მან შემდეგში გამოიჩინა, და მასთანვე ქართლის მეფის მემკვიდრეს ზურგენთან და ღვინთ-კურატპალატთან მისი ურთიერთობა, — პირველთან — როგორც კვიდრ მამასთან, და მეორესთან — როგორც მაშვილებელთან, — სრულიად უზრუნველყოფდენ საქართველოს ბედობას. ამ სამმა პირმა, საერთო ინტერესებით შეერთებულმა, ერთობით მოქმედება იწყო. ამასთანავე დროც ძალიან უწყობდა ხელს ამ კავშირს.

სისწრაფით აღმოცენებულმა არაბთა ბატონობამ თავისი დაცემის ნიშანი მაშინ გამოიჩინა, როცა ის თავისი ძლევამოსილობითა და დიდებით ჯერ კიდევ უმაღლეს ხარისხზე იდგა. ეს ნიშნები გამოჩნდა სახელოვანი ჰარუნალრაშიდის სიკვდილის ცოტა ხანს შემდეგ მის მონაცვალეთა შორის ურთერთ შორის ომიში და მერე შეუწყვეტლათ თან-

დათან ფეხს იკიდებდა და ძლიერდებოდა, ასე რომ მე X საუკუნეში არაბთა ბატონობამ სისწრაფით მიაწია სრულ დამხობამდი ხალიფების წინააღმდეგ სხვადასხვა მხრის ემირთა აჯანყებებმა წაართვა მათ საშვალეობა — დაეცვათ ფრიად ვრცელი სახელმწიფოს ნაწილებში უწინდელი კავშირი, და უშორესი ნაწილები, როგორც, მაგალიდად, ოფილისის საემირო, ცენტრალური ხელმწიფების მხრით უყურადღებოთ და უმწეოთ მიტოვებულნი იყო. ამიტომაც ოფილისის ემირებს აღარ ქონდათ ღონე-შეეჭვრებიან საქართველოს შინაგან ცვლილებათა მოძრაობა.

ბაგრატ III რომ ქართლის მეფეთ დაადგინეს, პირველ წლებში, მისი მცირე წლოვანობის გამო, ამ მხარეს მართავდა მამა-მისი ზურგენი, როგორც მზრუნველი და როგორც თვისი მამის ბაგრატ-რეგენის უახლოესი მემკვიდრე. ღვეით-კურატპალატი კი თავის სამკვიდრო მამულებში ცხოვრობდა და აქიდან ეძებდა ზომებს საქართველოს გარეგანი უზრუნველყოფისათვის.

ამასობაში, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ქვეყნის დიდ ცვლილებათა გამო, ქართლშიც შევიდა მოწინააღმდეგე პარტიები. მართი მათგანის მოთავე იყო იოანე მარუშიძე, ზურგენის, ბაგრატისა და ღვეითის ერდგული თანამოღვაწე, მეორის კი — თავადი ჭავთარ ტბელი, თავგასული თავად-აზნაურობის მოთავე და მეფის ხელმწიფების გაძლიერების წინააღმდეგი. პირველი პარტია გატა-

ცებული იყო პატრიოტიზმით, მეორე კი — იმ ფეოდალთა პირადი ინტერესებით, რომელნიც უმაღლესი ხელმწიფების დაცემით სარგებლობდნენ და თავის გავლენას ავრცელებდნენ. მავთარმა საიდუმლო კავშირი დაიჭირა ქორეპისკოპოზ ჭვირიკესთან, გამოიწვია ის ჯარებიანათ და დააჭერია ქალაქი შუღლისციხე, ზურგენი და ბაგრატი კი ტყვეთ ჩაუგდო ხელში. მაგრამ ღვითის სწრაფმა მოძრაობამ და მისმა მუქარებმა აიძულა ჭვირიკე — დაუყოვნებლათ გაეთავისუფლებია ტყვეები და მართლიდან გასულიყო.

ამავე დროს აფხაზეთში ღელავდა იქაური თავად-აზნაურობა. ბრმა თევდოსიმ, რომელიც ტახტზე მისი უბედურებისადმი თანაგრძნობის გამო აიყვანეს, ვერ შესძლო სამეფოს მართვა — და ამიტომ მისი საბძანებელი ინტრიგების საგნათ გადაიქცა. ამ შემთხვევითა და მართლის დამშვიდებით ისარგებლა იოანე მარუშიძემ და არეულობაში მონაწილეობა მიიღო; მან მოიმხრო აფხაზეთის თავად აზნაურობის უმეტესი ნაწილი და თევდოსის სიკვდილს აღარ უყურა — ისე მიიწვია ტახტზე ბაგრატი. მაგრამ, რაკი იცოდა, რომ ბაგრატი ღვითის უთანხმოთ არაფერს ჩაიდენდა, მარუშიძემ ურჩია აფხაზებს — გაეგზავნათ ღვითთან დეპუტაცია და გამოეცხადებიათ მისთვის უმეტესობის სურვილი. ღვითმა მოისმინა დეპუტაციის მოციქულობა, მაგრამ ალბათ უნდოდა დაემალა მისთვის თავი-

სი კმაყოფილება საქართველოს შეერთების შესახებ, რაიცა მას დიდი ხნის განზრახული ჰქონდა, ან შეიძლება აფხაზეთის უკანასკნელი აჯანყების ეშინოდა, და ამიტომ თანხმობის გამოცხადებას არ იჩქაროდა. ამ თხოვნაზე მან სთქვა: „მე, როგორც უშვილომ, ვიშვილე და ავზარდე ბაგრატი და იმის იმედი მაქვს, როგორც ჩემი მემკვიდრისა, და ამიტომ აფხაზეთს მისი გაშვება ისე არ შემიძლია, თუ ძველებით არ უზრუნველმიყვეს მისი სიცოცხლე.“ და როცა აფხაზებმა მისცეს მას ძვეალნი საუკეთესო გვარებიდან, მან აკურთხა ბაგრატი და შუთაისს გაუშვა. ხალხმა დაიფრცა მის ერდგულებაზე—და ის ავიდა ტაბტზე 985 წ. ამნაირათ შეერთდენ ქართლისა და აფგაზეთის სამეფოები ბაგრატ III-ის მართველობით.

## VI.

### ბაგრატ III-ის მეფობა.

მეფდოსის გასტუმრება აფხაზეთიდან.—ძავთარ ტბელის შეთქმულება ქართლში.—მეამბოხეთა დამარცხება თიღვაზე.—რატი მრბელიანის აჯანყება; მისი კავშირი ღავით-კურატპალატთან. ამ კავშირის დარღვევა.—რატის დამარცხება და მისი ტყვეთ წაყვანა.—ღავით-კურატპალატის სიკვდილი და მის სამფლობელოთა გადაცემა ანდერძით იმპერატორის ვასილ II-ისათვის.—ბურჯენის ომი ბერძნებთან.—მისი სიკვდილი და ბაგრატ III-ს ერთმთავრობა.—ქახეთის დაპყრობა.—მძი ბანჯის ემირთან.—ბაგრატის მოგზაურობა და მისი სიკვდილი.

როცა ბაგრატმა აფხაზეთის მართვას ხელი მი-  
ყო, მისი პირველი საქმე ის იყო, რომ **მევედოსი**  
ამ ქვეყნიდან **ღვით-კურატპალატის** საბძანებელში  
გაესტუმრებია. მას კარგათ ესმოდა, რომ მეფეთ-  
ყოფილისა და მასთანვე მისი ბიძის ყოფნა ამ ქვე-  
ყანაში ღიდ დაბრკოლებას ამოუჩენდა: მხედველო-  
ბაში მას ქონდა ხალხის ჩვეულებანი, რომ,  
მართლმსაჯულების წინააღმდეგ, მიმართავდენ ხოლ-  
მე გავლელიანი პირის შვამდგომლობას. **მტკიცე**  
სამართლიანობის წყალობით, რომლითაც მან თავისი  
მართველობის პირველი დღეებიდანვე იწყო  
ხელომძღვანელობა, მალე დამყარდა აფხაზეთის სამე-  
ფოში წესრიგი. მაგრამ იმ დროს, როცა სურამის  
ქედიდან დასავლეთისაკენ ბაგრატი ამისთანა მზრუნ-  
ველობით ამყარებდა წესიერებას, ქართლში შედგა  
შეთქმულობა, რომელსაც აზრათ ქონდა ხელი აე-  
ღებინებია მისთვის ამ ქვეყნის ხელმწიფებაზე.

ამ შეთქმულობის მოთავე იყო იგივე ქვეთარ-  
ტბელი. მისი წინამძღოლობით შეიკრიბა შექტურვილ  
ქართლელთა დიდძალი რიცხვი და ისინი დადგენ  
აფხაზეთსა და ქართლს შუა მიმოსასვლელ გზაზე.  
**თავად-აზნაურობა** თავის ნებაზე მოქმედებდა და  
დროებით მართველს, ბაგრატის დედას **ზურანდუხტს**,  
არავინ ემორჩილებოდა. „ქართლის ცხოვრება“ არ  
გვიჩვენებს, თუ სად იყვენ ამ დროს და რას  
შვრებოდენ ბაგრატი-რეგვენი და ზურგენი, რომ  
ქართლს ზურგენის ცოლი მართავდა, და არა ისინი.



ზაიგო ბაგრატიმ ეს არეულობანი თუ არა, საჩქაროთ წაიყვანა აფხაზთა ჯარი, საშინლათ დაა მარცხა მეამბოხენი თიღვაზე და ქართლს შევიდა.

მოკლე ხანში, როგორც ჩანდა, მან ყველაფერი თავის წესრიგზე დააყენა, თან წამოიყვანა თავისი დედა და ძეთაისს დაბრუნდა, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით მიყო ხელი აფხაზეთის სამეფოს საქმეებს.

მაგრამ ქართლიდან მის სისწრაფით გამოსვლას ის მოყვა, რომ მეამბოხეები არ დაეცენ სულით და რამდენიმე წელს შემდეგ უფრო დიდი ძალით შეიკრიბენ რატი მრბელიანის წინამძღოლობით. ამ თავადს დიდძალი მიწაწყალი ქონდა. მდინარე მტკვრის სამხრეთით, ატენიდან და ქლდეკარიდან დაწყებული თრიალეთამდე; მასვე ეკუთნოდნ მანგლისი და სკვირეთი. თუმცა რატი ძლიერი იყო, მაგრამ მაინც ეშინოდა ბაგრატის შებმისა, რადგან ფიქრობდა, რომ ღავით-კურატპალატი მოეხმარებოდა. ამიტომაც რატი არწმუნებდა ღავითს, რომ შენი პირადი უშიშრობისათვის აღვიჭურვე აფხაზეთის მეფის წინააღმდეგ, რადგან მას განზრახვა აქვს— თავს დაგესხასო. ღავითს პირველათ არ შეეძლო არ შეეტანა ეჭვი ამისთანა უმადურობაში ბაგრატის მხრით, რომელიც მას უზომოთ უყვარდა; მაგრამ ცრუ მახეზღრებმა, რომელნიც მასთან შეუწყვეტლათ იგზავნებოდნ, ბოლოს შეარყიეს იგი. ღავითმა მოიწვია ქართლისა და სომხეთის ყველა

მთავარი და **თრიალეთს** მიმართა. **ბაგრატ-რეგვენ-**მა მისი მხარე დაიჭირა, შეკრიბა აგრეთვე მრავალრიცხოვანი ჯარი და **შავშეთს** შევიდა; **ჩატი** ამ დროს, **როგორც** ჩანს, **მანგლისსა** და **ატენს** შუა იდგა.

**ბაგრატ III-მ**, ამ საქმეების გარემოებით განცვიფრებულმა, შემწეობა სთხოვა თავის მამას. მაგრამ **შურგენი** აფხაზების მოსვლამდი შეებრძოლა **რეგვენის** ჯარებს, დამარცხდა და თავის შესაფარავათ **წეთის** ციხეში გაიქცა ამას შემდეგ **ბაგრატს** ერთადერთ იმედათ მისი სიმართლე ჩჩებოდა. ის მივიდა **თრიალეთს**, დააყენა აფხაზები **ღავით-კურატპალატის** ბანაკის პირდაპირ და თვითონ მასთან წავიდა მარტო. **ღავითის** კარავთან მისმა ამ სახით გამოცხადებამ და მოკლე მოლაპარაკებამ გაფანტა მათ შორის მომხთარი ყველა ეჭვი. **ღავითი** უწინდლურათ მოვალეგრსა თავის **შვილობილს** და მიანდრო მას შეამბოხე თავადის დაცხრომა, თვითონ კი გაუშვა თავისი მოკავშირეები და ტაოს წავიდა.

**ბაგრატმა** არ ისურვა საეჭვოთ გაეხადა თავისი გამარჯვება და **ჩატის** თავს დასხმოდა იმ დროს, როცა ის სრულიად მზათ იყო საომრათ, და ამიტომ ისიც დაბრუნდა **აფხაზეთს**; მაგრამ, როგორც კი ზამთარი მოვიდა და **ჩატი**მ თავის თანამოაზრეთა ბრბოები გაუშვა, **ბაგრატმა** სისწრაფით ძართლს მიმართა და **ქლდეკარს** ალყა შემოარტყა. **შეკრათ** განსაცთელში ჩავარდნილი **ჩატი** ციხიდან გამოვი-

და და ზაგრატს უცილობელი მორჩილება გამოუცხადა, თავისი შვილი ლიპარიტი ამანათად წარუდგინა და გაემგზავრა საცხოვრებლათ მისთვის დანიშნულ ადგილას, აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში, სახელდობ— არგვეთს.

რატისა და მის თანამოაზრეთა დაცხრომა არ შეიძლება მომხთარიყო 994 წლის უგვიანეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ წელში მოკვდა ზაგრატი II რეგვენი, რომელიც, როგორც დავინახეთ, მონაწილეობას იღებდა ამ გარემოებაში. მისი სიკვდილის წელიწადი უნდა ჩაითვალოს ზურგენის მეფობისა და შართლში წესრიგისა და ხელმწიფების აღდგინების დასაწყისათ, — ეს უკანასკნელი გაქარწყლებული იყვენ ადგილობრივი ფეოდალების მეოხებით იმ დროს, როცა იქ არაბთა გავლენით დაცემულ-დაუძღურებული პირები მეფობდენ.

ზაგრამ, ჩვენის აზრით, ზურგენის მეფობა არ მოასწავებდა შართლის განცალკევებას აფხაზეთის სამეფოსაგან. ზაგრატი III-ის მემკვიდრეობითმა უფლებამ ისე შეაკავშარა მამა და შვილი, რომ ზურგენის ტახტზე ასვლა, უნდა ვიფიქროთ, იყო მხოლოდ მოხუცის თავმოყვარეობის დაკმაყოფილება, რადგან იმასაც მინიჭებული ქონდა მეფობის უფლება. თუმცა ამასთანავე მან „მეფეთ მეფის“ ხარისხი მიიღო (იმ დროს ეს შემოღებული იყო დანაწილებულ სამეფოთა დინასტიის უმთავრეს წევრებს შორის), რაიცა ნიშნავდა უპირატესობას მისი დინასტიის

სხვა მემკვიდრე წევრებზე, — მაგრამ ნამდვილათ კი მასთან უპირატესობა მის შვილს ეძლეოდა.

1001 წელს მოკვდა ლავით-კურატპალატი <sup>1)</sup> და ყველა თავისი მიწაწყალი ზაგრატს კი არ უანდერდა, როგორც დაპირებული ქონდა, არამედ ვასილს. <sup>2)</sup> იმპერატორი ამ დროს ქალაქ ტარსში იყო, და როცა ეს ამბავი გაიგო, თავის ახალ სამეფოში გაემგზავრა. ზაგრატი და ზურგენი შეეებენ მას აჯიჩის მალღობზე და ერთმანეთს თავდაბალი სალაში მისცეს. ამ ნახულობის დროს ვასილმა ზაგრატს კურატპალატობის ხარისხი უბოძა, ზურგენს კი — მაგისტრის. „ჭართლის ცხოვრება“ ამბობს, თითქო იმპერატორს ეს უპირატესობა ზაგრატისათვის იმ მიზნით მიენიჭებოდა, რომ მამასა და შვილს შორის მტრობა ჩამოეგდო და ამით მთელი საქართველო ხელში ჩაეგდო; მაგრამ რამდენათაც იმპერატორისაგან შეურაცხყოფილი იყო ზურგენი, იმდენათვე ძვირათ მიაჩნდა შვილის სიყვარული — და ამიტომაც ეს ვერაგობა საიმპერატორო მამულებისათვის მხოლოდ მავნებელი შეიქნა.

როცა ვასილი და ზურგენი ჯერ კიდევ ტარსში იყვნენ, უეცრათ მოხთა ერთი ამბავი, რომელიც ზურგენმა მათ შორის ომის მიზეზათ ჩასთვალა. ვასილის ერთმა მხედართავანმა ჩხუბი აუტეხა ზურგე-

<sup>1)</sup> Hist. de la Géorgie par Brosset, p 297.

<sup>2)</sup> Lebeau. Hist. du Bas-empire, tom. XIV, p. 183.

ნის ცხენოსანი ამალის ქართველს, ცხენის საკვების-  
გამო. მრივეს ამხანაგებმა მიიღეს ჩხუბში მონაწი-  
ლეობა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ზურგენის  
ამალის უმეტესი ნაწილი - მრავალი დიდებული ქარ-  
ველი — გასწყვიტეს. თუმცა იმპერატორი სრული-  
ად არაფერ შუაში ყოფილა ამ უსიამოვნო შემთხვე-  
ვის დროს, მაგრამ წავიდა იქიდან თუ არა, ზურ-  
გენი თავს დაესხა ტაოს, დაიჭირა ის და იწყო  
მცხოვრებლების ელეტა. მასილმა მის წინააღმდეგ  
თავისა სარდალი ძანკელი გაგზავნა (შესაძლებელია  
ჯაყელი ყოფილიყო), მაგრამ ხანგრძლივ ბრძოლას  
შემდეგ იძულებული შეიქნა - ზავი შეეკრა ზურგენ-  
თან და დაეთმო მისთვის ტაოს ნაწილი <sup>1)</sup>).

ზურგენი მოკვდა 1008 წელს და შემდეგ ბაგ-  
რატი III-მ იწყო ჯარების გამრავლება — ერთი მხრით  
სამეფოს სამართავათ და მეორე მხრით მეზობელ  
მხარეებზე თავისი გავლენის გასაძლიერებლათ. რაკი  
თითქმის მთელი ძველი საქართველო, ძახეთს გარ-  
და, მას ეჭირა, ჰვირიკე II-ის მონაცვალეს ქორ-  
ეპისკოპოზს ღავითს მოსთხოვა — სრულიად დამორჩი-  
ლებოდა მას და ზოგიერთი ციხე მისი ჯარებისა-  
თვის გადაეცა ამ მოთხოვნის პასუხათ ღავითმა  
ომი გამოუცხადა. 1010 წელს ბაგრატი შეესია თია-  
ნეთით, მალე დაიჭირა ძახეთის ნაწილი, ჰერეთად  
წოდებული, და მისცა ის სამკვიდროთ თავად აბუალს.  
მაგრამ, როცა ბაგრატი გაბრუნდა, ჰერეთის მცხოვ

<sup>1)</sup> Tchamtchian, tom II. p. 873; ნახე Lebeau, tom. XIV p. 185.

რებლებმა აბუალი გააძევეს და ისევ ღავითს დაემორჩილენ. ღავითი იმავე წელს მოკვდა და ძვირიკე III-მ, რომელმაც მას შემდეგ დაიჭირა ტახტი, მეფის ხარისხი მიითვისა.

ამგვარათ 1012 წელს ბაგრატმა შეაერთა მთელი საქართველო და მისი საზღვრების უშიშრობისათვის იწყო ზრუნვა. იმ დროს ძახეთის ყველაზე უფრო მოუსვენარი მეზობელი იყო ემირი შარვა<sup>1)</sup>, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ზადლონს უწოდებს<sup>2)</sup>. რადგან ის ამ მაზრას, განუწყვეტლათ ავაზაკურათ თავს ესხმოდა ბაგრატი იძულებული შეიქნა — გაელაშქრა ზანჯაზე და შემწეთ სომეხთა მეფე ჰალიკ I მოეწვია. თვით ჰალიკსაც სძულდა ეს ემირი და ამიტომ ბაგრატის მიწვევაზე სისწრაფით დათანხმდა. მრივე მეფის ჯარები ზორაკერტში შეერთდნენ. ზადლონს იმედი არ ქონდა, რომ წარმატებით ეომა მათ წინააღმდეგ ვაკეზე, და ამიტომ შამქორის ციხეში ჩაეკეტა. მეკავშირეებმა ალყა შემოარტყეს მას და ცოტა ხნის განმავლობაში ქალაქის გალავანი დაღეწეს. როცა ისინი ქალაქში შესვლას აპირებდნენ, წინაღლით ზადლონმა ზავი ითხოვა და მათ მორჩილება გამოუცხადა, მასთანვე

1) Sf. Martin, Mèm. sur l'Armèn., tom. 1 p 426.

2) ქართველი მემატრიანეები ზადლონებს უწოდებენ სხვაგვარათ იმ ემირებს, რომელნიც ბენაშედის დინასტიის ქურთებისაგან შთამომავლობდნენ. იხ. ღიმ. ბაქრაძის თხზულება „ბაგრატ IV“.

აღუთქვა ხარაჯა და ჯარებით დახმარება საქართველოსა და სომხეთის მტრების წინააღმდეგ. მეფეებმა არაფერი პასუხი მისცეს მოციქულს, ისე მოახთინეს სამხედრო თათფარი და მას წინადაუდვეს გადასაწყვეტათ შემდეგი თავისი სურვილი: ამ პირობათა მიუღებლათ ავიდოთ ქალაქი და ყმირი ტყვეთ წაიყვანოთო. მაგრამ, როცა რჩევამ ეს საქმე საძნელოთ დაინახა და ამტკიცებდა, რომ ბევრ სხვრებლს შეიწირავსო, მაშინ მეფეები ზავზე დათანხმდნენ და დაბრუნდნენ უკან მრავალი მდიდრული საჩუქრით დატვირთულნი, რომელიც ფადლონმა მათ და იმათ ჯარებს მიართვა.

ბაგრატ III მოკვდა 1015 წელს<sup>1)</sup> თავის სამეფოში, ტაოს მაზრაში, მოგზაურობის დროს. მისი გვამი ოღიშს გადაასვენეს და ბედიის ტაძარში დასაფლავეს. თავისი ცხოვრების უკანასკნელი წელი ბაგრატმა განსაკუთრებით იმას მოახმარა, რომ ყოველგან თავის სამეფოში მტკიცე შინაგანი წესრიგი დაეფუძნებია და საქართველო გარეგნათ გაემშვენიერებია ტაძართა აშენებით. სანამ ბაგრატის ამ ღვაწლთა ავსწერდეთ, თვალს გადავაავლებთ არაბთა მფლობელობის დროის პერიოდს და მის გავლე-

1) ბროსე ფიქრობს, რომ ის მომკვდარა 1014 წელს. „ქართლის ცხოვრება“ მოწმობს, რომ ბაგრატი მომკვდარა 7 მაისს, შაბათ ღღეს; თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში შაბათი 7 მაისს, 1014 წელს კი ირ ყოფილა, წარამედ 1015 წ. (იხ. ხავსკის ქრონოლოგიური ტაბულები).

ნას ქართველი ხალხს შინაგან ცხოვრებაზე: ამით ჩვენ უკეთ დავინახავთ იმ გარემოებათა მსვლელობას, რომელნიც ხან მავნებელი იყვენ და ხანაც საკეთილდღეონი ამ ხალხის ზნეობრივისა და ნივთიერი ძალღონის განვითარებისათვის.

შეხედულება ქართველი ხალხის შინაგან ცხოვრებაზე აწახათა მფლობელობის დროს.

პრაბთა მფლობელობის ხასიათი.—შეოდალთა გამოცოცხლება.—პრაბთა განათლება.—ქართველთა სასულიერო განათლება.—პრაბთა გავლენა ქართველთ ენასა, საერო ლიტერატურასა და სწავლა-განათლებაზე.

პრაბთა გავლენა, საქართველოში იმათი პირველი გამოჩენიდან ბაგრატ III-მდი, თითქმის სამას ორმოცდაათ წელს გაგძელდა. ამ გძელი დროის განმავლობაში არაბები ოთხჯერ თუ ხუთჯერ შეესიენ საქართველოს და ერთჯერაც - ხაზარები. ეს შემოსევანი ადგილობრივ მკვიდრთათვის საზარელი და ამოხრებელი იყვენ. პრაბების ლაშქრობათა უმთავრეს მიზანს ამ ქვეყნის მცხოვრებთა გამამაღიანება შეადგენდა. იმ ქვეყნებს, რომელთა მცხოვრებლებმაც იმათი საწმუნოება მიიღეს, სრული მოსვენება მიანიჭეს და მათი ჯარები სრულიადაც არ გაჰქანდებოდენ ხოლმე იქითკენ, თუ იმ მხარეთა მკვიდრნი თვითონ არ მოსთხოვდენ მათ მტრებისგან დაფარვას. ხარაჯა, რომელსაც ისინი



ადებდენ დამორჩილებულ ხალხებს, სამძიმო არ ყოფილა<sup>1)</sup>, და საზოგადოთ არაბთა მფლობელობას არ ეტყობოდა არც ის უღმობელოება, ვერაგობა და ანგარების მოყვარება, რომელსაც საქართველო სპარსელებისა და ბერძნების ბატონობის დროს ითმენდა. თვით მათი თანატიზმი უფრო ადვილი ასატანი იყო, ვიდრე ცეცხლის მსახურთა თანატიზმი, და უფრო დამთმობი, ვიდრე თვით ქრისტიანთა თანატიზმი. ამის დასამტკიცებლათ ჩვენ შეგვეძლო - სხვადასხვა ხალხის ისტორიიდან მრავალი დამტკიცება წარმოგვედგინა, თუ კი მოგვთხოვდენ, მაგრამ რაჟი დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ყველასაგან ცნობილია, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგძელებთ.

ეს შემოსევანი აოხრებდენ ყველა იმას, რის განახლებაც შეიძლებოდა მომავალში. ბანძეულობა მიქონდათ ქართველებს და მალავდენ მიუვალ ადგილებში; რაც შეეხება სადგომებს, თუმცა „ჭართლის - ცხოვრების“ მოწმობით მტრები უმეტეს ნაწილათ აოხრებდენ მათ, მაგრამ, რადგან ქართ-

1) ჩვენ არა გვაქვს იმის ცნობები, თუ რამსიდიდე იყო ხარაჯა, რომელიც არაბებმა საქართველოს დაადვეს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შავია ხალიფის დროს სომხეთს ყოველწლიურათ 500 დახაკანი ანუ დინარი უნდა ეძლია ხალიფების (ისტორია ჰარდაპეტ ლევონდისა, პატკანოვის გამოცემა, გვ. 9), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხარაჯაც ზომიერი უნდა ყოფილიყო.

ველები არაბების გამოჩენის დრომდისაც მუდამ მტრების შემოსევათა შიშში ცხოვრობდნენ, ამიტომ მე-VII საუკუნეში მათი კერძო შენობანი არც ხუროთმოძღვრების მდიდრულობით ყოფილან შესანიშნავი და არც სიძვირფასით. ცხოვრებისათვის საჭირო სასმელ-საჭმლის სიმრავლე კი დამოკიდებული იყო რამდენსამე მშვიდობიანსა და მოსავლიან წელიწადზე, რომელსაც არ იყო მოკლებული ეს მხარე თავისი ნიადაგისა და ჰავის წყალობით. მართა და იმავე დროს ქართველებმა თავისი სარწმუნოებაც დაიცივეს და თავისი მწერლობა და ენაც, რომლითაც განსხვავებული იყვენ ისინი სხვა ხალხებისაგან და რის გამოც მათ საკუთარი ეროვნების უფლება ეძლეოდათ.

როცა არაბები დაიღალენ შორეულ ქვეყნებში ლაშქრობებით, რომლითაც მასთანვე მიზანსაც ვერ ეწეოდნენ, თფილისი აიღეს და იქ თავისი ემირი დააყენეს. ამ მართველებს არ ქონიათ ის საშვალე-ბანი, რომ შეძლებოდათ მთელ საქართველოში ბატონობა და ამ ქვეყნის შინაგანი საქმეების მართვა; ამიტომაც ისინი კმაყოფილდებოდნენ ხარაჯის მიღებით, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ხალიფის სახელზე აძლევდნენ, და აგრეთვე თვალყურს ადევნებდნენ, რომ მათი ბატონობისათვის მავნებელი რაიმე დემონსტრაციები არ მოეხთინათ; მეფისა და ხალხის სხვა მოქმედებას კი ისინი არ ეხებოდნენ. რადგან მათი გავლენა, 686 წლის ტრაქტატის და-

ლით, განსაკუთრებით სურამის ქედამდი ვრცელდებოდა, ესე იგი ჭართლზე, — ამიტომ მართო ამ მაზრის მეფეებს აკლდებოდათ საგრძნობლათ შემოსავალი, რომელსაც ხალიფებსა და მათ მონაცვალეებს უყოფდენ, და ამ მიზეზების გამო ისინი აუცილებლათ საქართველოს სხვა ნაწილების მთავრებზე უფრო სუსტი უნდა გამხთარიყვენ. მათ სისუსტეს თან მოყვა ფეოდალების გაძლიერება, რომელნიც ჩირათაც არ აგდებდენ თავის მხოლოდ ნომინალურ მბძანებელთ, და უმაღლეს წოდებას კი მისი საკუთარი ინტერესი ნებას არ აძლევდა — დაეცვა და გაეძლიერებოდა მეფეთა უფლებანი. ამავ დროს უნდა მივაწეროთ მრავალი კოშკისა და პალატის აშენება, რომელთა ვრცელი ნანგრევებიც დღეს მოჩანს საქართველოს სხვადასხვა ფრიალო კლდეებსა და ტყიან მწვერვალებზე და რომელთაც ღვაწლით შემოსილ მეფეს თამარს აკუთნებენ; მაგრამ იმათი მომდინარეობა უნდა ეკუთნოდეს ალბათ ბაგრატ III-ის გამეფების წინა ეპოქას, როდესაც ყოველი ადგილობრივი ფეოდალური თავადი ხელქვეითეებს თავის ნებაზე განაგებდა, ისე რომ მეფეს არაფერი გავლენა ქონდა, და ამასთანვე საცხოვრებლათ ირჩევდა თავის სამფლობელოში საყვარელ ადგილს, ამაგრებდა და ამშვენებდა მას თავისი ძალღონისა და თავისი გემოვნების მიხედვით.

ნიადაგის ნაყოფიერობას გარდა ხალხის სიმდიდრის სწრაფ აღორძინებას ალბათ ის გარემოებაც

ხელს უწყობდა, რომ არაბებისაგან აღექსანდრიის აღებას შემდეგ ინდოეთს მიმავალი ევროპიელთა სავაჭრო გზა ჩიონსა და არეზზე გაიმართა <sup>1)</sup>.

არაბებმა დაიჭირეს თფილისი, ხაზარებისაგან აოხრებული, და ბევრათ უკეთ მოაშენეს, ვიდრე ის წინათ იყო, ასე მოწმობს თვით „ჭართლის ცგოვრება“, იმ ხალხის მატრიანე, რომელსაც ქონდ მიზეზები — გულცივათ ეცქირა ყველა მათი საქმისათვის, რადგან ისინი იყვენ სხვა სარწმუნოების მექონი ხალხი, რომელმაც ქართველებს მრავალი სიავე მიაყენა.

როცა აბასიანთა დინასტიის კარზე განათლებისადმი უდიდესი ყურადღების მიქცევა იწყეს, ვიდრე უსარგებლო სამხედრო ჯილდოებისადმი, და როცა არაბთა სწავლა-განათლებამ, მართებლობის გულმხურვალე მზრუნველობით ხალიფების სატახტო ქალაქიდან ყოველი მხრით სისწრაფით გაფართოება იწყო, — თფილისი, უეჭველია, არ გამოირიცხებოდა აღმოსავლეთის იმ ქალაქთა რიცხვიდან, სადაც არაბებმა მრავალი სასულიერო და საერო სასწავლებელი გააჩადეს. ამ დაწესებულებათა შორის შესანიშნავია ასტრონომიული ობსერვატორიის მოწყობა ამ ქალაქში <sup>2)</sup>.

ცხადია, რომ ქართველებს შორის, თფილისის

<sup>1)</sup> Историч. опыты о древней Индии, Робертсона, 83. 137.

<sup>2)</sup> Всемирн. истор. Шлоссера, томъ V, 83, 205.

მცხოვრებთ გარდა, მრავალი იქნებოდა გატაცებული ამ დაწესებულებათა სიახლით და ცოდნის მოყვარეობით. მაგრამ რადგან ყოველი არაბი, რომელიც სწავლაგანათლების გზას ადგებოდა, თავის განათლებას ყურანისა და სხვა სასულიერო წიგნების შესწავლით იწყებდა, ამიტომ ქართველთა სასულიერო წოდებას არ შეეძლო მამადიანთა წარმატებისათვის გულგრილათ ეცქირა — და უნდა ეხმარა რაიმე ზომები, რომ შეესაზღვრა მუსულმანთა ღვთისმეტყველების გავლენა ადგილობრივ მცხოვრებლებზე; ამისათვის საუკეთესო საშვალეობათ დაინახეს — და ეწესებიათ დე გამრავლებიათ შკოლები ეკლესიებსა და მონასტრებთან და იმათში საქრისტიანო ღვთისმეტყველება ესწავლებიათ. მაგრამ, როცა ამისთანა შკოლებს აღებდენ, სასულიერო წოდებამ დიდი ნაკლულევიანება იგრძნო მით, რომ არ ქონდათ საღვთო წიგნები ქართულათ გადათარგმნილი. **ც**თა აღარ შეიძლებოდა, მოქმედების მიზეზები ძლიერი იყო, და ამიტომ, 950 წლის მახლობლათ <sup>1)</sup>, ხალხის სარწმუნოების გულმხურვალე მცველებმა, თავადებმა **ი**ოანემ და **მ**ქეთიმემ, გადასწყვიტეს ბერათ შესვლა, თავისი სამშობლოს დატოვება და საბერძნეთს წასვლა, რომ თავისი ცხოვრების მთელი დრო შეეწირათ თარგმნისა, წინანდელი ნათარგმნის გასწორებისა და საღვთო წერილის წიგნების შევსე-

1) „წყობილსიტყვაობა“, 162.

ბისათვის.

იმათ თავისი მოღვაწეობის ადგილათ აირჩიეს ათონის მთის ქართველთა მონასტერი, რომელიც უფრო ივერიის მონასტრის სახელწოდებით არის ცნობილი. ეს მონასტერი აუშენებიათ სამშობლოდან ძველათ გასულ ქართველებს, ალბათ არაბების პირველ შემოსევათა დროს. ან შეიძლება სპარსელთა მოსევის დროს, რადგან 831 წელში ის კიდევაც იყო ცნობილი ივერიის ღვთისმშობლის სახელგანთქმული ხატის გამოცხადებით, რომელიც ზღვიდან ქართველმა ბერმა ზაბრიელმა გამოასვენა. ამ მთაზე, ივერიის მონასტრის ახლოს, მეორე მონასტერი იყო, რომელიც ბერძნებს ეკუთნოდათ და რომელიც მდიდარი იყო ვრცელი ბიბლიოთეკით, საიდანაც იოანეს და მქვთიმეს შეეძლოთ უსაჭიროესი წიგნების მიღება. ამ ბერების შრომით მალე გამდიდრდა ქართველთ ეკლესიებისა და შკოლების ბიბლიოთეკები. პირველი მათგანი ძალიან მოხუცებული იყო და დიდხანს არ უცოცხლია, მაგრამ ცნობილია მით, რომ მქვთიმეს ეხმარებოდა დაბადების თარგმნაში; მეორემ კი თავი ისახელა ფრიად დიდი შრომით: მას გადაუთარგმნია ცხრამეტზე მეტი სხვადასხვა წიგნი <sup>1)</sup>. მისი ხელნაწერები, გადამწერთა წყალობით, ერთობ ბევრი გავრცელდა. ამ სასწავლო წიგნებთან გამოჩნდნენ მასწავლებელნიც. მსენი

1) „წყობილსიტყვაობა“, გვ. 234.

იყვენ სახელოვანი ეპისკოპოზები, ბერები და მღვდლო პირები. ზოგიერთ ამ მოძღვართა სახელები, მაგალითად არსენ ნიკორწმინდელის, იოანე ბოლნელის, იოანე ზძელიძის, ხახულის იოანე მკროპირისა და ზაქარია შარიტიძისა, დღემდე დარჩენილა საქართველოში, რომ მოწიწებით მოიხსენიოს ისინი შთამომავლობამ მათის დიდებული საქმეებისათვის ხალხის განათლების ასპარეზზე. არსებულ თარგმანებს მათ მიუმატეს მრავალი თავისი საკუთარი თხზულება — და ამგვარათ მეX საუკუნის ნახევრიდან ქართველთა საფილოსოფიო საღვთისმეტყველო განათლება არა თუ გამოვიდა იმ საშიშროებიდან, რომ მამადიანთა სასულიერო წოდების შეხედულებას არ დამორჩილებოდა, არამედ გაცილებით შორს გაუსწრო მას საქრისტიანო მოძღვრების უპირატესობით. იოანე ზძელიძის თხზულებამ — „მამადიანთა სარწმუნოების დარღვევა და სარკინოზთა გაქრისტიანება“ -- დიდი სამსახური გაუწია ქართულ ღვთისმეტყველებას და იმას ყველა განსაკუთრებული სიამოვნებითა და ეროვნული სიამაყით კითხულობდა. იმ დროინდელი ყველა თარგმანი და თხზულება მშვენიერი ენით არის დაწერილი, რომელიც არათუ თანამედროეთათვის, ჩვენთვისაც გასაგებია იმდენათ, რომ არა გვეგონია, ლათინებს გარდა, სხვა ქრისტიან ხალხებს მოეპოვებოდესთ ამ მხრით მათთან შესადარებელი იმ დროის წიგნები.

თუმცა სჯულის მოძღვარნი სარწმუნოებას მეც-



ნიერულათ წარმატებით იცადდენ, მაგრამ მათი  
თული ენა და საერო ლიტერატურის ზასიათი არაბ-  
თა გავლენას მაინც ვერ აშორდა. არაბთა ბატო-  
ნობის წინამომდევარ დროთა ლიტერატურულ  
თხზულებათაგან ჩვენ ვიცით მხოლოდ „ქართლის  
ცხოვრების“ ნაწილები, დაწერილი ვახტანგ ზორ-  
გასლანამდი სხვადასხვა მემატიანისაგან, რომელთა  
სახელებიც ნაკლებათ არის ცნობილი: რაბუნ აბი-  
ათარისა და მისი ასულის სიდონისაგან, ვახტანგს  
შემდეგ კი — ჯუანშერ-ჯუანშერიანისაგან; მაგრამ,  
სამწუხაროთ, მათ არ შეუძლიათ — დაგვანახონ ქარ-  
თული ენის თანდათანობითი გაუმჯობესება, იმი-  
ტომ რომ მთელი ეს მატიანე მე-XVIII საუკუნეში  
არის გადათვალთვალული და ამ საუკუნის ენით  
გადაწერილი. როცა აღმოსავლეთის ხალხების რო-  
მანტიულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, არ შე-  
გვიძლია უარვყოთ, რომ მათის ცოცხალი გონების  
მეოხებით, რომელიც ყველაფერს გადამეტებულათ  
ხატავს, ენა უძველესი დროიდან მოქარგულათ გა-  
მოსთქვამდა ხოლმე საგნებს და მათთან შეერთე-  
ბულ აზრებს, მაგრამ იმდენათ კი არა, როგორც  
ეს აზრის მეტაფორული გამოხატულება განვითარდა  
არაბთა ლიტერატურის უაღრესობის დროს. ზენდ-  
ავესტაში ფრიად მრავალ გამოთქმას ვპოულობთ  
იმისთანას, როგორც, მაგალითად, დედამიწას ეწო-  
დება „მომუზდის მშვენიერი ასული“; მაგრამ  
ძველ სპარსელებს, რომელნიც ცის მნათობებს



ღრმა მოწიწებით უცქერდენ, არაოდეს არ შეეძლოთ მათი სახელწოდებანი რომელიმე საყვარელი ქალის მშვენიერების გამოსახატავათ ეხმარათ. აქიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ქართველთა რომანტიული ლიტერატურის ენაც ამ მხრით თავდაჭერილი უნდა იყოს. მაგრამ არაბთა გავლენამ, რომელმაც მთელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე იმოქმედა, ქართულ ენასაც სხვა მიმართულება მისცა. ძართულმა ენამ მეტატონე ხალხის ენის ხასიათი მიიღო. პოეტები და მგოსნები უმეტაფროთ არაფერს სწერდენ და არც მღეროდენ. მზე, მთვარე, ბუღბული და ვარდი ისეთ განუყრელ მეგობრებათ გადაექცენ მათ, რომ თითქო უიმათოდ არც ერთ რომანტიულ თხზულებას არავითარი ღირსება არ ქონოდეს. ამ სუსტ მხარეს იმისთანა დიდებული პოეტებიც კი დაემორჩილენ, რომელთაც დააშვენეს თამარის საუკუნე. ჩვენს დროშიც ახალს ქართველ ლირიკოსებს მოსვენებას არ აძლევენ ეს ვარსკვლავები, ფრინველები, ყვავილები, იაგუნდები და ბროლ ბადახშები, და ისინი მანამ ადგანან მათ ენაზე და არ ასვენებენ ზეშთაგონების დროს, სანამ ადგილს არ მიუჩინენ თავის ლექსებში. შველა მოთხრობას, ზღაპარსა და არაკს არაბული თვისება აქვს. რომელიმე ზღაპრის ან თუ გინდ ქკუის დარიგების უბრალო მაგალითის მოამბეები თავის მოთხრობას თითქმის ყოველთვის არაბეთის რომელიმე მეფის, ვეზირის ან ვაჰრისაგან იწყებენ.

ასე იწყება სახელოვანი „ვეფხისტყაოსანი“. ამიტომაც ეს პოემა ბევრს არაბულიდან გადათარგმნილი ეგონა. ანასთან ერთად მრავალი არაბული სიტყვა შემოვიდა ხმარებაში—და ქართველებმა ისინი კიდევაც შეითვისეს.

არაბული ლიტერატურის გავლენამ ავნო თუ არა ქართულ ენას, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება, იმიტომ რომ ამ კითხვის გადასაწყვეტათ, როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენ არა გვაქვს იმ დროთა ორიგინალური წერილობითი ნაშთები, რომელნიც არაბთა ბატონობას წინაუძღოდნენ. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ენა არის გრძნობათა გამოხატულება, მაშინ ნება გვუქნება ვიფიქროთ, რომ ნაზი, თავაზიანი და მოქარგული ენა, როგორითაც ქართველებმა იწყეს იმ დროიდან წერა და მღერა, გაათავიჯებდა ქართველთა ზნეს, მათს შინაურ ყოფაცხოვრებას და საზოგადოებრივ ურთიერთობას. პოეტების ენას ძლიერი გავლენა აქვს მათ მსმენელთა გემოვნებისა და ცხოვრების ხასიათზე. ამ აზრს რამდენათმე ისიც ამტკიცებს, რომ ამ გავლენის მეოხებით დაფუძნდა და აღორძინდა ქართველთა რომანტიული ლიტერატურა.

იმ მეცნიერებათაგან, რომელთაც არაბულ შკოლებში ასწავლიდნენ, ქართველებში ფენის მოდგმა მხოლოდ ასტრონომიულ ცოდნას შეეძლო. ეს მეცნიერება ისე საგულისხმოა, რომ სრულიად უბრალოსა და უზრუნველ ხალხსაც კი გაიტაცებს

ხოლმე. იმას თითქმის ყოველი კაცი ადვილათ ითვისებს. თვით არაბებს ამ დროს იმის შესახებ ბევრი არაფერი ცნობა ქონიათ: უსახელოვანესი მათი სწავლულებიც არ გაცილებიან აბულ-შეფისა და იბნ-ინგრის „ალმაგესტს.“ ისინი ფიქრობდენ, რომ მიწა, დგას და მზე მოძრაობსო; მათ იცოდენ წლის მოქცევა, სათანასწორდღეო წერტილები, ზოდიაქი, მთვარის მოქცევა, ზოგიერთი ვარსკვლავისა და ვარსკვლავთა დასების სახელწოდებანი; ჰიპარხივით ისინიც ფიქრობდენ, რომ ვარსკვლავები იბადება და იხოცებაო. მრთი სიტყვით მათ თითქმის მხოლოდ «წარღვნის წინა დროის ასტრონომია» იცოდენ, როგორც უწოდა ბალიმ ქალდეველთა, ჩინელთა და ინდოელთა უძველეს ნაშრომებს ამ მეცნიერების შესახებ. აქიდან ადვილი გასაგებია, თუ რამდენათ დიდი ყოფილა არაბთა პოპულიარული ცნობები. ამ ცნობებმა ფეხი მოიკიდა მაშინდელ ქართველებში, ისინი საგულისხმო საგნათ გადაიქცენ შინაური ბაასობის დროს და ჩვენს დრომდღი სრულიად განუვითარებლათ გადადიოდენ ერთი შთამომავლობიდან მეორეში. მაგრამ რადგან ნასწავლი ქართველები თითქმის ყველანი სასულიერო წოდებას ეკუთნოდენ და რადგან იმ დროის შეხედულებით ასტრონომია საეკლესიო დადგენილებათა მიხედვით აკრძალულ მეცნიერებათ ითვლებოდა, ამიტომ ამ მეცნიერებამ ერთადერთი სარგებლობა ის მოიტანა, რომ სამღვდელოებამ იმის ში-

შით, ვაი თუ ქართველებმა მამადიანთა კალენდარი მიიღონ სახმარებლათო, მე-VIII საუკუნის დამლევს თავისთვის საპასეჟო ცხრილი შემოიღო <sup>1)</sup>).

### ბაგრატ III-ის ღვთისმოყვარების სახსოვარნი და ერთხელმწიფობის პოლიტიკა.

მცხეთისა და შუთაისის საკრებულონი და ატენის სიონის ტაძარი.—ხალხის თანაგრძნობა საჯარო შენობათა აგებისადმი.—ბაგრატ III-ისგან ძლარჯეთის ბაგრატიონთა გაუღეტა.

როცა ათავებს ბაგრატ III-ის მეფობას, „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს, რომ ამ მეფემ მთელი ქავეკასია დაიპყრო ჯიქეთიდან მოკიდებული ზურგანამდიო და აღარბადაგანსა და შირვანს ხარაჯა დაადეაო, ხოლო მეზობელი მეფეები იქამდი მიიყვანა, რომ შიშითა და კრძალვით ექცეოდენ საქართველოს ძლიერებასო. საზოგადოთ მისი მეფობა იმდენათ სავსეა დიადი საქმეებით, რომ ეს მატიანე ვერ პოებს შესაძლებლათ-ჩამოთვალოს ისინი კაცმა ზედიზედ ისე, რომ არ დაშვრეს. სამწუხაროთ, ეს დასკვნა არათუ ცხადათ არ გვიხატავს საქართველოს საზღვრებს, მის მკვიდრთა ურთიერთ-

<sup>1)</sup> ზოგიერთების აზრით ამგვარი ცხრილი 780 წ. შემოულიათ.

ბას მეზობელ ხალხებთან და შინაგან ადმინისტრაციულ წესრიგს, — პირიქით, ცნობილ გარემოებათა მიზეზით, ზოგიერთ ექვსაც ბადავს, რადგან ბაგრატ III-ის დროს ოფილისიც არ ყოფილა უცხო ტომთა ბატონობისაგან გათავისუფლებული; თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ ეს მეფე იქაური ემირის მოხარკე აღარ ყოფილა ისე, როგორც მისი მოწინავე შართლის მეფეები.

ეს კი ვიცით ცხადათ, რომ, წინამომდევარ თავებში ჩვენ-მიერ ნაჩვენებ გარემოებათა გარდა, ბაგრატ III-ის მეფობა, საქართველოს სარწმუნოებრივი განათლების ნიადაგზე დაწყებული, მდიდარია აგრეთვე მრავალი საეკლესიო შენობის აგებითა და განახლებით. ხუროთმოძღვრების ამგვარ ძეგლთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავი არიან შუთაისისა და მცხეთის საკრებულო ტაძარნი.

მცხეთის საკრებულო ტაძარს, რომელიც ვახტანგ შორგასლანის დროს განაახლეს და რომელიც ბაგრატის დროს დაძველდა, შეკეთება ეჭივრებოდა. მაგრამ რადგან ეს შენობა ერთობ დიდი იყო, ბერძნების დაუხმარებლათ არ შეიძლებოდა მისი განახლება. ამისათვის ბაგრატი გაემგზავრა კონსტანტინეპოლს და იმპერატორს ვასილს სთხოვა -- დახმარება ამოეჩინა. იმ ფრიად დიდი საშვალების წყალობით, რომელიც კონსტანტინეპოლის კარისაგან მიიღო, და თავისი საკუთარი მეცადინეობით ბაგრატმა თითქმის ხელახლა ააშენა ეს ტაძარი მშვენი-

ერათ. სიდიადეს გარდა ის შესანიშნავია სიმდიდრითა და საუცხოო მორთულობით. ძეგლები და გუმბათი შემკულია მწვანე პორფირით; კანკელი, აღსავლის კარი, ცხოველმყოფელი სვეტი, ხატები, წმინდანთა ნაწილები, საეკლესიო ჭურჭელი, წიგნები და შესამოსელი — ყველა შექედილია ოქროთი და ვერცხლით და მოფარულია მარგალიტითა და სხვა პატიოსანი თვლებით.

ჭუთაისის საკრებულო ტაძარი სჯობია მცხეთისას ხუროთმოძღვრების სიტურფით და იმ მასალის სიძვირფასით, რომელიც მის ასაშენებლათ უხმარიათ. იგი აშენებული იყო თეთრი მარმარილოსაგან და დაფარული მშვენიერი ქანდაკით. ბაგრატმა ამ ტაძრის საძირკველი 1003 წელს ჩაყარა და მისმა უახლოესმა მონაცვალებმა მოათავეს იგი. სიმაღლეს გარდა გასაკვირველია კედლების სიფაქიზე და გარეთა ჩუქურთმების სიმშვენიერე, რომლითაც მოჭადრაკებულია თაღები, სვეტები და ფანჯრების გარშემო ნაწილები. მურავიოვი მათი აწერის დროს სამართლიანათ ამბობს, რომ მხოლოდ ნახატს შეუძლია მათი გამოსახვა, იმიტომ რომ სიტყვით მათი გამოთქმა შეუძლებელია<sup>1)</sup>. დასავლეთის მხრით ამ საკრებულო ტაძარს სვეტებიანი შესავალი დერეფანი ქონდა, რომაული ბაზილიკების შესავალთა მზგავსი. ახლა ის წარმოადგენს ნანგრევ-

<sup>1)</sup> „Грузія и Армения“, ტ. 3, გვ. 128.

თა ფრიაღ ვრცელ გროვას, რომელიც ამტკიცებს მაშენებელთა წარსულ ძლიერებას და იმ მეფეთა უღონობას, რომელთა დროსაც, შვიდი საუკუნის განმავლობაში არსებობას შემდეგ, ეს ტაძარი ისე დარღვეულა. რომ ველარ განუახლებიათ. ამ ტაძრის გარეგნობის ნაშთის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მისი შინაგანი სამკაულები სიმდიდრით მცხეთის საკრებულო ტაძრის შინაგან სამკაულებს თუ არ აღემატებოდა, უკან მაინც არ ჩამორჩებოდა. სხვა ამგვარ შენობათა შესახებ სულაც რომ არაფერი ვსთქვათ, ამ ორი შენობის სილამაზე და მშვენიერებას საკმაოდ ამტკიცებს იმათ სეფე-მაშენებლის ღვთის მოყვარეობასა და ძლიერებას. მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბაგრატიის საუკუნეში კერძო პირებსაც აუგიათ მრავალი ამათი მზგავსი ძეგლი. ეს გარემოება უფრო ცხადთ გვიჩვენებს ხალხის წოდებათა კეთილმდგომარეობას, ხალხის განვითარებასა და გამოჯიბრებას დიდებისა და საზოგადო სარგებლობის საქმეში. ატენის სიონის ტაძრის კედელზე წარწერილია შემდეგი სიტყვები: „სახელითა ღვთისათა მე, ბიორგიმ, თარხანის შვილის შირიანის მონამ, ატენის ციხის უფროსმა, ავაგე სახლები და ქალაქები, და ყოვლის შემძლებელმა ღმერთმა დიდებით მოავლინა მეფეთ მეფე ბაგრატი, რომელმაც უბძანა თავის მტერს შირიანს, ჩემს მბძანებელსა და თავის დიდებულს, დაბეგსა და ქალაქებში შენობათა აგება. ამა-

ში შემწეთ იყვენ ლმერთი და მეფის სვებედი, და როგორც მისმა მეფობამ ინება, ისე ავაგე მე ისინი; მისმა მეფობამ შეგვიწყნარა ჩვენ და გულუბნათუბოდა სახლები და ქალაქები საშვილიშვილოთ შირიანსა და მის ქვეშევრდომთ, რომელთაც შესძლეს ამ შენობათა აგება. მე ავაგე სახლები და ქალაქები და შევსწირე ისინი ატენის წმ. სიონს, ლვთის მშობლის მოდღესასწაულეს, მეფეთ მეფის ბაგრატ სევასტოსისა და მისი შვილის ზიორგის საუკუნო მოსახსენებლათ. მზგავსათვე მისი მტვერის, ჩემის ბატონისა და აღმზდელის, შირიანის მოსახსენებლათ დავაწესე, რომ შაბათს, დიდი მარხვის პირველკვირაში, წმ. თევდორეს დღეს, სავანის წინამძღვარმა, ან ვინც მას შემდეგ იქნება, შეასრულოს წირვა“ 1). ამ ტაძრის გარეგნობა ძალიან ჩამოგავს შჩმიადინის მონასტრის უმთავრესი ტაძრისას და დაშვენებულია ჩუქურთმებით, თუმცა ისე ხელოვნურათ კი არა, როგორც ჭუთაისის საკრებულო ტაძარი; მისი შიგნითა ნაწილი დიდებულია და შედგება ოთხი ნახევარწრისგან, რომელიც ჯვარედინათ არის გაყოლებული ოთხი ძირითადი სვეტიდან; ამ სვეტზე დამყარებულია ბურთის მაგვარი გუმბათი, ფრიად სუბუქი და შესახედავათ სასიამოვნო. საკურთხეველი გაცალკევებულია დაბალი კედლით, რომელზედაც დგას თალით შეკრული პატარა სვეტები. მს

1) იქვე, ტ. 3, გვ. 106.



სვეტები საუკეთესო მარმარილოსია<sup>1)</sup>).

ბაგრატ III-ის მეფობის დროინდელი საქართველოს კეთილმდგომარეობის მკვერმეტყველ ძეგლებს არ შეუძლია იმ ლაქის წაშლა, რომელიც ამ მეფეს აცხია: იგი შებლალულია ბაგრატის სასტიკი მოქმედებით ქართველთა ბაგრატიონთა უმცროსი შტოს წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ეს შტო რამდენმე ოჯახობათ იყო გაყოფილი და ბაგრატის გამეფებამდი თითქმის დამოუკიდებლათ ბატონობდა სამხრეთ-დასავლეთის საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. ღვით კურატპალატის სიკვდილს შემდეგ მათგან კიდევ იყვენ სუმბატი და ბურგენი, რომელთაც ძლარჯეთი ექირათ. ბაგრატმა მოინდომა, რომ სამუდამოთ გაეთავისუფლებია საქართველო დაქსაქსული მდგომარეობისაგან, და ამისთვის მოიწვია ისინი სამცხეს თავისთან — ვითომდა სათათფიროთ, შეიპყრო და საკანში ჩააგდო, სადაც მათ დალიეს კიდევაც თავისი სიცოცხლე; ესვე ბედი ეწიათ მათ ცოლ-შვილთაც, ორს ახალგაზდა თავადს — სუმბატის შვილს ბაგრატსა და ბურგენის შვილს ღიმიტრის გარდა, რომელნიც პოსტანტინეპოლს გაიქცენ.

ბაგრატის ეს საქციელი აძლიერებს ექვს მისი ვერაგობისა და უმადურობის შესახებ ღვით კურატპალატის მიმართ, თუმცა მაშინ ხერხიანათ გამოიძვრინა მათგან თავი.

<sup>1)</sup> იქვე, გვ. 107.

## შეროდი ბაგრატის სიკვდილიდან სელჩუკების ბატონობამდე.

### I.

#### გიორგი I-ის მეფობა.

ძახეთის მოცილება.—ჰვირიკე III ძახეთის მეფის ხა-  
 რისხს ისაკუთრებს.—ღმი ბერძნებთან.—ზწვი და მისი  
 პირობები.—მელქისედეკ კათალიკოზის მოქმედებანი.

1015 წელს საქართველოს ტახტზე ავიდა ბაგ-  
 რატის თვრამეტი წლის ვაჟი, გიორგი I, საქართვე-  
 ლოსა და აფხაზეთის მეფის ხ. რისხით. იმ დროს  
 მის სამეფოს ეჭირა შავი ზღვის მთელი ნაპირი, ძავ-  
 კასიის უმთავრესი ქედის დასავლეთის ბოლოდან  
 პონტოს პროვინციამდე,—იმერეთი, სვანეთი სა-  
 მცხე, ტაო, ქლარჯეთი, სომხეთი და ქართლი ხრა-  
 მის შესართავამდე, ქალაქ თფილისს გარდა, და ძა-  
 ხეთი ალაზნის აღმოსავლეთის ჩასართავების სათავეე-  
 ბამდე. იმის სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, პრო-  
 ვინციებს კი ერისთავები მართავდნენ. ბაგრატ III-მ  
 საქართველო, მისი ბრწყინვალე მდგომარეობის მი-  
 უხედავათ, იმისთანა გარემოებაში დასტოვა, რომ  
 მის სიკვდილს შემდეგ აუცილებლათ ახალი შფოთე-  
 ბი უნდა ატეხილიყო. იმ დროს, როცა თფილისი  
 ჯერ კიდევ არაბების ხელში იყო, ძახეთს სურვილი



ქონდა და შეეძლო კიდევაც გაცალკევებულიყო ქორეპისკოპოზების დამოუკიდებელი მართველობით; ამას გარდა — ბაგრატიონთ უმცროსი შტოსი ამოწყვეტას, ტაო — ძლარჯეთის მათი მამულების საქართველოსთან შემოერთებას (წინათ კი იმათ საბერძნეთი განაგებდა) და იმ მონაწილეობას, რომელიც ახალგაზდა თავადების, ბაგრატიისა და ღიმიტრის, ხვედრმა გამოიწვია ბიზანტიის კარზე, — თან ახალი სისხლის ღვრა უნდა მოყოლოდა.

ჩოგორც კი შეიტყო ძახეთის თავად-აზნაურობამ ბაგრატ III-ის სიკვდილი, მაშინვე აჯანყდა მისი ერისთავების წინააღმდეგ, ხელახლა მოიწვია ძვირიკე III და მიანიჭა მას ძახეთის მეფის ხარისხი. მატინათაგან არა ჩანს, რომ ბიორგი I-ს მაინცადამაინც თავი გამოედვას ამ მაზრისთვის; ისიც კი არა ჩანს, იყო თუ არა ამისთვის ომი ამასა და ძვირიკეს შორის. მაგრამ ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ძვირიკე, ბიორგისაგან მიწვეული, თავისი ჯარებით მონაწილეობას იღებდა ბერძნების წინააღმდეგ, და ამიტომ უფრო საფუძვლიანია ვიფიქროთ, რომ ბიორგის ნებაყოფლობით დაუთმია ძახეთი უწინდელის მისი მფლობელისათვის, რადგან უფრო სასარგებლოთ დაუნახავს თავისთვის — ჭკვიანი კაცი და ძახეთის ყველა მცხოვრები ერთგულ მოკავშირეებათ ყოლოდა, და არა მტრულ ქვეშევრდომებათ. ასე იყო თუ ისე, ბიორგი I-ის მეფობის დასაწყისშივე მთელი ქართველობა, შინვანიდან დაწყებული

ალაზნის შესართავამდი, არაგვისა და მტკვრიდან აღმოსავლეთით, ქართველთა სამეფოს მოცილდა.

ამას შემდეგ ჯვირიკე III-მ მალე შემოუერთა თავის სამკვიდრო მამულებს ჰერეთიც, რომელსაც უწინდელი ქორებისკოპოზების დროს მათგან დამოუკიდებელი, ეგრეთ წოდებული იშხანები, მართავდნენ, მთელი სამეფო რამდენმე საერისთოდ გაყო და თავის სატახტო ქალაქათ ოფილისი აირჩია.


ძახეთი რომ განცალკევდა, იმპერატორმა მასილმა მოსთხოვა ზიორგის — დაებრუნებია მისთვის ღვით კურატპალატის ყოფილი მიწები, რომელიც დროებით მამა-მისს ქონდა მიცემული, და ურჩევდა — თავისი საკუთარი მიწებით დაკმაყოფილებულიყო. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოთხოვნა ზიორგისათვის მოულოდნელი ყოფილიყო; მაგრამ ახალგაზდა მეფის თავმოყვარეობისათვის იგი ერთობ საზარელი იყო — და ამიტომაც ვერ შესძლო ზიორგიმ იმის ატანა. მან მისწერა იმპერატორს გატაცებული და ამაყი წერილი, როგორც შეეფერებოდა მის სიყმაწვილეს, და შეუთვალა, რომ ერთ ქოხსაც არავის დავუჩინებ იმ მამულებიდან, რომელიც მე მამა-ჩემმა ბაგრატმა დამიტოვაო <sup>1)</sup>.

ამგვარი პასუხის მიუხედავად, მასილი არაფერ საშვალეებას ხმარობდა ზიორგის წინააღმდეგ. სხვა უფრო საყურადღებო გარემოებათა მიზეზით მან

<sup>1)</sup> Aristacès de Lastiverd, continuateur d' Asolic, p. 6.

ვერ იხმარა უკანასკნელი ღონისძიებანი და რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ დიპლომატიურ ომს უმართავდა.

ამით ზიორგიმ ქართველებში კარგი სახელი შეიძინა და მეზობელ ხალხებზეც დიდი გავლენა მოიპოვა. 1020 წელს მოკვდა სომეხთ მეფე შალიკ I და მის შვილებს, იოანესა და აშოტს, შორის ასტყდა დავა მემკვიდრეობის გამო. სამართლისათვის ისინი ზიორგისთან მიიქცენ — და მან გაყო იგინი: გვირგვინი იოანეს უკურთხა, როგორც უფროს ძმას, და თვით მიითვისა უფლება თვალყური ედევნებია ძმებს შორის გაყოფის ხელშეკრულობის მტკიცე დაცვისათვის. მაგრამ ისინი ხელახლა მალე წაიკიდენ, და ერთმა სომეხთ დიდებულთაგანმა, აშოტის მომხრემ, ზიორგისთან უჩივლა იოანეს, როგორც შატკის-ციხის წართმევით პირობათა დამრღვეველს. სომეხთ წარჩინებულთა უმეტეს ნაწილს არ უყვარდა იოანე, რადგან მას არ ქონდა სამხედრო ნიჭი, რომელიც სომხეთის მშვიდობიანობისათვის იმ დროს აუცილებლათ საჭირო იყო, და უნდოდათ უპირატესობა აშოტისათვის მიეცათ. ქართველთა მეფემ საუმჯობესოთ დაინახა — უმეტესობის მხარე დაეჭირა. იოანემ გამოუცხადა ზიორგის ომი, მაგრამ დამარცხდა და ტყვეთ წაიყვანეს. ზიორგის ჯარებმა დაიჭირეს მისი სატახტო ქალაქი ანი და სომხეთის მრავალი საყურადღებო ადგილი. ადგილობრივი არისტოკრატია პარტიებათ დაიყო



და ურთერთშორისი ბრძოლა გაიმართა. აშოტმა ველარ შესძლო წესრიგის დაცვა და ძოსტანტინე-პოლს გაიქცა, რომ იმპერატორისათვის შემწეობა ეთხოვა.

შასილმა შეუძლებლათ დაინახა — კიდევ მოეცა და და არ ეხმარა ზომები ზიორგის დასაცხრობათ, რომელმაც არა თუ ისურვა ღავით კურატპალატი-საგან საბერძნეთისათვის ნაანდერძევი მაზრები ნება-ყოფლობით დაებრუნებია მისთვის, არამედ კიდევაც მოინდომა — გაეგრცელებია თავისი ხელმწიფება სხვა სამეფოებზედაც, რომელნიც ძველადანვე იმპერიას ემორჩილებოდნენ. 1021 წელს შასილმა შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და ძლარჯეთს გაემართა, ზიორგიმაც, თავისი მხრით, საკმაოდ დიდი ჯარი გამოიყვანა, წინ შეეგება მას და ბერძნების ლაშქრის პირისპირ დაბანაკდა. მაგრამ არც ერთი მებრძოლი მხარე არ იწყებდა ომს. შოყმანობაში დიდი დრო გადიოდა. ბოლოს ზიორგის ენერგიამ დინჯგონიერება დასძლია — და მან დასძრა ჯარი, მოუარა ბერძენთ ბანაკს ქალოქ მლთისის მხრით, რომელიც მტერს ეჭირა, ააოხრა და დასწვა იგი; შემდეგ ძოლასკენ გაიწია, მაგრამ იმპერატორი მსწრაფლ დაედევნა მას და ამ გზაზე, სოფელ შირიმთას მახლობლათ, მისი წინა რაზმი მიეწია ქართველთ უკანა რაზმს.

შეიქნა ბრძოლა, რომელშიც დიდათ დამარცხდნენ ბერძნებიც და ქართველებიც, განსაკუთრებით

ეს უკანასკნელნი, რადგან დაკარგეს ორი უკეთესი სარდალი, რატი და ხურსი. როცა ზიორგიმ წინარაზმში მოიხთარი შეტაკება გაიგო, თუმცა დახმარება გვიანი იყო, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ მიმართა იქით, შეხვდა იქ ვასილსა და მის ლაშქარს და მაშინვე ბრძოლა აუტეხა. თუმცა მისი ჯარი დაღალული იყო და მტრისაზე ბევრათ ნაკლები, მაგრამ ისეთი სისწრაფით ეძგერა მტერს, რომ ბერძნებმა უკან დაიწიეს და საგრძნობლათ დამარცხდნენ. ბრძოლა დიდხანს გაგძელდა და ისე ცუდათ იყო ბერძნების საქმე, რომ ვასილი ისინი იყო უკან დაწევას ფიქრობდა; მაგრამ ქართველებმა, რომელნიც უზომოთ დაიღალენ და მასთანვე გულიც შეიჯერეს წინამომდევარ ბრძოლაში დახოცილის თავისი ამხანაგებისათვის, მისდა გასაკვირველათ და სასიხარულოთ, თვითონ იწყეს უკან დაწევა. ამ წამმა არა თუ შემდეგი მოძრაობის, არამედ 1021 წლის მთელი ლაშქრობის სეგბედი გადასწყვიტა. ვასილმა კვალდაკვალ იწყოა ზიორგის დევნა და მისი მამაცი ჯარების ჟღეცა. ქართველები არტანს მივიდნენ და იქ უნდოდათ გამაგრება, მაგრამ ბერძნებმა მალე გარეკეს ისინი ამ ქალაქიდან, აიღეს იგი და დასწვეს, მცხოვრებლები კი ტყვეთ წაიყვანეს. ზიორგიმ პირველათ სამცხეს მიმართა, მერე კი ჯავახეთს; ვასილი არ შორდებოდა მას და აცლევინებდა ხან ერთსა და ხან მეორე მხრას, რომელთაც ბერძნები უწყალოთ აოხრებდნენ. ბოლოს იმპერატორისაგან

დევნილი ზიორგი თავისი დანარჩენი ჯარიანათ ორიალეთს მივიდა. აქ მას დახვდა კახელების რაზმი, რომელიც მისი თხოვნით მის შესაწევნელათ მოსულიყო, კვალად გამხნევდა იგი და აპირებდა ვასილთან შებმას; მაგრამ ქართველებმა ურჩიეს, რომ ბრძოლა თვითონ არ დაეწყო. ვასილმაც ველარ გაბედა საქმის იღბალზე მიგდება, და რადგან ზამთარში შუაგული საქართველოს მთა-ადგილებში დარჩენის ეშინოდა, პონტოს დაბრუნდა და გზაგზა ხელმეორეთ ააოხრა სამცხე და ტაო-ქლარჯეთი.

აღმოსავლეთისაკენ რო მიდიოდა, იმპერატორმა ქოსტანტინებოლში ორი თავისი სარდალი, ნიკიფორე ზოკა და ნიკიფორე ძსიპიასი, დასტოვა შინაგან საქმეთა გამგეებათ. მაგრამ ეს სარდლები მისი უკმაყოფილო შეიქნენ ამისთანა განკარგულებისათვის, და როცა ის წავიდა, თავისი თანამდებობა მიატოვეს, ქაბადუკიას მივიდნენ, შეკრიბეს დანარჩენი ჯარები და იმპერატორს გადაუდგენ. როცა ვასილთან მყოფმა ჯარებმა ეს ამბავი გაიგეს, თავზარი დაეცათ—და მათ შორის ხმა გავრცეოდა, თითქო ზოკა და ძსიპიასი და ქართველთ მეფე ერთად მოქმედებდნენ და თითქო ვასილის ჯარები ორის მტრული ჯარისაგან გარშემორტყმული იყვნენ. ვასილს უნდოდა როგორმე გამოსულიყო ამ გაჭივრებული მდგომარეობიდან—და ამიტომ ზიორგისთან ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ეს მოლაპარაკება მთელი ზამთრის განმავლობაში გა-



გძელდა და იმპერატორი და ქართველთ მეფე ამ შემთხვევაში ერთმანეთს თავდაბლათ ექცეოდნ და მეგობრობას უფიცავდნ, მაგრამ ზავი არ შეუკრავთ. ამასობაში ვასილმა ცბიერობითა და გაიძვერობით შოკასა და ძსიპიასს შორის მშვიდობიანი განწყობილება დაარღვია და უკანასკნელი იქამდი მიიყვანა, რომ პირველი მოაკვლევია — და ამას შემდეგ შოკას პარტიამ ძსიპიასი ხელთ ჩაუგდო იმპერატორს.

როცა მემბოხეებთან გაათავა საქმე, ვასილმა 1022 წელს ზიორგისთან უაზრო მოლაპარაკებას თავი ანება და ძლოაჯეთს მიმართა. ვასილი რომ აქამდი კეთილგანწყობილებას აცხადებდა და ახლა მოულოდნელათ შესევას ხელი მიყო, ამან აიძულა ზიორგი ებძანებია თავისი სარდლის ზვიადისათვის: საჩქაროთ შეკრიბე ჯარები და მტერს წინ შეხვდი, ამასთანავე დაარწმუნე იმპერატორი, თითქო ზავის ყველა პირობაზე თანახმა ვიყო, და ამით გააჩერე ის, სანამ თვითონ მე მოვიდოდე საქართველოს ყველა დანარჩენი ძალ-ღონიანათო. ზიორგიც მალე გაყვა ზვიადს უკან. მან შეაერთა თავისი ჯარები და გამოუცხადა: თქვენ აქ შეკრებილი იმისთვის ხართ, რომ ან ზავი შეკრათ და ან უკიდურესათ იბრძოლოთო -- და ყველა ეს ვასილზეა დამოკიდებულიო. რამდენათაც ბერძნები დარწმუნებული იყვენ თავის გამარჯვებაში, იმდენათვე ქართველები აღტაცებული იყვენ თავისი მეფისადმი სიყვარული-

თა და პატივისცემით—და კიდევაც გამოაცხადეს, რომ მზათა ვართ და საუმჯობესოთაც ვსთვლით ვეომოთ მტერს და ყველა დაეხოცოთ, თუ ბედი ამას მოიტანს, ვიდრე იმპერატორისაგან მოტყუებულნი დავრჩეთ და შევკრათ მასთან დამამცირებელი ზავიო. ზიორგის რაინდული ბუნება ააფრთოვანა ქართველთ ჯარის აღტაცებულობამ. თავად-აზნაურობამ მიმართა ზიორგის თხოვნით, რომ დაუყოვნებლათ თავს დასხმოდა მტერს, და მეფემაც იერიში მიიტანა მტრის ბანაკზე, რომელიც სოფელ სვინდაქსის მახლობლათ იყო დაწყობილი.

მალე საშინელი ბრძოლა გაიმართა; ბერძნებმა პირი იბრუნეს და აირიენ. შეძრწუნებულმა იმპერატორმა მასილმა ბძანა—გამოყფინათ მის დროშაზე, ზიორგის სამხილებლათ, მისი უკანასკნელი წერილი, რომელშიც იგი არწმუნებდა იმპერატორს, რომ ზავის ყველა პირობას მივიღებო; მან აიღო ხელში ცხოველმყოფელი ჯვარი, ჯარებს ივლიდა, წესიერებას ამყარებდა და თანაც ამხნევებდა ჯარის კაცებს ღვთის იმედით. მართლაც, ქართველების პირველ შეტევას შემდეგ მეორე ისე ძლიერი აღარ ყოფილა—და გამარჯვება ბერძნებისკენ შემობრუნდა. რამდენჯერმე კიდევ შინჯა ზიორგიმ უნაყოფოთ თავისი ძალა—და დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებულნი იყო, და ამიტომ სისწრაფით იწყო უკან დაწევა. მტერმა ხელში ჩაიგდო მთელი მისი ავლადიდება, რაც კი ბანაკში იყო, და უკან დაედევნა. ზიორგის

არ სურდა ამ მწარე გამოცთილებას შემდეგ განეგრძო საშიში ბრძოლა — და ამიტომ მიაწოდა მასილს ღავით კურატპალატის ყველა სამფლობელო: ქლარჯეთი, ტაო, სამცხე და ჯავახეთი და ზავის დაურღვევლობის ძველათ მისცა თავისი სამი წლის შვილი ბაგრატი. იმპერატორი დათანხმდა ამ პირობებზე და ისინი მით შეამსუბუქა, რომ ამ მაზრების ზოგიერთი ეკლესია და სოფელი ქართველთ მეფის მფლობელობაში 'დასტოვა და პირობა დასდვა — სამ წელს შემდეგ დაებრუნებია მისთვის შვილი მისი ბაგრატი. ასე გათავდა ეს ომი. ქართველებს გარდა, ბერძენთა და სომეხთ მრავალ მემკვიდრეს აუწყურია იგი, მაგრამ ისე საძაგლათ, რომ ჩვენ საუმჯობესოთ დავინახეთ უპირატესობა „ქართლის ცხოვრებისათვის მიგვეცა და მხოლოდ შეგვეცხო იგი სხვების ზოგიერთი მოთხრობით, რომელიც სარწმუნოთ დავინახეთ. ამ აწერილობიდან ის სიტყვები, რომელიც შეეხება ზავის შეკვრის დროს ზოგიერთი ეკლესიისა და სოფლის ქართველთ მეფის მფლობელობაში დატოვებას, ჩვენი აზრით ისე უნდა გავიგოთ, რომ საზოგადოთ ეკლესიები მათი მამულებიანათ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებში უწინდლურათ დატოვებული იყო საქართველოს საპატრიარქოს უფლებაში.

ზიორგიმ ისარგებლა მით, რომ ქართველთ კათალიკოზს მოცილებული მაზრების ეკლესიებსა და სამღვდელოებაზე გავლენა ქონდა, და ზავის შე-

კვრას შემდეგ მოინდომა აღედგინა თავისი ხელმწიფება იქაური მცხოვრებლების შესახებაც. მაგრამ თავისი მისწრაფების განსახორციელებლათ იგი ცხად ზომებს კი არ ხმარობდა, არამედ ფარულს და მასთანვე საკმაო სასირცხოვსაც. მან გაგზავნა კათალიკოზი მელქისედეკი ძოსტანტინეპოლს და საბერძნეთის სხვა მდიდარ ქალაქებში და უბძანა მას, ვითომდა ღვთისმოყვარების მიზნით შეეკრიბა დიდი შეწირულებანი. მელქისედეკის დაბრუნებას შემდეგ ბერძნების ნებაყოფლობით შეწირულობათაგან შემდგარი ფრიად დიდი თანხა იმაზე მოიხმარეს, რომ მათგანვე გამოეყიდათ მრავალი სოფელი სამცხესა და ტაო-აღარჯეთში—და ისინი ეკლესიების საკუთრებათ ჩაიწერენ. ამგვარათ, თუმცა ეს მაზრები იმპერიის საზღვრებში ითვლებოდენ, მაგრამ შინაგანი მათი მართველობა უნეტესათ საქართველოზე იყო დამოკიდებული. ხოლო ქართველთ მეფის ამ ცუდიერ პოლიტიკას სულაც არ დაურღვევია ბერძნების კეთილგანწყობილება ქართველებთან. ეს უკანასკნელი თავდაპირველათ იმით იყო შენახული, რომ საქართველოს ტახტის მემკვიდრე მათ შორის იმყოფებოდა, და შემდეგ კი მით, რომ იმ დროს შემოიღეს ქართველთ თავად-აზნაურთა შვილების გაგზავნა საბერძნეთის საუკეთესო სკოლებში მეცნიერებათა შესასწავლათ.

1025 წელს ბატონიშვილი ბაგრატი, ზავის პირობისამებრ, დაბრუნდა თავის სამშობლოში; 1027 წ.

კი, ზიორგი I-ის სიკვდილს შემდეგ, — მაშინ ის თითქმის ცხრა წლის იყო, — ავიდა საქართველოს ტახტზე ბაგრატ IV-ის სახელით.

## II.

### კოსტანტანუპოლის კანაის ურთიერთობანი საქანთ ველქოსთან 1025 წლიდან.

ბაგრატ IV-ის გამეფება. — იმპერატორის კოსტანტინე VI-ის გულგრილობა საქართველოს მიმართ. — რომანოზ აგრიონის მოპირდაპირე პოლიტიკა. — ბაგრატის დედის შარიაშის მოგზაურობა კოსტანტინეპოლს. — ბაგრატის დაქორწინება იმპერატორის ძმისწულზე და ამ უკანასკნელის სიკვდილი — ანაკოფიის დაქერა ბერძნების მიერ.

იმპერატორის ვასილ II-ის სიკვდილს შემდეგ მისმა ძმამ კოსტანტინე VI-მ შესცვალა ბიზანტიის კარის ურთიერთობანი საქართველოსთან. რადგან პოლიტიკური მოქმედების ნიჭი არ ქონდა და ყველაფერს ეჭვის თვალით და უნდობლათ უყურებდა, ამიტომ, შეიქნა იმპერიის მართველათ თუ არა, მაშინვე გამოიჩინა თავისი გულგრილობა საქართველოს მიმართ. ამას ალბათ მელქისედეკ კათალიკოზის მოქმედებანიც უწყობდენ ხელს. კოსტანტინეს უნდოდა ისევ ამანათად დაეტოვებია ბატონიშვილი ბაგრატი, რომელიც ვასილმა მის სამშობლო-

ში გაუშვა, და ამიტომ გადასწყვიტა ზავის პირობების დარღვევა: გაგზავნა მღევარი და უბძანა — დაეჭირათ გზაში საქართველოს მიმავალი ბაგრატი და ჭოსტანტინეპოლს მიეყვანათ; მაგრამ მღევარი ველარ დაეწია ბატონიშვილს და ამ მოქმედებამ, რომელსაც, ჭოსტანტინეს სასიროცხოთ, წარმატება არ მისცემია, ორ მართებლობას შორის უკმაყოფილების ცხადი მიზეზები დანერგა. ხოლო უსუსტეს მხარეს, რომელსაც ბიორგის გამოცთილება წინ უძლოდა, თავი უნდა შეეკავებია — იმისთანა რამე არ ჩაედინა, რომ ომი ატეხილიყო; საბერძნეთის მართებლობა კი სულ იმას ცთილობდა, რომ საქართველოს მყუდროება დაერღვია. ბოლოს, ბიორგის სიკვდილს შემდეგ, ჭოსტანტინეს აგენტებმა მესხეთის თავად-აზნაურობა ააჯანყეს, შეიყვანეს ჯარები ამ მაზრაში და ახალი მეფე ბაგრატი იქამდი მიიყვანეს, რომ იძულებული შეიქნა — უძალ-ლონოს — იარაღი აეღო ხელში.

ზოგიერთი მიზეზი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ბიზანტიის კარის აგენტებათ ყოფილან თვითონ ქართველები, რომელნიც წინათ საბერძნეთის სამსახურში იყვნენ. ჩვენ ვიცით, რომ ძველადანვე ქართველთ არისტოკრატიული გვარების მრავალ წევრს, რომელნიც თავისი სამშობლოდან გადასახლებულიყვნენ, იმპერიაში საგულისხმო თანამდებობა ეჭირათ. საბერძნეთისა და საქართველოს მატთანები გვიხატავს ორს სხვებზე უფრო

შესანიშნავ ეპოქას, როცა იქაურ მკვიდრთა ემიგრაციები ხთებოდა ხოლმე. ეს ეპოქები არის: ერთი — ქობადისა და ნუშირვანის ომები იუსტინესა და იუსტინიანეს წინააღმდეგ, და მეორე — ის დრო, რომელიც წინაუძლოდა არაბთაგან სპარსეთს შესევას, როცა იმპერატორი ირაკლი ურჩევდა მცხოვრებლებს — მომავალი საშიშროებისაგან წინდაწინ შეეფარებიათ თავი მისი იმპერიის შუაგულ მხარეებში; მაგრამ, — ალბათ როგორც ამ ეპოქებში, ისე წინათაც, მათ ხანებში და მათ შემდეგაც, მომხთარა ქართველთა გადასახლება საბერძნეთს. ზოგს სარწმუნოება იზიდავდა და ზოგსაც სამხედრო და პოლიტიკური გარემოებანი აიძულებდენ. სხვადასხვა დროის ემიგრანტებს შორის, რომელნიც საბერძნეთში სახელმწიფო თანამდებობაში ყოფილან, ჩვენ ვიცით შემდეგნი: შარსმანი, შთამომავლობით კოლხი, იმპერატორის პნასტასის სარდალი<sup>1)</sup>; ფერანი, შთამომავლობით ივერიელი, იუსტინიანეს სარდალი; თორნიკე, სკლიროსის დამმარცხებელი; ტიცი ანუ ჯოჯიკი, ღოროსტოლის პრეფექტი; ტეფდატი და მისი ნათესავები ბიორგი და შარახვაჩე<sup>2)</sup>. უკანასკნელი ოთხი პირი იმ გარემოების თანამედროვენი იყვნენ, რომელიც ჩვენ აქ ავსწერეთ.

უნდა ვიფიქროთ, რომ, იმპერატორის პოლი-

1) Прокоп.: Перс. война, кн. 1, ст. 37.

2) Brosset, Additions, XII, p- 219.

ტიკის გავლენის გამო, მათ თავდაპირველათ დაუ-  
ყოლიებიათ **ტაოს** ერთი ძლიერი მემამულეთაგანი,  
**ზაჩე ქარანიძე**, და **ბანის** ეპისკოპოზი **იოანე** -- დაე-  
ტოვებიათ თავისი უბრალო ხალხის მეფე **ბაგრატი**  
და **ქოსტანტინეს** უფრო სასახელო ქვეშევრდომო-  
ბა მიეღოთ. 1028 წელს ამათ მიიმხრეს მრავალი  
ფეოდალი; ამ უკანასკნელებმა თავისი ციხეები გა-  
დასკეს **ბიზანტიის** კარის ხაზინადარს, რომელიც  
მოსულიყო იქ და მიეყვანა მრავალი ჯარი და თა-  
ნაც დიდძალი ოქრო მიეტანა. ამ საშვალებათა  
წყალობით ბერძნებმა მალე და ადვილათაც დაი-  
პყრეს სამხრეთ-დასავლეთის საქართველოს ყველა  
მაზრა და მიადგენ **ლიპარიტ ორბელიანის** ციხეს  
ქლდეკარს. იმ დროს ეს თავადი ქართველთ ჯარე-  
ბის უმთავრეს სარდლათ იყო, მაგრამ მატთანეთაგან  
არა ჩანს, რომ მას რაიმე საქმე ჩაედინოს ამ ომში,  
სანამ მის მამულებს არ შეესიენ. მხოლოდ მაშინ  
შეკრიბა მან ახლომახლო მყოფი თავად-აზნაურობა,  
რომელნიც ჯერ კიდევ **ბაგრატის** ერდგულნი იყ-  
ვენ, და დაიცვა თავისი ციხე-სიმაგრეები; მაგრამ  
ბერძნები მაშინვე შეერიენ ამ თავად-აზნაურთა მა-  
მულებს და ზოგი მათგანი დაიმორჩილეს ამ უკი-  
დურეს გაჭივრებაში ბერძნებს წინააღმდეგ **ტბეთის**  
ეპისკოპოზი **საბა**. მან გაამაგრა თავისი ეპარქიის  
ეკლესიები და ციხეები და ბერძნების ყველა თავ-  
დახსმა წარმატებით უკუაქცია. ამ მწყემსმთავრის გამ-  
ბედაობამ და სამხედრო ნიჭმა ბევრი გაამხნევა და



ბერძნების წარმატებანი შეაფერხა. ამასთანავე არტანუჯის ერისთავმა, იოანე აბუსერმა, საბას მაგალითს მიბაძა და დაამარცხა მტერი. დასასრულ იმავე წელს (1028) მოკვდა ჰოსტანტინე VI, რომანოზ აგრირმა შეირთო ცოლათ მისი ორმოცი წლის ასული ზოია და მისი ტახტი დაიჭირა; რადგან მას სხვა განზრახვები ქონდა გულში, ამ ომის გაგრძობა აღარ ისურვა და თავისი ჯარები საქართველოდან გამოიწვია.

საქართველოს კარმა აღტაცებით მიიღო ბერძნების უკუქცევის შესახებ ცნობა, და რადგან ძლიერ აფასებდა ამ ცვლილებას, თავის სრულ ძალ-ღონეს ხმარობდა — როგორმე დაეცვა მშვიდობისმოყვარეობისადმი ახალი იმპერატორის მიდრეკილება. რომანოზის ტახტზე ასვლის პირველ წელსვე საქართველოდან გაიგზავნა მასთან მელქისედეკ კათალიკოზი ბაგრატის სახელით სალაშის გადასაცემათ. კათალიკოზი უწინდლურათ აღერსით მიიღეს და მდიდარი საჩუქრებით უკან გამოუშვეს. სამ წელს შემდეგ ბაგრატის დედა მარიამიც გაემგზავრა ჰოსტანტინეპოლს. ის მივიდა იმპერატორთან, დაარწმუნა იგი, რომ ახალგაზდა მეფე და ქართველი ხალხი მისი ერდგული იყვენ, და, ძველი ჩვეულებისამებრ, გამოითხოვა თავისი შვილისათვის კურატპალატის ხარისხი და თანხმობა იმაზე, რომ ბაგრატი რომანოზის ძმისწულზე, ვასილ აგრირის ასულზე

მლენეზე, დაქორწინებულიყო <sup>1)</sup>). მრავალ განძს შორის, რომელიც იმპერატორმა მლენეს უმზითვა, საქართველოს გამოგზავნეს აგრეთვე მაცხოვრის ჯვრის ერთი ლურსმანთაგანი და ოქონის ლეთისმშობლის ხატი <sup>2)</sup>). ამგვარათ, 1032 წლის მახლობლათ, საქართველოსა და საბერძნეთს შორის მშვიდობიანი კავშირი დაემყარა.

მეფის ასული ქუთაისს მივიდა და ჯვარი დაიწერა 14 წლის ბაგრატზე; ამას შემდეგ ის მალე გადაიცვალა, მაგრამ მაინც მოასწრო სახელის მოხვეჭა მით, რომ დიდებული იქაური საკრებულო ტადარი მოათავა.

ამასობაში, თუმცა საბერძნეთის იმპერატორი ბაგრატთან დანათესავებული იყო და პირადათ კარგათ განწყობილიც, მაგრამ 1033 წელში საქართველო იმისთანა გარემოებაში ჩააყენეს, რომ მან დაკარგა ანაკოფია, აფხაზთა მეფეების ყოფილი სატახტო ქალაქი. ბაგრატის მამას, გიორგის, მარიამს გარდა ყავდა მეორე ცოლი (ალბათ ხასა), ოსეთის მთავრის აღდას ასული, რომლისაგანაც შეეძინა მას ვაჟი ღიმიტრი; გიორგიმ ღიმიტრი ბაბუა-მისის მზრუნველობაში დასტოვა და სარჩოთ ანაკოფია დაუნიშნა. პატივის მოყვარე აღდამ თავდაპირველათ გამართა ქართველთა თავად-აზნაურო-

<sup>1)</sup> Lebeau, tom, XIV, p. 249, სადაც მოყავს Cedresi-სა (p. 729-731) და Zon-ის აზრი (tom. II, p. 232).

<sup>2)</sup> დეოდრაფიული აღწერა ზახუშტისა, 48

ბასთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ გაეფართოებია თავისი შვილისშვილის უფლებანი ბაგრატის უფლებათა წინააღმდეგ; მაგრამ ამაში მან ვერაფერი წარმატება ნახა — და კიდევაც ეწინოდა, რომ თავისი მაძიებლობით არ დაეღუპა ლიმიტრი, და ამიტომ, ვითომდა იმპერატორის მეგობრობის მოსაპოვებლათ და ბერძნებთან ურთერთობის აღსადგენათ, რომანოზს წინადადება მისცა დაეჭირა ანაკოფია, როგორც ზიორგისგან მის განკარგულებაში გადასული ქალაქი. ბიზანტიის მართებლობამ მიიღო მისი წინადადება და ანაკოფია თავისი ჯარებით დაიჭირა <sup>1)</sup>). საქართველოს კარი მოერიდა ამაზე დავის ატეხას ერთი მხრით აღლდას მომხრეებთან და მეორე მხრით ბერძნებთან — და ამიტომ ხმის ამოუღებლათ აიტანა ეს საგრძნობელი დანაკლისი.

### III.

**ბაგრატის საქმეები აზიასა და საქართველოში თფილისის აღებაჲდი.**

მმი სომხეთის ამირის აბდულ-სევარის წინააღმდეგ. — თფილისის გარშემორტყმა. — ლიპარიტ მრბელიანის მტრობა ბაგრატის წინააღმდეგ. — ბაგრატის გალაშქრება ქახეთზე. — ლიპარიტის აჯანყება. — ბაგრატისაგან თფილისის აღება.

1036 წელში ბაგრატი ეომებოდა ამირს აბ-

<sup>1)</sup> Lebeau, tom, XIV p. 255.

დულ-სევარს <sup>1)</sup> (ქართველი მემარტიანეები იმას ფად-ლონს უწოდებენ), რომელიც ქალაქ ღვინში იმყოფებოდა. „მართლის-ცხოვრება“ არ განგვიმარტავს გარემოებათა მსვლელობას, რომელმაც მეფე ამ ომისათვის აიძულა. ის მხოლოდ ამბობს, რომ ზადლონი მტრულათ უყურებდა იმ მეზობელ მთავრებს, რომელნიც ძალას იკრეფდნენ და იცავდნენ თავისი სამთავროს ძლიერებასო. მაგრამ, როგორც სომეხთა მარტიანეთაგან ჩანს, აბდულ-სევარს ურიცხვი ჯარი შეუკრებია და პირველს აუტეხია ეს ომი მით, რომ აღმოსავლეთის სომხეთის მეფეს ღავითს თავს დასხმია, — ღავითს კი შემწეობისათვის სათხოვნელათ ბაგრატიანთაგან მიუმართავს <sup>2)</sup>. ბაგრატიანთა მაგიერათ ქართველთ ჯარის წინამძღოლობა, — ეს ჯარი 4000 კაცისგან შესდგებოდა <sup>3)</sup>, — იკისრეს ჩვენ მიერ ცნობილმა ლიპარიტ ორბელიანმა და იოანე აბაზაძემ. როცა ესენი სალაშქროთ გავიდნენ, მათ შეუერთდნენ ღავითის სხვა მეკავშირეები: ქახეთის მეფე ჰალიკი, ჭვირიკე III-ის შვილი და მონაცვალე, დასავლეთი სომხეთის მეფე იოანე და თფილისის ამირი ჯაფარი. სანამ მეკავშირე ჯარები თავს მოიყრიდნენ, მტერმა კიდევაც ააოხრა ღავითის სამთავროს უმეტესი ნაწილი <sup>4)</sup>; მაგრამ, როგორც კი

<sup>1)</sup> Sf. Martin; Mém. sur. l'Armén., tom 1, p. 370.

<sup>2)</sup> Ibid.

<sup>3)</sup> Brossef; Hisf. de la géorgie, p. 316, not. 6.

<sup>4)</sup> Sf. Martin, რომელიც ეყარება მდგენელ მატეოსსა და მიხეილ ჩამჩიანს; Mémoires sur l'Armén., tom. 1, p. 370.

შეხვდა ერთმანეთს ორივე მხარე, **აბდულ-სევარს** შეუტრეს და სრულიად დაამარცხეს. ის გაიქცა და გამარჯვებულებს ალაფათ დაუტოვა აუარებელი სიმდიდრე, მალე ავით გახთა და კიდევაც მოკვდა.

**ამ** სუბუქმა უძლიერეს გმირზე გამარჯვებამ ისე გაამხნევა **ლიპარიტი** და **იოანე აბაზაძე**, რომ, ამირის **ჯაფარის** უღონობის იმედით, აღარ უნდოდათ **თფილისის** გათავისუფლების გადადება, მიუფრო, რომ ეს შეადგენდა ხალხის მუდმივ წადილს. ისინი შეესიენ ამირის სამფლობელოს დასავლეთის მხრით და აიღეს ბუნებით გამაგრებული მისი მოწინავე საბინაო ალაფი **ბირთვისი**. **ბაგრატს** ჯერ კიდევ არ შეეძლო თავისი სარდლების პატრიოტულ გატაცებულებათა დაფასება და ამიტომ არა თუ მარტო იმის წინააღმდეგი შეიქნა, რომ მათ თავდასხმა განეგრძოთ, არამედ თხოულობდა, რომ **ბირთვისი**ც დაებრუნებიათ ამირისათვის. **ლიპარიტი** თავისას მაინც არ იშლიდა და ხანგრძლივ დავას შემდეგ დააჯერა ახალგაზდა მეფე-ჯარში გამოცხადებულიყო და **თფილისის** გარემოცვა თვითონ ეკისრა. ეს მოხდა 1038 წელს; თუმცა ჯარების უფროსობა **ბაგრატმა** მიიღო თავის თავზე, მაგრამ გარემოცვის შესახებ ყველა განკარგულებას **ლიპარიტი** შვრებოდა. **ბარშემორტყმა** ორი მხრით დაიწყო: იმერლები და ქართლები დასავლეთის მხრიდან მიიწოდნენ, კახელი ჯარები კი, რომელნიც იმათ მისაშველებლათ მოწვეული იყვნენ, — აღმოსავლეთის მხრი-



დან. **თ**ფილისის ამგვარი მდგომარეობა ორ წელს განიგრძო; შემწეობა არსაიდან ჩნდა; მეციხოვნე ჯარი და ქალაქის მცხოვრებლები დღითიდღე უფროდაუფრო გრძნობდნენ შევიწროებას. ამასობაში იმერლებმა და ქართლებმა ორი უმთავრესი ციხესიმაგრე, **მ**რბისი და **შ**არცხისი, დაიჭირეს და მალე სრულიად მოსპეს ყოველგვარი მიმოსვლა **თ**ფილისისა და მის არემარეთა მცხოვრებთ შორის. საშინელი შიმშილობა დაიწყო; დასასრულ, როგორც მეციხოვნენი, ისე მცხოვრებლებიც უკიდურეს მდგომარეობამდი მივიდნენ და ამიტომ გადასწყვიტეს — დამორჩილებოდნენ ბაგრატს. ჯაფარ ამირს მომზადებული ქონდა ტივები და ის იყო ღამით თავის მხლებლებიანათ აპირებდა მათზე დაჯდომას და ბანჯისკენ გაცურვას; — მაგრამ უცებ ბაგრატის ბანაკში დიდი არეულობა შეამჩნიეს. მისმა ვეზირებმა უარი გააცხადეს ქალაქის აღებასა და ჯაფარისათვის ამირობის წართმევაზე. მათი შეშფოთების მიზეზი ეს იყო: იფიქრეს, **თ**ფილისის აღებას უსათუოთ მიაწერენ **ლ**იპარიტის მაღალს პატრიოტულ გრძნობასა და იმ სახელს, რომელიც მას აქვს, როგორც ხელოვან სარდალსო, და ეშინოდათ, ვაი თუ ამას შემდეგ **ლ**იპარიტის ზნეობრივი გავლენა საქართველოზე მეტათ გაძლიერდესო. მეფე დათანხმდა დიდებულთა წინადადებაზე, **ლ**იპარიტს კი თავისი აზრი დაუფარა და ჯაფარს შეუთვალა, მთელ სიკოცხლესი გტოვებ ქალაქის ამირათო, და ამასთანავე გარშემორტყმას თავი ანება.

აქიდან ადვილათ შეიძლება დავინახოთ, თუ რა შეურაცხყოფილათ იგრძნობდა თავს ლიპარიტი, რომელიც ბაგრატს შემდეგ პირველ კაცათ ითვლებოდა. მაგრამ სახელოვანი გარემოცვის ამგვარის ახირებული შედეგის უკმაყოფილო მარტო ლიპარიტი არ ყოფილა. ძახელებმა, რომელნიც თფილისის აღებას შემდეგ ალბათ მდიდარ ალაფს მოელოდნენ, კიდევ მეტი უკმაყოფილება გამოიჩინეს ბაგრატიისადმი. ამით გაჯავრებულმა ბაგრატმა ძახეთზე გაილაშქრა და ერთ ბრძოლაში, ესრეთწოდებული მიქელ-შაბრიელის მთის მახლობლათ, დაამარცხა და დაატყვევა ძახეთის საუკეთესო სარდლები, პანკისის ერისთავი სტეფანოზი, ხორნაბუჯისა შაჩე, სტორისა რაჯე და სხვები. შემდეგ ის შევიდა თიანეთს, დასწვა ბოდოჯის მშვენიერი დარბაზი, რომელიც ჭვირიკე III-ისაგან იყო აგებული, დაიჭირა მრავალი გამაგრებული სოფელი და შართლს შემობრუნდა.

ამასობაში ლიპარიტის შეურაცხყოფა ბაგრატიისადმი უკიდურეს მძულვარებათ გადაიქცა; ამის მიზეზი, თუ ბიზანტიელ მწერალთა ნათქვამი სამართლიანია <sup>1)</sup>, ის ყოფილა, რომ ლიპარიტს შეუტყვია ბაგრატსა და თავის ცოლს შორის მომხთარი სამიჯნურო ურთიერთობა. სანამ მეფე კახელებს ეომებოდა, ლიპარიტი მოემზადა მის წინააღმდეგ ასა-

1) Brossef; Hisf. de la géorgie, p. 322, n. 2 et 3.

ჯანყებლათ. ამ დროს საბერძნეთის საიმპერატორო ოჯახობის ერთ წევრთაგანს, ქოსტანტინე მონომახს, უყვარდა ახალგაზდა მშვენიერი ირინე, ბიორგი I-ის ასული, ასე რომ შემდეგში, როცა იმპერატორათ გახთა და ცოლშერთულიც იყო, წაიყვანა ის თავის სასახლეში, უბოძა მას ავგუსტის ხარისხი და საუცხოოთ მოუწყო ცხოვრება <sup>1)</sup>. ლიბარიტმა ისარგებლა ამით, მოიწვია ქოსტანტინეპოლიდან ირინეს ძმა ღიმიტრი— და ამ გარემოების გავლენით ბიზანტიის კარისაგან შემწეობისათვის ბერძნების ჯარები გამოითხოვა და მიიმხრო აგრეთვე მესხეთის მრავალი თავად-აზნაურობა საქართველოს ტახტის ამ მეძიებელის სასარგებლოთ. მალე მას კახელებიც მიემხრენ შურის საძიებლათ იმ აოხრების გამო, რომელიც ბაგრატმა მათ მხარეს მიაყენა. შეიტყო ეს ბაგრატმა თუარა, დაუყოვნებლათ სისწრაფით წაიყვანა რაც თან ახლდა ჯარი, მივიდა ჯავახეთს და იქ იწყო ახალქალაქის გამაგრება. შეამბოხე ვასალმა შემოუარა მას და თავს დაესხა ატენს; მაგრამ ვერ აიღო ის, თუმცა ყოველივე ღონისძიება იხმარა. თმოგვის ერისთავმა შარსმანმა და თუხარისისამ ბეშქენ ჯაყელმა სახელი გაითქვეს, როგორც ამ ქალაქის დასაცველებმა. ბადამტერებული მხარეების შემდგომ მოქმედებათა შესახებ 1045 წლამდი არაფერი ვიცით; მათიანეები-

<sup>1)</sup> Lebeau; tom. XIV, p. 392.



საგან მხოლოდ ერთი ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1041 წელს, ზამთარი რომ მოახლოვდა, საბერძნეთის ჯარები საქართველოდან წასულან და ამ დროს ბაგრატს ლიპარიტთან ზავი შეუკრავს და მისთვის ქართლის ერისთავის წოდება მიუცია. 1042 წლის გაზაფხულზე მან ალყა შემოარტყა ანაკოფიას და უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ამ დროს ჯათარი მოკვდა და თფილისმა საჩქაროთ მიიწვია ბაგრატი, რომ ქალაქის კლიტეები ჩაებარებია. მეფემ ანაკოფიასთან დასტოვა ჯარის ნაწილი შობულიძის შვილის ჯაჯანის უფროსობით და თფილისს წავიდა. საქართველოს მეფის შესვლა თავის წინამოადგილეთა ძველ სატახტო ქალაქში განსაკუთრებით დიდებული იყო, თუმცა მთელი ქალაქი არ დამორჩილებია მას. შტკვრის მარცხენა ნაპირის — ისანის (ახლანდელი ავლაბარი) მცხოვრებლებმა ხიდი ჩაანგრეს და ერთხანს გაჯიუტდენ, მაგრამ ისინი მალე ქვის მასროლი მანქანებით დააცხრეს.

IV.

ამა ბაგრატი და ლიპარიტ ორბელიანს შორის.

ბერძნების პოლიტიკა სომხეთის წინააღმდეგ. — სომხებისაგან ბაგრატის მიწვევა. — ბერძნები ლიპარიტს ამტყობენ ბაგრატს. — ლიპარიტის წარმატებანი. — ბაგრატის განდევნა ძართლიდან. — ლიპარიტის მოქმედება თურქთა წინააღმდეგ და მისი ტყვეთ წაყვანა. — მისი გათავისუფლება და მოქმედება ბაგრატის წინააღმდეგ. — ბაგრატის წასვლა ქოსტანტინეპოლს. — მისი დაბრუნება; ლიპარიტის დატუსაღება; ზავი მათ შორის.

სომხეთში 1045 წელს მომხთარმა გარემოებებმა მისცა ლიპარიტს შემთხვევა — ხელახლა აეტეხა ბრძოლა ბაგრატთან. ამ წელში ბიზანტიის კარმა, რომელსაც განზრახვა ქონდა — დაეფლო სომხეთის ნაწილი, სადაც აშოტის შვილი ჰალიკ II მეფობდა, ვერაგობით მიიტყუა იგი ქოსტანტინეპოლს და იქ დასტოვა. მაგრამ, სანამ ბერძნები იმის ფიქრში იყვნენ, რომ იქ თავისი მართველი ჯარებიანათ გაეგზავნათ, სომხებმა შეუტყვეს მათ განზრახვები და სამ დასათ გაიყვნენ. მრთს უნდოდა — სამეფო ღავით უმიწაწყლოსთვის მიეცა, მეორეს — ღავითის სიძის აბდულ-სევარისათვის, მესამე კი ცთილობდა — ბაგრატ IV-ის ბძანებლობა აღეარებია<sup>1)</sup>. ამიტომაც ბაგრატმა, მივიდა მასთან დეპუტაცია თუ არა,

<sup>1)</sup> Brosset, რომელიც დამყარებულია ჩამჩიანზე, tom. II, p. 932; Arisfac. p. 41 et Mattean d' Fdesse. p. 64.

იმ წამსვე გაგზავნა თავისი ჯარები პრტანუჯის ერისთავის აბუსერის წინამძღოლობით და დაიჭირა სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი. მალე იქ მივიდა ბაგრატის დედაც, მარიამი, იმ მიზნით, რომ განემტკიცებია შვილის უფლებანი ამ დაფლობის შესახებ: მან ადგილობრივ მცხოვრებლებს მოაგონა თავისი შთამომავლობა სომხების მეფეებისაგან. ზაიგო ეს პოსტანტინე მონომახმა თუ არა, საჩქაროთ გაგზავნა ლიპარიტთან დიმიტრი, თან გაატანა ბერძნების დიდძალი ჯარი და ხაზინა სამხედრო ხარჯებისათვის და უბძანა--წაერთმია ბაგმატისათვის სომხეთიც და მასთან მისი სამეფოც და საქართველოს ტახტზე დიმიტრი აეყვანა. ლიპარიტი ქალაქ ანისს დაეცა, სადაც ჯერ კიდევ დედოფალი მარიამი იმყოფებოდა. როცა მას ალყა შემოარტყა, მოითხოვა--ენახულუბიათ მისი დამცველები: პრტანუჯის ერისთავი აბუსერი, იოანე როდიონი და ზურამ ბოდბერიანი. ისინი ენდვენ ლიპარიტის პატიოსან სიტყვას, მაგრამ, გამოვიდნენ ციხიდან თუ არა, ლიპარიტმა შემოარტყა მათ ჯარის კაცები და ტყვეთ წაიყვანა. ამ გარემოებამ ხელიდან გამოაცალა ანისს გამაგრების საშვალეობა-- და მალე აიღეს იგი. ამბობენ, თითქო ლიპარიტს აშასთანავე ამოეყაროს მთელი ჯავრი, რაც მას გულში ქონდა. ამ დროს მეფე თფილისში იყო და ქალაქის ახალი მართვისათვის სხვადასხვა დაწესებულებას აწყობდა. როცა ეს ამბავი გაიგო, დასტოვა თფილისი და

ჯავახეთს გაემართა. იქ მასთან გამოცხადდენ მათწყვერელი და მესხები, წარუდგინეს მას მთელი თავისი ავლადიდება და გამოუცხადეს, რომ მზათა ვართ შენი სამსახურისათვისო; მაგრამ მალე უღალატეს და ლიპარიტის მხარეს გადავიდენ; მას მიემხრენ აგრეთვე კახელებიც. ასე გავიდა ზაფხული და შემოდგომა, რომელიც აჯანყებულს ძალიან უწყობდა ხელს. ბაგრატი არ დაცემულა სულით: ის გაემართა შავშეთს, მაგრამ ზამთრის სიციწვეებმა, თოვლმა და გრიგალმა აიძულეს იგი — ქართლს უკუქცეულიყო.

ბაგრატს წაართვეს ანისი; მაგრამ მისი უფლებანი ამ ქალაქსა და სომხეთის უახლოეს ნაწილზე ისე გავრცელებული იყვენ ხალხში, რომ ბიზანტიის კარი, რომელიც ფლობდა ამ ქალაქს 1045 წლიდან 1064-მდი, ორი მოურავის საშვალეებით მართავდა მას: ერთი სომეხი იყო და მეორე ქართველი <sup>1)</sup>).

მთელი საქართველო რყევაში იყო: უმაღლესი თავად-აზნაურობა ორ ნაწილათ გაიყო, — ერთმა ლიპარიტისა და ლიმიტრის მხარე დაიჭირა, მეორე ბაგრატის ერდგულობაში დარჩა. მალე კახელებს გარდა სომეხთა მეფემ ღავითმაც გამოუგზავნა ლიპარიტს თავისი ჯარები. 1046 წლის გაზაფხულზე ბაგრატმა, რადგან ისიც შემწეობას მოელოდა და მტრის მოქმედების შეფერხებაც სურდა, ტყვეების

<sup>1)</sup> St. Martin; Mémoir. sur l'Armén., tom. II p. 225.

გაცვლაზე ჩამოაგდო მოლაპარაკება და წინადადება მისცა ლიპარიტს—ჩემი შვილი იოანე მომეცი და სამაგიეროთ არტანუჯის ერისთავს აბუსერს მოგცემო. იმ დროს, როცა ორივე მხარე ამ მოლაპარაკების პირობებს ასრულებდა, ბაგრატს მოეშველა 4000 ვარიაგი<sup>1)</sup>. ამით გახარებულმა ბაგრატმა აღარ მოუცადა ერდგული მესხების ჯარის მოსვლას და ბრძოლა დაიწყო. ვარიაგები ბაშზე დააწყო, მათგან მხოლოდ 700 კაცი წაიყვანა და ქართლელთა და იმერთა რაზმებით სასირეთისკენ გაემართა. მაგრამ აქ ლიპარიტმა საშინლათ დაამარცხა ის, განსაკუთრებით მით, რომ მრავალი კაცი ტყვეთ მოსტაცა, რომელთა შორისაც ბევრი დიდებული და წარჩინებული პირი ჭრია და სხვათა შორის—მეორეთ დატყვევებული მისი მეგობარი აბუსერი. ლიპარიტსაც მოაკლდა თავისი ამბოხების დიდი შემწე, ღიმიტრი, რომელიც ბრძოლის დასაწყისსვე მოკლეს.

სასირეთის ომის ასე უბედურათ გათავებას შემდეგ ბაგრატს მეტი აღარაფერი რჩებოდა, ორი უკიდურესი ზომისათვის უნდა მიემართა: ან შერიგებოდა მტერს ფრიად საზარალო პირობებით, ან ქართლიდან გაქცეულიყო. მაგრამ მან სცადა—აერჩია თავისი პიროვნებისათვის უფრო საშიშარი ზო-

<sup>1)</sup> ვარიაგები—„ქართლის-ცხოვრებაში“ ვაღანნი, ფრანგულათ Warangiens.

მა ამ ურთიერთშორისი ომის მოსასპობათ. ამ შემთხვევაში მან თავი გამოიჩინა ყოვლად კეთილშობილ და გამბედავ რაინდათ. როცა დაბა ხოვლეს გასცილდა, ბაგრატიმა შეაჩერა თავისი ჯარები, რომელნიც უკან იწეოდნენ, და თვითონ კი მცირე ამალით მოულოდნელათ გაემართა ლიპარიტის სანახავათ იმ განზრახვით, რომ ამით იმისი სინიდისი ემხილებია. მეფის ამგვარი ქცევით შეფიქრიანებულმა ლიპარიტმა იგრძნო თავისი მდგომარეობის სრული უხერხულობა და სინიდისის მხილება, მიატოვა ბანაკი და დაიშალა, რომ არ ჩვენებოდა მას. ბაგრატიმა დაკარგა შერიგების ყოველივე იმედი და უკან დაბრუნდა, რომ იმერეთს წასულიყო. ლიპარიტმა ვერ გაბედა ქართლს შესვლა და სამცხეში დარჩა, — ალბათ ეშინოდა, რომ არ გადაეჭრათ მისთვის ამ მაზრაში მისასვლელი გზა და ბერძნებთან მიმოსვლა არ მოესპოთ.

ამას შემდეგ ლიპარიტის მხრით სრულიად აღარაფერი მოქმედება ისმოდა — და ამან მისცა შემთხვევა ერისთავებს, ძალმახელს სულას და არტანუჯელს ბრიგოლს, აბუსერის შვილს, და მესხეთის რამდენსამე სხვა თავად-აზნაურობას — შეეერთებიათ თავისი ძალები ბიგრატის სასარგებლოთ და საიდუმლოთ მოეწვიათ ის იმერეთიდან. ბაგრატიმა სიხარულით მიიღო მათ მიერ მიწოდებული სამსახური და დაუყოვნებლათ გაემართა რკინის-ჯვარის მხარეთი და არყის-ციხესთან შეეერთდა მათ. ლი.

პარიტმა დროზე შეიტყო ეს მოძრაობა და შეკრიბა კახელები, სომხები და ბერძნები და თავს დაესხა არყის-ციხეს. მს ომიც იმით გათავდა, რომ ბაგრატი სრულიად დამარცხდა და ჭეთაისს გაიქცა. სულა და ზრიგოლი ტყვეთ ჩავარდენ და საშინლათ სტანჯეს ისინი და ბოლოს ღაპატიმრეს.

ამას შემდეგ ლიპარიტი თამამათ შევიდა ქართლს და თავის ნებაზე იწყო მისი მართვა.

1046 წელს, ბერძნების ინტერესების გამო, ლიპარიტი ღვინის ამირს ეომებოდა, და ერთ წელს შემდეგ კი იგი მიიწვია იმპერატორმა თათრების ბრბოთა წინააღმდეგ, რომელნიც იბრაიმ-ინალის წინამძღოლობით მცირე აზიაზე გასალაშქრებლათ მიდიოდენ. უკანასანელი ომი მისთვის უბედური შეიქნა: თურქებმა დაამარცხეს იგი და ბერძნები, დაატყვევეს ის და ხორასანს სულთან თოღრულბეგთან გაგზავნეს.

ამ გარემოებამ ცოტა ხნით გამოაბრუნა ბაგრატის ბედიღბალი. ქართლის თავად-აზნაურობამ და მათ რიცხვში ლიპარიტის შვილებმა, იოანემ და ნიანიამ, მოიწვიეს იგი იმერეთიდან და ჩააბარეს მას ყველა ქალაქი და ციხეები. ამგვართვე მოიქცენ თფილისის მცხოვრებლებიც.

მაგრამ იმ მოქმედების გამო, რომელიც ბაგრატი ბერძნებს მიაყენა მათ მიერ თურქების წინააღმდეგ ზანჯის დაცვის დროს, თოღრულბეგი იძუ-

ლებული შეიქნა — გაეშვა **ლიპარიტი**, რომელსაც შეეძლო მასთან გამკლავება.

**ლიპარიტი** თავდაპირველათ **ანისს** მივიდა, რომელიც ბერძნებს ეჭირათ; მაგრამ მალე ამ ქალაქს თავი დაანება და **ქოსტანტინეპოლს** წავიდა; იქ მან მოაგონა იმპერატორს თავისი სამსახური და თავისი ტყვეობა ბერძნების გულისათვის, ამით მიიღო მისგან ჯარები და უკანვე დაბრუნდა **ბაგრატის** წინააღმდეგ სამოქმედოთ. მეფე ხელახლა ძუთაისს უკუდგა, და **ლიპარიტმა** კი დაიფლო **ქართლი**. მაგრამ, რაკი შენიშნა, რომ მის მიერ ამ მხრის უკანონო დაფლობას მტკიცე საფუძველი არ ქონდა, გამოაცხადა სურვილი — ყოფილიყო **ბაგრატის** მცირეწლოვანი შვილის **ზიორგის** აღმზღველათ და საქართველოს მართველათ ამ ბატონიშვილის სახელით, რომელიც მან მეფეთ აღიარა.

ამ ცდვიერმა ხერხმა და **ბაგრატის** სავნებლათ ბერძნების მუღმივმა ჩამორევამ აიძულეს მეფე და მისი ასული **მარიამი** — 1050 წელს წასულიყვენ აგრეთვე **ქოსტანტინეპოლს** და ეთხოვათ იმპერატორისათვის, რომ მთელი საქართველოს საუბედუროთ არ გამოსარჩლებოდა **ლიპარიტს**. **ქოსტანტინე მონომახმა** პატივით მიიღო ისინი, მაგრამ სამ წელს აცთევინა მათ თავის სატახტო ქალაქში და არაფერ ზომას ლებულობდა. ამასობაში, დიდი ხნის რყევას შემდეგ, **ბაგრატის** ცოლი და იმერეთის უმაღლესი თავად-აზნაურობა დათანხმდნენ **ლიპარიტის** წინადა-



დებაზე, რომ ჩაებარებიათ ზიორგი მისთვის და ბაგრატის დის ზურანდუხტისათვის. ბატონიშვილი მიიყვანეს რუისის საკრებულო ტაძარში და დიდი ამბით აკურთხეს მეფეთ.

როცა ამგვარათ ლიპარიტი დაამშვიდა მეფის ასულმა ზურანდუხტმა, იმავე დროს ფარულათ გაგზავნა იმპერატორთან დეპუტაცია, შეატყობია მას სამეფოს სამწუხარო მდგომარეობა და მიართვა ხალხის თხოვნა, რომელიც მის მფარველობას ეძიებდა; ამასთანავე ზურანდუხტი იმპერატორს ბაგრატის დაბრუნებას სთხოვდა. ქოსტანტინე მონომახმა გამოუშვა ის და თან გამოატანა აუარებელი სიმდიდრე სასახლის გასამშვენებლათ და ეკლესიების შესამკობათ. იმერლები შეხვდნენ მას ნაპირზე გამოსვლის დროს და სიხარულით მიიღეს. მს სიხარული მალე მოეფინა მთელ ქართლს და სამეფოს სხვა მაზრებსაც. ლიპარიტის მძიმე ხასიათმა და სასტიკმა მართველობამ ყველანი გაუორგულა მას. ამით ისარგებლეს სულა ძალმახელმა და მესხეთის სხვა უწარჩინებულესმა პირებმა, შეიპყრეს ლიპარიტი და მისი შვილი იოანე და ბაგრატს წარუდგინეს. მისმა მეორე შვილმა გაქცევით უშველა თავს: ჯერ ის ფიქრობდა ქლდეკარში თავის შეფარებას, მაგრამ დაინახა, რომ მისი საგვარეულო ციხის გარნიზონს არ უნდოდა მისი მიღება, — წავიდა ანის და ბერძნების ჯარის მფარველობას მიმართა.

როცა ლიპარიტი და იოანე ბაგრატის მართლ-



საჯულებას წარუდგინეს, ხალხი ისე განძვინვებულ-  
მლი იყო ურთერთშორისი ომების მეოხებით, რომ  
მათს ჯვარზე ცმას თხოულობდა; მაგრამ მეფემ აპა-  
ტია მათ და დაუმტკიცა ლიპარიტს მისი საგვარეუ-  
ლო მამულები და პრგვეთი. ხოლო ლიპარიტის  
სევბედი ამით არ შემსუბუქებულა. ამაცმა და მო-  
უდრეკელმა მისმა სულმა, რაკი ხალხის საერთო  
უკმაყოფილებას გრძნობდა, აიძულა ის — დაეტოვე-  
ბია სამშობლო მხარე, და მოკვდა ქოსტანტინე-  
პოლში.

საქართველოს ისტორიის გასაგრძობათ საჭი-  
როა რამდენათმე იმის ცოდნა, თუ ამ დროს და  
ამის უმახლობელეს დროებში რა მოხთა აღმოსავ-  
ლეთში, და ამიტომაც ჩვენს წერილებში ერთს პა-  
ტარა თავს ამ გარემოებათა მოკლე აღწერილობას  
ვუნაწილებთ.

V.

ამ განკმევბათ აწენა, რამქელთაც ანახთა ბატო-  
სობა იურქების მფლავბელობათ შესცვალეს.

მართველობის სახის მდგომარეობა არაბების სახელ-  
მწიფოში მე-X და XI საუკუნეებში.—სხვადასხვა დი-  
ნასტია, რომელნიც ამ სახელმწიფოს ნაწილებს მარ-  
თაედენ.—ხელჯუკები.—თიღრულბეგი.

აღმოსავლეთში სამამადიანო ქვეყანას, რომე-  
ლიც გავრცელებული იყო სუეცის ხმელთაყელიდან



და ბოსფორიდან ინდოეთსა და სათათრემდი, დილი ხნიდან მართავდა მრავალი ამირი ბაღდადის ხალიფების სახელით. შემდეგში ხალიფები ამ ვრცელ ქვეყანაში მხოლოდ სასულიერო მთავრათ ითვლებოდნენ და თვითონ იმყოფებოდნენ უახლოეს უფროს წარჩინებულთა ხელქვეით, რომელთაც „ამირ-ალ-ომრა“-ს უწოდებდნენ. მთელ სახალიფოში ყოველთვის ერთი ამირ-ალ-ომრა იყო. ჩვეულებრივი ამირები კი, როცა მათდამი რწმუნებულ მხარეებში თავისი, ხელმწიფება განამტკიცეს, ჯერ ამ ქვეყნების ფეოდალურ მართველობათ შეიქნენ, და შემდეგ კი დამოუკიდებელ მებატონეებათ, ასე რომ თავის მამულებს შემკვიდრეობით აძლევდნენ თავის შთამომავლობას და ამგვარათ მრავალი მფლობელობითი დინასტია დააფუძნეს.

მე-X საუკუნის ნახევრიდან ამირ-ალ-ომრას თანამდებობაც აგრეთვე შემკვიდრეობითად გადაიქცა ბუიდების გვარეულობაში, რომელიც სპარსეთს ფლობდა, და არაბების სახელმწიფოს ავტონომიის ძლიერება თუ დაცემა იმათ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

სპარსეთიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ხვარასანსა და თურქისტანში, ჯერ კიდევ მე-X საუკუნის დასაწყისს თავი იჩინა სამანიანების ძლიერმა საამირომ. ამ დინასტიის რამდენიმე ამირმა თავისი ქვეყნები აზიის უმაღლესათ აყვავებული სახელმწიფოების ხარისხამდი აიყვანეს. მუდმივმა ომებმა,

რომელიც მათ ბუიდებთან ქონდათ გამართული, მალე უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მათი მონაცვალებები. მათ სატახტო ქალაქში უმთავრესი მნიშვნელობა სახელმწიფო საქმეებში და ახალი ამირების არჩევის დროს მათგან დაქირავებული ჯარების უფროსებს ქონდათ. ამ მოჯამაგირებათ— როგორც ზალდადის კარზე, ისე სამანიანების სამფლობელოებშიც— თურქები იყვნენ. ნასირ სამადინის სიკვდილს შემდეგ მისი ქვეშევრდომები პარტიებათ გაიყვნენ: ზოგნი მის მცირეწლოვან შვილს მანსურს ირჩევდნენ მეფეთ, სხვებს არ უნდოდათ იგი. უკანასკნელი პარტიის მოთავე იყო თურქი ალბ-თექინი; როცა მისმა ოპოზიციამ ვერ გაიმარჯვა, ამის უკმაყოფილო— გაიქცა იგი სამანიანთა სამიროდან, შემოიკრიბა ავაზაკების დიდძალი რიცხვი და შაბულს გადავიდა. მან დაიპყრო ქალაქი შაზნი და ინდოეთის საზღვარზე დააფუძნა მამადიანთა განსაკუთრებული სახელმწიფო და დინასტია, რომელიც შაზნიანთა დინასტიათ არის ცნობილი.

ალბ-თექინის შვილიშვილმა, მამუდ I-მა, რომელიც 997 წელს გამეფდა, დაიპყრო სამანიანების ყველა მიწა და ქალაქი და 1004 წელს ხალიფის გან სამანიანთა სამეფოს მფლობელობის ინვესტიტურა მიიღო. მს კაცი დიდი ჭკუის პატრონი იყო და სვებდნიერი, მან ფრიად დიდი სახელმწიფო დააფუძნა, რომელიც გავრცელებული იყო ინდისა და ბანგიდან ქასპიის ზღვასა და ჯიგუნამდი, სპარსე-

თის აღმოსავლეთი ნაწილის შემოერთებით. რადგან თავის ყველა სამხედრო საქმეში თურქების ტომებს ხმარობდა და ამიტომ უნდოდა-მათი მბორგავი ურდოები ახლოს ყოლოდა, — მამუდმა მიუჩინა მათ ზვარასანი და დააბინავა იქ, როგორც თავისი ვასალი, იზმაილ-არსლანი, რომელიც შთამომავლობით სელჯუკი იყო.

სელჯუკების გვარი წარმოსდგა ღოკაკის შვილის სელჯუკისაგან. მისი ურდოები ახლანდელი შირგინის მიდვრებშიდ აბორგავდენ და ღიდი სათათრეთის ყეინების მებარკეები იყვენ. მაგრამ სელჯუკი 970 წელში გათავისუფლდა ყეინებისაგან, ბუხარას საზღვრებზე მივიდა თავის ურდოებიანათ და მამადიანთა სარწმუნოება მიიღო. უმახლობლესმა მისმა შთამომავალმა, იზმაილ არსლანმა, როცა მამუდ ჰაზნიანისაგან ზვარასანი მიიღო, პირველმა დაუწყო თურქებს ბინადრული ცხოვრების სწავლება. მან მიიზიდა მიდვრების მცხოვრები აუარებელი ხალხი და მალე ისე გაძლიერდა, რომ ბოლოს ჰაზნიანებისათვისაც საშიშარი შეიქნა. ამიტომაც იგი საპყრობილეში ჩასვეს. მაგრამ მამუდმა ხელი არ ახლო მის გვარეულობას და ახალ მოულოდნელ საშიშროებათა ბუდეთ დასტოვა იგი. სელჯუკის თურქებმა იზმაილ-არსლანთან მამუდის მოპყრობა თავის შევიწროებათ ჩასთვალეს, აჯანყდენ და სხვადასხვა მხარეს გაეშართენ: ზოგიერთები, იზმაილ-არსლანის ძმისწულის, თოდრულბეგის, წინამძღო-



ლობით მდინარე ჯიგუნს გაღმა გავიდენ და მდინარის  
ანების მეორე სავასალოში, ხვარამზს, შევიდენ;  
სხვები დასავლეთისკენ წავიდენ, ქასპიის ზღვის სა-  
მხრეთის ნაპირ-ნაპირ, და აღარბადაგანი დაიჭირეს.

ეს იყო სელჯუკების პირველი შემოსევა ზემო  
ან წინა აზიაში.

მამულის სიკვდილს შემდეგ ცოტა ხანი გავი-  
და - და მის შვილებს შორის ამტყდარმა ომმა ოლო-  
რულბეგს შემლება მისცა - ჯიგუნის გაღმა მხარი-  
რედან დაბრუნებულყო და ჰაზნიანების სამეფო  
დაეპყრო. 1039 წელს მან სულტნის ხარისხი მიიღო  
და სპარსეთის აღმოსავლეთ ნაწილში თავის-მიერ და  
პყრობილი ქვეყნები სამართავათ თავის ძმას რაუდ ბაგ-  
რუბეგს გადასცა, თვითონ კი დასავლეთისკენ გაე-  
მართა და 1045 წელს ჰამადანი დაიჭირა. აქიდან  
იგი თვალყურს ადევნებდა ბუიდების ურთერთშო-  
რის ცილობას და იმ არეულობას, რომელიც იმ  
დროს ბაღდადში ხთებოდა. ბოლოს მან გამონახა  
მარჯვე გარემოება და მიიქცია ხალიფის შაიმ-ბეამ-  
რილახის ყურადღება მით, რომ დაამშვიდა მის სა-  
ტახტო ქალაქში ამბოხება და არეულობა. 1058  
წელს ოლორულბეგმა, ბაღდადი რომ აიღო, ხა-  
ლიფას სრული პატივისცემით მოეპყრო, როგორც  
მამადიანების სასულიერო მთავარს, და მიიღო მის-  
გან ამირ-ალ-ომრას წოდება. ბუიდები, რომელნიც  
ამ ხარისხს ერთ საუკუნეზე მეტს ატარებდენ, დაე-  
ცენ და ოლორულბეგის მფლობელობა დაემკვიდ-



რა მთელი სპარსეთისა და ირანის სივრცეზე. დროიდან მოკიდებული თუმცა აზიაში ხალიფის წოდება კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ პოლიტიკურათ იმას აღარაფერი მნიშვნელობა ქონია, — ყველაფერი სულტნების სახელით კეთდებოდა. მდესდაც არაბების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში დაყენებული ამირების დინასტიებმა თავი სი ადგილები თურქების ამირებს დაუთმეს და აზიაში მებატონე ხალხთ არაბების მაგიერ თურქები გადაიქცნ.

## VI.

### აღმ-ანსლანის შემოსევა.

აღმ-ანსლანის შემოსევა. — ბანჯის ამირის შემოსევა და მისი განდევნა. — მისი გაქცევა ქახეთით; კახელების მიერ მისი გაცემა ბაგრატიანდში. — მისი გათავისუფლება სულტნის შემდგომლობით. — ამირისაგან საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მეორეთ დარღვევა. — ბაგრატის კავშირი ოსებთან და ბანჯის აოხრება. — სულტნის მეცადინობა, რომ ბაგრატი თავის მოხარკეთ გაეხადა. — ზიორგი მთაწმინდელი.

როცა ლიპარიტის თავგადასავალის მოთხრობას ათავენს, „ქართლის ცხოვრება“ ანბობს, რომ ბაგრატი ამას შემდეგ მალე დაიპყრო ჰერეთისა და ქახეთის თითქმის ყველა ციხეო და ისე გაძლიერდა, რომ საქართველოს მეფეთა შორის არავინ ყოფილა შეძლებით იმის თანასწორიო. რაც უნდა



გადამეტებული იყოს მატიანის ამგვარი  
ლობა, თუმცა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის  
დიდხანს გაგძელდა ურთერთშორისი ომები, მაინც  
ეჭვი არ არის, რომ ბაგრატის მეფობის ხანებში სა-  
ქართველო აყვავებული ყოფილა და ძლიერი. ამ  
ურთერთშორის ომებს თან არ მოყოლია უცხო ტომ-  
თა ბატონობა, თუმცა ხანდახან კი შემოდოდნ  
საქართველოს საზღვრებში უცხო ტომთა დამხმარე  
ჯარები, რომელთაც ხან ლიპარიტი იწვევდა და ხან  
ბაგრატი. როგორც იმას, ისე ამასაც უყვარდა თა-  
ვისი სამშობლო: ერთს — როგორც საგულისხმო პატ-  
რიოტს, მეორეს — როგორც მეფეს, და იმათ მედ-  
ვარ ბრძოლაში მხოლოდ პირადი სიძულვილი მო-  
ჩანდა. მატიანეები და ხუროთმოძღვრების სახსო-  
ვარნი გვიმტკიცებენ, რომ ამ ხანებში, ერთსა და  
იმავე დროს, აუცილებელი უბედურებანიც ხთებო-  
დნ და თანაც ყველაფერს აშენებდნ და ამშვენე-  
რებდნ საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავ-  
ლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში, პატრიო-  
ტების მეოხებით, რომელთა შორისაც იყვენ: მელ-  
ქისედეკ კათალიკოზი და დიდი მოძღვარი და ზნე-  
ობის მასწავლებელი წმ. ბიორგი მთაწმინდელი.  
მაგრამ შემდეგ მომხთარმა გარემოებებმა საქართვე-  
ლოს ძლიერება ძალიან შეარყია.

1063 წელს მოკვდა თოღრულბეგი და მის მე-  
მკვიდრეთ შეიქნა მისი ძმისწული, ბაგრუბეგის შვი-  
ლი, ალპ-არსლანი. ახალმა სულტანმა განაგრძო



თავისი ბიძის დაპყრობანი და იმავე წელს დასა-  
ლა თურქესტანისა და ხვარაზმის დაფლობა, და  
1064 წელს კი საქართველოსა და სომხეთზე გაი-  
ლაშქრა ძველი ფანატიკოსების მზგავსათ. საქართვე-  
ლოზე აღბ-პრსლანის გალაშქრების შესახებ „ქართ-  
ლის-ცხოვრებას“ გარდა მოგვითხრობენ: სომეხი  
მატეოს-ედესელი, არაბი იბნ-ალატორი, ბიზანტი-  
ელებს შორის — ქედრენი, და სხვა მრავალი მემა-  
ტიანე.

სულთანმა შეაიარაღა სპარსელები და თურქე-  
ბის ყველა ტომი და ფრიად დიდი ლაშქრით ჯერ  
ძველ აღბანიას დაასხა თავს და ყოველივე საქრის-  
ტიანო ცეცხლისა და მახვილის სხვერპლათ გახადა.  
იქიდან მან გაუგზავნა ელჩები ქვირიკეს, რომელიც  
სომხეთის აღბანიის მეფეთ იწოდებოდა, და სთხო-  
ვა ასული ცოლათ. ღვით შმიწაწყლოს შვილმა  
ქვირიკემ ვერ გაბედა-უარი ეთქვა ამ დამპყრობე-  
ლისათვის, — წარუდგინა მას თავისი ასული ქალაქ  
ლორს — და თავისი პატარა სამფლობელო აოხ-  
რებას ამით გადაარჩინა. ლორიდან აღბ-პრსლანი  
ანაზღათ ორიალეთში გაჩნდა. ამ დროს ბაგრატი  
თავის ოჯახობიანათ ტაოს მაზრაში იყო, დაბა ხე-  
კრებულში, და არაფერი იცოდა მოახლოებული სა-  
შიშროების შესახებ, სანამ არ დაინახა თურქების  
წინარაზმი იმ დროს, როცა ამ დაბიდან გამოდიო-  
და. ორიალეთიდან თურქებმა ძალიან მოკლე დრო-  
ში გაავრცელეს თავისი აოხრებანი შავშეთსა, ქლორ-

ჯეთსა და ტაოში ზანასკერტსა, თორასა და ლეკ-  
ვამდი, და ისევ თრიალეთს დაბრუნდენ. იქ სამ  
დღეს დარჩენ და შემდეგ ჯავახეთს გაემართენ და  
ახალქალაქის ციხეს გარშემოერტყენ. ამ ციხეში  
მოთავსებული იყო მდიდარი და ერმრავალი ქალა-  
ქი, რომლის კედლებიც განახლებული იყო ბაგრატ  
IV-საგან ურთერთშორისი ომების დროს. ამ გარ-  
შემორტყმის დროს უბედური დამცველნი უკიდუ-  
რეს მდგომარეობამდი იყვენ გამაგრებულნი; მაგ-  
რამ, როცა მათმა სიამამაცემ ბარბაროსების მრავალ-  
რიცხოვანობასთან ვერაფერი გააწყო და როცა ცი-  
ხის კედლებიც დაინგრა, ისინი ყველანი დაიხოცენ  
საშინელსა და თავმოძულებულ ბრძოლაში. ძალაქი  
აიღეს; მოხუცნი და ქალაქის დამცველთა ცოლ-  
შვილნი ტყვეთ წაიყვანეს, ქალაქი კი გაცარცვეს  
და თითქმის ნაცარტუტათ აქციეს. საშინელი სანა-  
ხავი იყო ის ადგილები, რომელსაც თურქების შემ-  
მუსრავი ხელი მისწვდა: ქალაქები და დაბები და-  
ცარიელებული და დამწვარი იყო, მიღვრები კი--  
დახოცილებით დაფარული და სისხლით მორწყუ-  
ლი. ახალქალაქიდან აღპ-არსლანმა მდინარე ხრამს  
შეყვა ზევით; სამშვილდებზე გაიარა, გზავზა ყველა-  
ფერი ააოხრა და ლალის-ციხეს ალყა შემოარტყა.  
მს ციხე გადმომდგარი იყო მიუვალ ადგილას, ორს  
მაღალ მთაზე, და ორი სწრაფი მდინარე გარს უვ-  
ლიდა მას ჩრდილოეთითა და სამხრეთით. მაგრამ,  
ამ გარემოებისა და ქართველთა სიამამაცის მიუხედა-

ვით, ალბ-პრსლანმა აიღო ის და დაანგრიცხა მისთვის შემდეგ შეუთვალა ზაგრატს-მიეცა მისთვის თვისი დისწული. და გაემართა ქალაქ ანისის წინააღმდეგ, რომელიც ბერძნების ჯარებს ექირათ.

ზაგრატის დისწული იყო ჭვირიკეს ძმისწული, რადგან ის იყო შობილი პირველის დისა და მეორის კვიდრი ძმისაგან. თუ კი მართალია მატეოს-ედესელის ცნობა, რომ ჭვირიკეს ასული უკვე ყავდა ალბ-პრსლანს შერთულიო <sup>1)</sup>, მაშინ ჭვირიკე სარწმუნოებრივი გრძნობის მიხედვით მართალი ყოფილა, რომ არ ეთანხმებოდა ზაგრატს თავისი ძმისწულის ალბ-პრსლანთან დაქორწინებაზე. მაგრამ, რადგან საქართველოს ძალღონე თურქების აუარებელი ურდოების ძალღონეს ვერ უთანასწორდებოდა და ის ადგილები, სადაც სულტნის ჯარებმა გაიარეს, საშინელ სანახაობას წარმოადგენდა, ამიტომ ზაგრატი იძულებული შეიქნა — აუცილებლათ გამოეთხოვა ჭვირიკესგან თანხმობა, რადგან ფიქრობდა, რომ ამით დაამშვიდებდა საზარელ დამპყრობელს. სანამ ალბ-პრსლანი ანისის ქალაქს ეომებოდა, ზაგრატსა და ჭვირიკეს შუა ომი მოხდა, რომელიც მით გათავდა, რომ პირველმა წაართვა მეორეს საქართველოს ძველი ციხე სამშვილდე და სრულიად დაითანხმია — მიეთხოვებია სულტნისთვის მისი ძმისწული.

<sup>1)</sup> St. Martin: Mèm. sur l'Arm., tom II, p. 225.



როცა ალბ-პრსლანის სურვილი შეასრულდა, ზაგრატი იმაზე ზრუნავდა, რომ დაემშვიდებია საქართველოს სასტიკათ დაზიანებული ნაწილები. როცა შეიტყო, რომ ანისისა და შარსის აღებას შემდეგ თურქები სპარსეთს დაბრუნებულიყვენ, ზაგრატი იწყობდა მათგან აოხრებული ადგილების დასახლება და მოწინებდა, — და 1048 წელს გაილაშქრა ქახეთზე იქაური მეფის აგსარტანის წინააღმდეგ, რომელიც თურქების შენოსების დროს მისი მორჩილებიდან გამოვიდა. მას მიემხრო ჰერეთის ყველა უწარჩინებულესი გვარი — და ამ სახით მიდიოდა ისე, რომ სრულიად არავინ ეწინააღმდეგებოდა და ყველაფერი ემორჩილებოდა მას, აგსარტანს გარდა; ამ დროს უცებ გაიგეს თავზარდამცემი ამბავი, რომ ალბ-პრსლანმა ზუმათ გამოიყვანა თავისი ჯარები სპარსეთის ჩრდილოეთის მხარეებით და ქახეთზე მოდისო. ამ ქვეყნის მთელმა ხალხმა, საშიშროებით მოცულმა, მიატოვა თავისი სახლ-კარები და ციხეები და თავშესაფარათ მთებში გაიქცა, ზაგრატი კი საჩქაროთ ქართლსვე შემობრუნდა.

როცა ალბ-პრსლანი შევიდა ამ დაცარიელებულ მაზრაში, მას მხოლოდ აგსარტანი შეხვდა თავისი მცირე მომხრეებით. აგსარტანმა სულტანს ფეშქაშები მიართვა და თავისი მორჩილების ნიშნათ, ქართველების სამწუხაროთ, მამადიანთა რჯული მიიღო. ძრისტიანთა ქვეყნების ერთის მფლობელთაგანის ამგვარი სულდაბალი საქციელი დიდათ აიმე-

დებდა ალბ პრსლანს მის ფანატიკურ მისწრაფებაში. იგი აღერსით მოეპყრო აგსარტანს და თან წაიყვანა. ქახეთზე რო მიდიოდა, გზაგზა მტკვრამდი ყველაფერი დასწვა, რაც კი მის მცხოვრებლებს დაეტოვებიათ. ამ მდინარის ნაპირზე მას წინ მიეგებენ თფილისის მუსულმანები, გაიყვანეს მდინარეში და თან გაყვენ ქართლს სალაშქროთ. ალბ-პრსლანი შევიდა ამ მაზრაში 1069 წლის 10 ქრისტეშობისთვის და იწყო მისი აოხრება. თავისი აუარებელი ურდო გაყო ცალკე რაზმებათ და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა, რომ ყოველივე ერთიანათ მოესრა. მცხოვრებლები გაიქცნ და ტყეებსა და მთების ხევებში იმალებოდნ <sup>1)</sup>. მეფე სულ უკან იწეოდა, რადგან ბევრჯერ გამოეცადა <sup>2)</sup>, რომ არ შეიძლებოდა არც ძალით მტრის შეჩერება და არც მისი მხეცური სულის დამშვიდება, რომელიც აგსარტანის მიერ რჯულის უარყოფას შემდეგ დაიმედებული იყო, რომ ყველას გაამამადიანებდა. ალბ-პრსლანმა თავისი მოქმედებით მოაგონა ყველას ფანატიკოსების დროები: იეზდიგერდის, მურვანისა და ბუღასი. ქართლიდან ის იძვრეთს გადავიდა და სვერის ციხემდი მივიდა. ზამთრის სიცივეებმა აიძულა ის —

1) Gibbon, ch. LYII: «საქართველოს მცხოვრებნი შეუპოვრათ გამაგრდნ ტყეებსა და ქვეკასიის მთების ხევებში».

2) Мисснеръ; томъ VI, стр, 376: «საქართველოს მცხოვრებლებთან ბრძოლის დროს, როცა ისინი შეუპოვრათ იცავდნ თავის გამაგრებულ მონასტრებს» და სხ.

იქიდან ხელახლა ჭართლს დაბრუნებულო, სადაც პურ-ღვინის სიმრავლე აძლევდა საშვალებას-რამდენმე ხანს კიდევ გამაგრებულო. დასასრულ, როცა ყველაფერი სისხლით შეღება და აუარებელი კაცი ტყვეთ წაიყვანა, მან დაუწყო ბაგრატს ხარკის თხოვა და ამისთვის ზავს პირდებოდა. მაგრამ პანუხისთვის აღარ მოუცთია, რადგან ძლიერმა ყინვებმა აიძულა ის - საჩქაროთ წასულიყო სპარსეთს: მას თან მიყვებოდა დატყვევებულთა მწარე გოდება და დარჩენილთა წყევლა-კრულვა. როცა თფილისს გაიარა, ეს ქალაქი ზანჯის ამირს გადასცა და თან დაავალა - საქართველო მუდამ შეწუხებული ყოლოდა. ასე გათავდა ალპ-პრსლანის მეორე შემოსევა. ხალხი თავზარდასხმული იყო და, როგორც „ჭართლის-ცხოვრება“ მოწმობს, მთელს თავის უბედურებას ღვთის წყრომას მიაწერდა თავისი ცოდვების გამო და დაუძღურებული წარმოდგენის გავლენით ხედავდა ციოთ მოწვენილს სხვადასხვა საოცარ მოვლენას: კოკისპირულს სისხლის წვიმას, საქართველოს ცაზე მოარულის წითელი ღრუბლებიდან მოდენილს <sup>1)</sup>, და ღამეების განათებას რაღაც გასაოცებელი საშიშარი სინათლით. როგორც ჩანს, ამ სამწუწარო გარემოებათა მემატთანე იმ ცთომილზე ლაპარაკობს, რომელიც ალპ-პრსლანის ორი შე-

<sup>1)</sup> ბუდენის მიერ (Boudin) სისხლის წვიმების ახსნა; *медич. геогр. и статист. изд. военно-медицинского департ., томъ 1, стр. 204.*

მოსევის შუა ხან ბში გამოჩენილა <sup>1)</sup>. საქართველოს უბედურებას კიდევ ის მიემატა, რომ შემდეგი წლის გაზაფხულზე ის ძლიერ დაზიანდა არაჩვეულებრივი წყალდიდობის გამო.

ამასობაში ალბ-პრსლანმა, ჯერ კიდევ 1068 წელს, ბერძნებს გაუმართა ომი. რომანოზ იმპერატორმა თვითონ იკისრა ჯარების წინამძღოლობა და რამდენიმე მარჯვე შეტაკებით შეაჩერა თურქების წარმატებანი; მაგრამ 1071 წელს რომანოზი შეცთობაში შეიჭვანეს—და ალბ-პრსლანმა დაამარცხა ის და ტყვეთ წაიყვანა. სულტანმა ამით ისარგებლა და თავისთვის სასურველი ზავი შეკრა ბერძნებთან; იმპერატორი მის სამშობლოში გაუშვა, და თვითონ კი სირიას გაემართა, შატიმიდის ხალიფის წინააღმდეგ; განდევნა იგი სირიიდან და შაბაში უწინდლურათ ბაღდადის ხალიფის პირველობა აღადგინა.

ამ დროს ბანჯის ამირი, სულტნის მიბაძვით და მისი ბძანების ასასრულებლათ, შართლს შეესია და იწყო მისი ახლათ აოხრება. ბაგრატმა, რომელიც ჯერ ისე სუსტი არ ყოფილა, რომ ამირს ვერ გამკლავებოდა, დიდგორი დაიჭირა, და საუკეთესო თავისი ჯარები კი, ლიპარიტ მრბელიანის შვილის მოანეს, ნიანია შობულიძისა და მურვან ჯაყელის წინამძღოლობით, მუხრანსა და წილკანს

<sup>1)</sup>Lebeau, tom XIV, p. 452. ეს ცთომილი გამოჩნდა 1066 წლის მაისში.

ზემოთ მდებარე მთაგორებზე გაგზავნა. აქ ისინი შეხედენ ამირს 35 ათასი ჯარით; მაგრამ, როგორც კი იშიშვლეს ქართველებმა ხმლები, ამირი მყისვე ლართის-კარს გაიქცა. იმ ალაგას, სადაც ნარეკვავს ხშირი ბუჩქნარებით მოსილი ღრმა დედეები ახლავს, ქართველები დაეწიენ მას და ნახევარზე მეტი ჯარი გაუწყვიტეს. ამირს ეშინოდა, ვაითუ ბაგრატიმ დიდგორთან მისავალი გზა მომიქრასო, და დანარჩენი 15,000 ჯარით არაგვის ზევით გაყოლებით გაქუსლა. მრწოში ის გავიდა ამ მდინარეში, მოთინა ცრუ ხმები, თითქო მას დემარცხებიოს ბაგრატი, და ძახვითო თფილისს გადასვლას ფიქრობდა. მაგრამ ბაგრატი მიუხვდა მას განზრახვებს და სთხოვა კახელებს—დაეჭირათ იგი და მისთვის წარედგინათ, და ამ სამსახურისათვის აღუთქვა მათ ბოქორმისა შჯარმის ციხეების დაბრუნება. ძახვლებმა გაფანტეს ამირის დაღალული და შემდრკალი ჯარები, თვითონ ის დაიჭირეს და ბაგრატთან გაგზავნეს. ამას შემდეგ ბაგრატი დაუყოვნებლათ აიღო თფილისი, მაგრამ თავის მფლობელობაში არ დაუტოვებია იგი, გადასცა სატლაბარს, რომელიც თურქებისაგან ღმანისში იყო დატოვებული; თვითონ კი დაიპყრო შემდეგი ციხეები: რუსთავი, შარცხისი, აგარანი, ზრიგოლ-წმინდა და ძავახნი; ამას გარდა აიღო კონტრიბუციათ 41,000 დრაკანი და ამანათად აიყვანა რამდენიმე პირი ზანჯის საუკეთესო გვარეულობათაგან.



ალბ-არსლანს შეებრაღა ამირი და გაუგზავნა ბაგრატს ვიღაც სარანგი ალხაზი და იმის პირით სთხოვა ამირის გათავისუფლება; ალბ-არსლანმა ამისათვის მიაწოდა ბაგრატს ქალაქი ზაგი, რომელიც ამ ამირს ეკუთნოდა, და პირობასაც სდებდა, რომ საქართველოსთან მშვიდობიანათ ვიქნებო. ბაგრატმა მიიღო სულტნის პირობანი და მისი შვამდგომლობა—და გაათავისუფლა ამირი. მაგრამ ამ უკანასკნელმა მალე გასტეხა ფიცი, შვამდგომლობის პატივისცემაც დაივიწყა და ბაგრატი აიძულა—აღეჭურვა მის წინააღმდეგ თავისი შვილი ბიორგი და მის შემწეთ ოსეთის მთავარი ღურღულელი მოეწვია<sup>1)</sup>. ისინი დაეცენ ზანჯას, აიღეს იგი, მრავალი მცხოვრები ტყვეთ წაიყვანეს, აუარებელი სიმდიდრე ალაფათ იგდეს ხელში—და უკანვე დაბრუნდენ.

იმ სახელმწიფოთა მეფეები, სადაც ნათესაობა პატივისცემაშია, თითქმის ყოველთვის პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით იროვენ ცოლს, და არა სიყვარულით. ასე იყო ბაგრატის დაქორწინებაც იმპერატორის რომანოზ აგრირის ძმისწულს მლენეზე;

1) „ქართლის—ცხოვრება“-ში ზოგან ღურღულელი ღურღულელათ იწოდება. მგონებ ოსეთის ამ მთავარს არც ერთი ეს სახელი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ ღურღურელი. ღურღური ოსეთში მდინარეა, რომელიც მდინარე ტეთრს შერთვის იმ ადგილის მახლობლათ, სადაც ეს უკანასკნელი ტერგს ერთვის. ღურღური ოსურათ პირდაპირ ნიშნავს: „ქვა-ქვაზე“, რასაც ეს აზრი აქვს: „ძლიერი ძლიერზე“-ო.



მაშინ ბაგრატის დედას, რომელიც ქოსტატინე-პოლს წავიდა, ის ანგარიში ქონდა, რომ საქართველოსა და ბიზანტიის სამეფო კარები შეეერთებია, და იმპერატორთან ნათესაობრივი კავშირით შეერთება ხომ უეჭველათ საუკეთესო საბუთი იყო ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანობის არსებობისათვის. მაგრამ როდესაც დედოფალი მლენე მოკვდა და ლიპარიტ ორბელიანისა და ქოსტანტინე მონომახის სატრფოს ინტრიგების წყალობით ეს ურთიერთობა დაიშალა, — მაშინ ბაგრატს შერთეს ჩრდილოეთ ქავკასიის ერთი მთავართაგანის ასული, ბორენა. ამ ახალი ნათესაობრივი კავშირით ქართველთ მეფემ ახალი გულითადი მოკავშირე შეიძინა და განაახლა დიდი ხნით დარღვეული ურთიერთობა მთიელ ხალხებთან, რომელნიც საქართველოსათვის ძლიერი მფარველნი იყვნენ სამხრეთის მის მტრების წინააღმდეგ. ეს დაამტკიცა ღურღულელმა უკანასკნელ ლაშქრობაში თავისი ენერგიული დახმარებითა და თავაზიანობით, რომელიც მან სამეფო ოჯახს გაუწია: ლაშქრობიდან რომ დაბრუნდა, პატივისცემით ინახულა იგი და წინდაწინ ნებაც კი გამოითხოვა მეფისგან მუთაისს წასასვლელათ. ამგვარი საქციელი იშვიათი მოვლენა იყო იმდროინდელ განათლებულ ხალხებს შორისაც, და აზიის კართა ისტორიაში კი — ერთადერთი. ჩანს, რომ მთიელ ხალხებთან ბაგრატის ურთიერთობა, ბორენას ცოლათ შერთვას შემდეგ, ისე დაახლოებული ყოფილა და სა-

ქართველოსათვის სასარგებლო, რომ ბიზანტიის მემკვიდრეები ალანების მოავარს ბაგრატის ქვეშევრდომათ სთვლიან <sup>1)</sup>).

ამას შემდეგ სულთანმა ბაგრატს ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და მეტათ თავაზიანი სიტყვებით თხოულობდა, რომ საქართველოს მისთვის ხარკი ეძლია; მაგრამ ბაგრატმა საჩუქრებისათვის იმგვარივე საჩუქრებით გადაუხადა მადლობა და ხარკის ძღვევაზე ცივი უარი შეუთვალა.

1072 წელს ალბ-არსლანი გაემართა საქართველოს წინააღმდეგ, რომ დაეთავებია მისი შეუპოვარი ხალხის ამოჟლეტა, მაგრამ იმავე დროს შეიტყო, რომ თურქესტანში ხაზინადენ საგულისხმო გარემოებანი, რომელთათვისაც საჭირო იყო მისი იქ დასწრება. მაშინ ალბ-არსლანმა შეკრიბა 200,000 ცხენოსანი ჯარი, მის თვალწინ დიდი ამბით მიანდო თავის შვილს მალექშას საქართველოსთან ომის გაძღოლა, და თვითონ თურქესტანს წავიდა, სადაც მალე მოკლეს იგი. მალექშა საქართველომდი არ მისულა, საჩქაროთ გაემართა მამის მკვლელების შურის საძიებლათ.

ამავე დროს, როცა თავის საბძანებელს ივლიდა, ბაგრატი ავით გახთა და მოკვდა. ამგვარათ, ბაგრატის მართველობის დროს, საქართველო დამოუკიდებელ სამეფოთ დარჩა.

ბაგრატ IV-ის მეფობა იმდენი ომის გარემოე-

1) ტეცი: Chil 5, c. 17.—Lebeau; tom. XV, p. 4.

ბით არის სავსე, რომ ხალხის შინაგანი ცხოვრება  
 კაცს ამ გარემოებებში ჩანთქმული გეჩვენება; მაგ-  
 რამ, როცა ახლოს დაუკვირდები, ხედავ, რომ ამ  
 ხანებში ყოფილან იმისთანა კაცები, რომელთაც  
 ბევრი საქმე გაუკეთებიათ განათლების გზაზე, გან-  
 საკუთრებით საუწმუნოებრივი განათლებისათვის.  
**მათგან უშესანიშნავესი იყვენ: ზიორგი, ახალ აბრა-**  
**მათ წოდებული, ილარიონ თულაელი და სხვანი;**  
 მაგრამ მათ შორის პირველი ადგილი ზიორგი მთა-  
 წმინდელს უჭირავს. ჩვენ აუცილებელ საჭიროთ მი-  
 გვაჩნია—ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ზაგრატ IV-ის  
 ამ სახელოვან თანამედროვეზე. ზიორგი დაიბადა  
 სამცხის მაზრაში 1014 წელს და, შვიდი წლის რომ  
 შეიქნა, ასაზდელათ მონასტერში მისცეს იგი. მის  
 მასწავლებლათ ილარიონ თულაელი იყო. 1039 წელს  
 ის ბერათ აღკვეცეს. მალე მან დასტოვა თავისი  
 სამყოფი სავანე და წმ ადგილებისკენ გაემგზავრა;  
 ბოლოს ის მივიდა ათონის ივერიის მონასტერში  
 და იქ ხელი მიყო წმ. იოანესა და მქვთიმეს მოღვა-  
 წეობათა გაგრძობას. თავისი დაუძინებელი შრომით  
 მან დაასრულა საღვთო წერილის წიგნების თარგმა-  
 ნი, რომელიც კი ქართველთ ეკლესიას ესაჭიროე-  
 ბოდა. ზიორგი ორჯერ იყო ქოსტანტინებოლში,  
 იმპერატორის კარზე, ზაგრატის მონდობილობით,  
 და ორჯერვე მეტათ აღერსიანათ მიიღო იგი იმპე-  
 რატორმა. ქოსტანტინე ლუკამ ერთხელ ასე წარ-  
 მოსთქვა იმაზე: დიდათ მადლობელი ვარ ჩემი ძმის

ბაგრატ სევასტოსისა, რომ ესე მალალი ქკუითა და  
ზნეობით შესანიშნავი კაცი გამომიგზავნაო. შველაზე  
უფრო მან ეკლესიას გაუწია სამსახური საქართვე-  
ლოში ყოფნის დროს 1059-დან 1065 წლამდი.  
როცა ის მოვიდა, ბაგრატმა დაუნიშნა მას სამყო  
ფათ ქართლში ქალაქი ნეძვი და გადასცა მის გან-  
კარგულებაში შატრებდის მშვენიერი მონასტერი,  
ქლარჯეთში. შველანი, მეფისა და კათალიკოზისგან  
დაწყებული უკანასკნელ საეკლესიო მსახურსა და გლე-  
ხამდი, მასთან მიიღტოდენ მის ქადაგებათა მოსასმე-  
ნათ. ბაგრატმა სურვილი გააცხადა — თავისი შვილის  
აღზდა მისთვის მიენდო. ზიორგიმ საქართველოში ხუ-  
თი წელი დაყო და მოგლი ამ დროის განმავლობა-  
ში იმას ცთილობდა, რომ საზოგადოების ყველა წო-  
ლებაში ზნეობრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებია,  
და საერთო ნდობამ მისცა მას საშვალება წარმატე-  
ბით მოქმედებისათვის. ქართველებმა თუ თავისი სა-  
რწმუნოება ქრისტიანების ძლიერისა და შეუპოვარი  
მტრისაგან დაიცვეს, ამას ისინი არავის და არაფერს  
ისე არ უნდა უმაღლოდენ, როგორც მთაწმინდელის  
სიტყვას. ის აღპ-არსლანის პირველი შემოსევის  
უბედურებათა მოწმე იყო და ხალხის სულიერათ  
გამმაგრებელი: მისი მეოხებით იყო, რომ ეს უკანა-  
სკნელი საშინელ უბედურებათა უღელშიც არ დაცე-  
მულა სულით. როცა თურქები უკან გაბრუნდენ,  
ზიორგის მიაწოდეს ჭყონდიდლის კაოედრა, მაგრამ  
მან უარყო ყოველგვარი ხელმწიფება და 1065 წელს



წავიდა ათონის მონასტერში და იქ გადაიკვალა მუდგ წელში. მისი მოღვაწეობა დაწვრილებით აწერილია საქართველოს ეკლესიის წმ. ცხოვრებაში.

## VII.

### გიორგი II-ის მეფობა,

მასალების აჯანყება. — მათი დაცხრომა. — იოანე ორბელიანის აჯანყება. — გიორგი ათავისუფლებს ბერძნებისგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და ანაკოფიას და იფლობს სომხების მრავალ ქალაქს, რომელნიც თურქების ხელში იყვენ. — შველის მახლობლათ ბრძოლა და გიორგის დამარცხება.

ზაგრატის მეფობის უკანასკნელ ხანებში საქართველოს სამხრეთის საზღვრები შესამჩნევათ გაფართოვდა, მაგრამ განაპირა ადგილები ამგვარს ახირებულ მდგომარეობაში იყო, რომ იმის ახსნა საძნელოა. ჭართველებს ეჭირათ არეზის მარცხენა ნაპირი, ანისის პირდაპირ, და თავისი მეციხოვნე ჯარი ზაგში ყავდათ, მაგრამ მათ უფლებებაში არ ყოფილა არც თფილისი და არც ღმანისი, რომელთაც სულტნის სახელით ამირები მართავდენ. ამგვარსავე მდგომარეობაში იყვენ ის მაზრები, რომელნიც მტკვრის სათავიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარებდენ: ზოგიერთი ადგილი ბერძნებს ეჭირათ, სხვები კი — ქართველებს. სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეების ამგვარს განუსაზღვრელ მდგომარეობაში

ურთერთშორის ბრძოლებმა, თურქების შემოსევებმა და სომეხთ მეფეს ჯიორიკესა და ზანჯის ამირთან ომებმა იმ ზომამდი შესცვალეს და არივ-დარიეს ფეოდალების მამულები, რომ შეუძლებელი იყო — ყველა ეს დიდხანს დარჩენილიყო.

იმ სახელმწიფოში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაწერილი კანონები, ამის მაგიერობას მეფის ნება სწევს, მაგრამ იმას მხოლოდ მაშინ ემორჩილებიან, როცა ის ძლიერია. მეფის სისუსტე ისე არსად იჩენს თავს, როგორც ფეოდალურ მართველობაში. შოველი ფეოდალური მფლობელი საკმაოდ ძლიერია, რომ თავისი მეფის ძალღონე ან საკუთარი საშვალეებით გამოსცადოს და ან სხვებთან შეერთებით. ის უკმაყოფილება, რომელსაც საქართველოს ამ ნაწილების უმთავრესი გვარები გრძნობდნენ თავისი მამულების აშგვარი დახლართული მდგომარეობის გამო, იმით იყო შეჩერებული, რომ გამოცთილი ქონდათ ბაგრატის ძლიერება; მაგრამ იმის სიკვდილს შემდეგ არ გასულა ნახევარი წელიწადი — და ფეოდალები: იოანე მრბელიანი და მისი შვილი ლიპარიტი, ნიანია შობულელი და სვანეთის ერისთავი ვარდანი — აჯანყდნენ ბაგრატის მონაცვალის ბიორგი II-ის წინააღმდეგ.

მრბელიანმა ქართლი დაიპირა, ნიანია იმერეთს შეესია და დაიპყრო შუთაისი, ვარდანი კი მღიშ დაეცა თავს და იწყო მისი ცარცვა-გლეჯა. ვასალების თვითნებობა რამდენიმე ხნით იმით შეაჩერა



ზიორგიმ, რომ **იოანეს** სამფლობელოთ მისცა **სა-**  
**შვილდის** ციხე, მის შვილს **ლიპარიტს** - **ლორწობა-**  
**ნი** (**რუსთავის** მაგიერ, რომელიც მიცემული ქონდა  
**ქახეთის** მეფეს **აგსარტანს**); **ნიანიას** კი მისცა **თმოგვი**  
და სხვა მამულები, **ვარდანს**—**ასკალანა**, და, **იოანეს**  
თხოვნით, **ჯაყელის** გვარს—**რალაც** გამოსადეგი წო-  
დება „**უტაგებისა**“. მაგრამ ეს თვითნებობა კიდევ  
მალე გამეორდა **იოანეს** მხრით, სხვების გაურევე-  
ლათ- **მაშინ** **ზიორგიმ** შეკრიბა **ჯარები** **საქართვე-**  
**ლოს** ყველა ნაწილიდან, მიიწვია **აგსარტანი**, რომელი-  
თანაც ის უფრო განწყობილი იყო, ვიდრე მამა-  
მისი **ბაგრატი**, და ალყა შემოარტყა **სამშვილდეს**.  
**იოანემ** დაინახა, რომ ამ ციხეში გამაგრება არ შეე-  
ძლო, დასტოვა იგი და **სომხეთის** მთებში გაიქცა.  
**ბოლოს** მის ერდგულობაზე დაიფიცა—და მიიღო  
**სამშვილდე** და **აღდგეკარი**.

მაგრამ დაუცხრომელმა **იოანემ** მოინდომა თავისი მამის მიბაძვა და იმასავით მოქმედება—და გასტეხა ფიცი, თუმცა მამა-მისს ეს არაოდეს არ უქნია. **ბანჯის** ამირს საიდუმლოთ მოელაპარაკა და მიყიდა მას **ბაგის-ციხე**, ქართველთ გარნიზონი კი მოატყუა, რომ ეს საქმე მეფის სურვილით მოხთაო. ამას შემდეგ ის აღარ ელოდა არავითარ შეწყნარებას არც მეფისგან და არც ხალხის აზრისაგან და ამიტომ წაიყვანა თან თავისი შვილი **ლიპარიტი**, წავიდა **სულტანთან** და **მორჩილება** გამოაუცხადა. მაგრამ ვერც მალექმას კარზე მოისვენა. რატომღაც იქიდან ის



უკანვე საქართველოს გამოიქცა. თურქები დაეღწე-  
ნენ მას, გარშემოერთყენ სამშვილდეს, სადაც ის  
ფიქრობდა თავის შეფარებას, და ტყვეთ ჩაიგდეს ხელ-  
ში დედა-წულიანათ და აუარებელ ხელქვეითიანათ  
და ყველა სპარსეთს წაიყვანეს.

რაკი ამბოხებანი თავიდან მოიშორა, ზიორგიმ  
მალე აღადგინა მშვიდობიანობა თავის მამულში;  
ამასთანავე ისარგებლა ბერძნების შესუსტებული ძალ-  
ლონით, რომელთაც ამ დროს მცირე აზიაში თურ-  
ქების დაპყრობათაჲკენ ეჭირათ თვალყური, და დაი-  
ფლო ანაკოფია და აუარებელი ციხე ქლარჯეთსა,  
შავშეთსა და ჯავახეთში და პრტანის საერისთაო-  
ში;—ეს ციხეები ან სულ მიტოვებული იყო ბერძ-  
ნებისაგან და ან სუსტ გარნიზონებს ეჭირათ. ამას  
გარდა ზრიგოლ ზაკურიანმა, რომელიც ალპ-არს-  
ლანის პირველი შემოსევის დროს ქალაქ ანისის  
ერთი მართველთაგანი იყო, მისცა მას შემთხვევა—  
დაეჭირა შარსი, ვანანდი, აზიატ-ფორი და ძარნი-  
ფორი და გაედევნა ამ ქალაქებისა და მაზრებიდან  
თურქები.

ამას შემდეგ თურქებმა საქართველოს სამხრეთ-  
დასავლეთის საზღვარზე დაიწყეს გაძლიერება და ავა-  
ზაკური ცარცვა გლეჯა. ზიორგი გავიდა მათ წინა-  
აღმდეგ ძლიერი ჯარით, მაგრამ დაბა შველის მახ-  
ლობლათ ანაზდათ თავს დაესხა მას თურქების რაზ-  
მი ახმადის წინამძღოლობით და სრულიად დაამარც-  
ხა. ზამარჯვებულებმა ფრიად დიდი ალაფი მოიტა-

ცეს; სხვა ნივთებს გარდა იმაში იყო **ზიორგის** აუარებელი განძი: სუფრის მოწყობილობა წმინდა ოქროს და ვერცხლისა, ურიცხვი სსვადასხვა ძვირფასი ჭურჭლეულობა, მშვენიერი სამეფო კარავი და სხვა მდიდრული აუარებელი ნივთი. **ზიორგი აქარით იმერეთს** გაიქცა. „**ქართლის—ცხოვრება**“ ამბობს, რომ თურქები განცვიფრებული იყვნენ, როცა ქართველთ მეფის სალაშქრო ნივთებს ხედავდნო; ისინი არსად მოელოდნენ იმდენი სიმდიდრის შოვნას და ისე უხვათ დაჯილდოებას თავისი სამხედრო შრომისათვის, როგორც საქართველოშიო, თუმცა წინათ ეს არ ეგონათო; ამიტომაც გადასწყვიტეს— დროებით თავი დაენებებიათ მცირე აზიაში ომებისათვის, და 1080 წლის ივნისში მთელი თავისი ძალდონით საქართველოს შეესივნო.

## VIII.

### საქართველს დაჭრა სელჯუკების მიერ.

საქართველოს აოხრება თურქებისაგან; იმათი სასტიკი მოქმედებანი და **ზიორგის** გამგზავრება მალექშასთან.

**ზიორგის** უზომიერობამ და აჩქარებულობამ ფრიად დიდი უბედურებანი წაკიდა სამეფოს. **ზიორგი** მით დაიწყო თავისი მართველობა, რომ დააცხრო იმ პირთა ამბოხებანი, რომელნიც უწინდელი წესრიგის დარღვევის გამო უკმაყოფილოთ იყ-

ვენ; და როცა ისინი დააცხრო, არა თუ არ  
 რუნა საქართველოს შინაგანისა და გარეგანი უშიშ-  
 როების მტკიცე საფუძვლისათვის, არამედ დიდი  
 ხნის განცალკევებული მამულების უზომო დაპყრო-  
 ბით მიიქცია მტრების ყურადღება, რომელნიც, მოახ-  
 ლოებულ გარემოებათა გამო, საქართველოზე არ  
 ფიქრობდენ და რომელთაც შეიძლება სრულიადაც  
 დაევიწყებიათ იგი. ძლარჯეთი შავი ზღვის ნაპირამ-  
 დი, შავშეთი, აქარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი,  
 სამოქალაქო და ჭყონდიდი უცებ აივსენ თურქების  
 ლაშქრებით. მათ ერთბაშათ დაიმონეს მცხოვ-  
 რებთა მთელი ის ნაწილი, რომელმაც მათგან თავის  
 შეფარება ვერ მოასწრო. მრთ დღეს დასწევს ქუთა-  
 ისი, არტანუჯი და აუარებელი მონასტერი ძლარ-  
 ჯეთში. ამ ქვეყნის საშინელ უბედურებას აგვი-  
 წერს დამსწრე „ქართლის-ცხოვრებაში“. სადაც კი  
 ნახავდენ მლოცველსა და სხვერპლის მწირავ ღვდლებს,  
 თვით მათ ხმლით სხვერპლავდენ განრისხებულ ღვთა-  
 ებას ხალხის ცოდვებისათვის; მოხუცი დიდ შეწყა-  
 ლებას ვერ იწვევდენ ბარბაროსებში, ქალებსა და  
 ქალწულებს ნამუსს ხთიდენ, ბავშვები ტყვეთ მიყავ-  
 დათ. შემდეგ თურქებმა საქართველო დაანაწილეს  
 თავისი რაზმების რიცხვის მიხედვით, თოვლის  
 მოსვლამდი გაცარცვეს და გააძვალტყავეს იგი და  
 შემდეგ სამხრეთის ქვეყნებში წავიდენ. ზაზაფხულზე  
 დაბრუნდენ და განაგრძეს ძებნა, რომ წაეღოთ და-  
 ნარჩენი, რის გატანაც ზამთრამდი ვერ მოასწრეს.

მცხოვრებლები დაიძალნ ტყეებსა, მთებსა და  
გამოქვაბულებში, მიუტოვეს თურქებს დაუხნავი და  
დაუთესავი მიდვრები და თვითონ უქმელობით და  
უბინაობით იხოცებოდნენ. მაგრამ თურქები საქარ-  
თველოდან არ გადიოდნენ; ღვთის ტაძრები მათ  
თავის ყაზარმებათ აქციეს და წმინდა საკურთხეველ-  
ნი—უწმინდურების ადგილებათ. რადგან მიწის ზე-  
დაპირზე ვერაფერს პოულობდნენ, საფლავების თხრა  
იწყეს და იქ ეძებდნენ საშოვარს. ზამთრობით ისინი  
მიდიოდნენ ხოლმე, მაგრამ ქართველებს თავისი თავ-  
შესაფარი ადგილების მიტოვების ეშინოდათ და ამი-  
ტომ საჭიროება, ყინვები და სხვადასხვა ავანთყოფობა  
ძუსრს ავლებდა მათ. როცა დროებით სტოვებდნენ  
ხოლმე თურქები ამ მხარეს, იქ ნადირები ესახლე-  
ბოდნენ, რადგან ადამიანთა გახრწნილ გვამებს დაუ-  
ლეველათ პოულობდნენ აქ საქმელათ. ამგვარი უბე-  
დურება გაგძელდა რამდენმე წელს; შველა არსაი-  
დან ჩანდა. მცხოვრებლები არ სტიროდნენ, მძიმე  
მწუხარებამ შეაშრო მათ თვალზე ცრემლები. მიწის  
ძვრამ, რომელიც მთელ წელს გაგძელდა. საქართვე-  
ლოს სხვადასხვა ნაწილში თითქმის ყველაფერი და-  
აქცია, რაც კი თურქებს გადარჩენოდათ

დასასრულ, როცა ხალხი თითქო შეეჩვია თა-  
ვის უბედურებას და რამდენათმე გონს მოვიდა, მე-  
ფეს წინადადება მისცა-სპარსეთს წასულიყო და მა-  
ლექმასთვის შეწყალება ეთხოვა. ბიორგის უნდა  
შეესრულებია ხალხის აუცილებელი სურვილი, მან

გადასწყვიტა ეს საშიშარი მოგზაურობა და მივიდა სულტნის სამყოფელ ადგილას. მალექშამ იგი მოულოდნელი აღერსითა და პატივისცემით მიიღო. ის დათანხმდა საქართველოდან თავისი ჯარების გაყვანაზე, მაგრამ თხოულობდა, რომ თურქების შემწეობით ზიორგის ძახეთიც შეეერთებია თავისი სამეფოსათვის და ყოველწლივ მთელი საქართველოდან წარედგინა მისთვის ხარკი. ზიორგიმ მიიღო ეს ვალდებულება და უკან დაბრუნდა; მას სულტანმა თან გამოაყოლა თურქების რაზმი — როგორც მისი პირადი უშიშროებისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ შემწეობა ამოეჩინა მეფისა და თურქებიწ სხვა ჯარებისათვის ძახეთის დაპყრობაში. მაგრამ როცა ძახეთს მოვიდა, ისე უხეიროთ და უზრუნველათ წაიყვანა საქმე, რომ ზამთრამდი ვერაფერი მოასწრო, და ზამთარში კი იმერეთს წავიდა და იქ დარჩა, თითქო თავის ძავზე არაფერი ვალდებულება მიეღოს, როცა ამ ვალდებულების ასრულებაზე იყო დამოკიდებული საქართველოს სეგბედის შეცვლა. ამასობაში აგსარტანი მალექშასთან მივიდა, მოაგონა მას, რომ თურქების ერდგულობისათვის ჯერ კიდევ ალპ-არსლანის დროს მიიღო მან მამადიანობა, და პირდა ყოველწლივ ხარკის ძლევას და ზურგგამაგრებული დაბრუნდა ძახეთის მპყრობელათ. მართლის საქმეები კი იმავე უბედურ მდგომარეობაში დარჩა.

შმათავრების შეცდომები:

- 1) პირველ თავებში, საცა სახელწოდება ეძარა იყოს ნახმარი, აძარა წაიკითხეთ.
- 2) ქორეზისკანონი-ს მაგიერ წაიკითხეთ ქორაკონი. (გვ. 34, 45, 48, 54, 61, 83, 84).
- 3) მე-60 გვერდზე დაბეჭდილია შეკებენ და 85-ე გვერდზე ანა; წაიკითხეთ: შეხვდენ, ანასა.



ქუთაისის ამხანაგობის განოცემანი.

ფანე

1. სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, ლ. შტუტს შეგრელისა	6 შ.
2. მწიორი ლერმონტოვისა, თარგ. ვ. აბაშიძისა	2 შ.
3. სვანური ზღაპრები, შეკრული თაგისუფალი სვანის მიერ	6 შ.
4. ვილჰელმ ტელი შილერისა, თარგ. ი. სანებლიძისა	3 შ.
5. ბურგენ რაინდი (ლეგენდა) ცახელიისა	6 შ.
6. თხზულებანი ბ. წერეთლისა ტ. I.	3 აბ.
7. " " " ტ. II	3 აბ.
8. " " " ტ. III	14 შ.
9. ჰაერი და სიმბოლო შივოტოვსკისა, თარგ. ვ. შარაძისა	3 შ.
10. საქართველოს ისტორია ბაჩათაშვილისა, თარგ. ანი ბ. ზუნდაძისა რგ. I	6 შ.
11. " " II.	6 შ.
12. " " III.	3 აბ.
13. „ზვიმა“, კალმკეთებული ი. შიფიანის მიერ	2 შ.
14. ღელა-შვილის თავგადასავალი ღე- ამიჩისისა	3 შ.
15. ლექსები მამია ბურიელისა	1 შ.
16. აკილო ი. შრგებაშვილისა	3 შ.
17. თხზულებანი ბ. აბაშიძისა	3 აბ.
18. ზღაპრები კმ. ბრიშებისა, თარგმანი	3 შ.
19. პაწია და ბუნგლია, თარგ. ლ. ავალიანისა	5 შ.
20. ჯიანეტა, თარგმანი ა. ნიკოლაძის ასულისა	6 შ.
21. ლევან ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	2 შ.

წიგნის მდარაბის, სამკათსეკლოებსა და სოფლის სარგავ-  
ლებდებს ამხანაგობის თავის გამოცემებზე 20 %-ს  
დაუთმობს